ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

·LA GÉORGIE COMBATTANTE·

2004 წლის 26 მაისი - ნომერი 34(52) - MAI 26, 2004

ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს — ილია

## საქართველოს დამოუკიდებლობის 86 წლისთავი

26 მ ა ი ს ი .......... 1
დოკუმენტაცია .......... 2
ღია წერილი ასლან აბაშიძეს .......... 14

## სოხუმის დაპყრობის მეთერთმეტე წლისთავი

სოხუმი – ცხინვალი-ბათომი .......... 15
დიმირი გულია, პეტრე ჭირაია და ჩვენი აფხაზეთი .......... 16
ყველა გზა მოსკოვზე გადის? - .......... 17
"სუსლოვის სული" .......... 19

## ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

ჩვენი პრეზიდენტის არჩევნები(ღირსეულ პრეზიდენტთა ღირსეული მემკვიდრე) .......... 20
"ოპოზიცია უნდა გავაძლიეროთ"(.2004 წლის 28 მარტის არჩევნები) .......... 22
საქართველოს ახალი სახელმწიფო დროშა .......... 26
ამონაწერი სსდპ საზღვარგარეთული ბიუროს ოქმიდან(26.1.2004 წელი) .......... 29
ისევ-განთიადი?(ჩვენი პრეზიდენტის ფიცი) .......... 33

## პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

14 აპრილი - გერმანია-საქართველოს მეგობრობის დღეა .......... 37
"ჯვარი ყურანით"(ამონაწერი) .......... 39
ქართველი მშიდობისმყოფელები ერაყში .......... 41
"თავისუფლების კოშკი" ნიუ-იორკის "ნულ მიწაზე" .......... 42
შობადობა მსოფლიოში და საქართველოში .......... 43
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები .......... 45

## ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

იუმორის კუთხე:"ძუკუს საქმე ძუკუმ იცის" .......... 47
„როცა ოთარი წავიდა..." - .......... 53
„მშობელი მიწის მიმართ"(ლექსი) .......... 55
„მიმართვა ქართველ ხალხს"(გრიგოლ რობაქიძე, 1954 წელ) .......... 56

## ქართველთა ყოფაცხოვრება უცხოეთში

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი ლეველსა და პარიზში .......... 57
ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის ელჩი საქართველოში(13.9.2003 წელი) .......... 62
ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი(11.3.2004 წ.) .......... 63
თამარ ჩოფიკაშვილი-ვესტი საპატიო დოქტორია .......... 65
ქართული სათვისტომოს გამგეობის არჩევნები პარიზში .......... 67
ნინოობა პარიზში .......... 67
ბზობა და აღდგომა მიუნხენში .......... 68

დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამოეძგარი ხელისუფლება არის მოქმედი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე

დაარსდა იანვარი 1952, პარიზი — Fondation: Janvier 1952, Paris

9-776
42686

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო
LA GÉORGIE COMBATTANTE

2004 წლის 26 მაისი - ნომერი 34(52) - MAI 26, 2004

ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს — ილია

## საქართველოს დამოუკიდებლობის 86 წლისთავი

26 მ ა ი ს ი ........ 1
დოკუმენტაცია ........ 2
ღია წერილი ასლან აბაშიძეს ........ 14

## სოხუმის დაპყრობის მეთერთმეტე წლისთავი

სოხუმი — ცხინვალი-ბათომი ........ 15
დიმირი გულია, პეტრე ჭირაია და ჩვენი აფხაზეთი ........ 16
ყველა გზა მოსკოვზე გადის? - ........ 17
"სუსლოვის სული" ........ 19

## ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

ჩვენი პრეზიდენტის არჩევნები(ღირსეულ პრეზიდენტია ღირსეული მემკვიდრე) ........ 20
"ოპოზიცია უნდა გავაძლიეროთ"(2004 წლის 28 მარტის არჩევნები) ........ 22
საქართველოს ახალი სახელმწიფო დროშა ........ 26
ამონაწერი სსდპ საზღვარგარეთელი ბიუროს ოქმიდან(26.1.2004 წელი) ........ 29
ისევ-განთიადი?(ჩვენი პრეზიდენტის ფიცი) ........ 33

## პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

14 აპრილი - გერმანია-საქართველოს მეგობრობის დღეა ........ 37
"ჯვარი ყურანით"(ამონაწერი) ........ 39
ქართველი მშიდობისმყოფელები ერაყში ........ 41
"თავისუფლების კოშკი" ნიუ-იორკის "ნულ მიწაზე" ........ 42
შობადობა მსოფლიოში და საქართველოში ........ 43
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები ........ 45

## ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

იუმორის კუთხე:"ძუკუს საქმე ძუკუმ იცის" ........ 47
„როცა ოთარი წავიდა..." - ........ 53
„მშობელი მიწის მიმართ"(ლექსი) ........ 55
„მიმართვა ქართველ ხალხს"(გრიგოლ რობაქიძე, 1954 წელ) ........ 56

## ქართველთა ყოფაცხოვრება უცხოეთში

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი ლეუილსა და პარიზში ........ 57
ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის ელჩი საქართველოში(13.9.2003 წელი) ........ 62
ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი(11.3.2004 წ.) ........ 63
თამარ ჩოფიკაშვილი-ევსტი საპატიო დოქტორია ........ 65
ქართული სათვისტომოს გამგეობის არჩევნები პარიზში ........ 67
ნინოობა პარიზში ........ 67
ბზობა და აღდგომა მიუნხენში ........ 68

დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მოქმედი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე

დაარსდა იანვარი 1952, პარიზი — Fondation: janvier 1952, Paris

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეოთხე სვეტი"

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელევიზია, კინოფილმი — დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების „მეოთხე სვეტი" სახელმწიფო ძალაუფლების „სამი სვეტის" — მმართველობის (მთავრობა), კანონმდებლობის (პარლამენტი) და მართლმსაჯულების (სასამართლო) გვერდით. აზრთა სხვადასხვაობა და ჭიდილი დემოკრატიის საფუძველი კი არაა, სიძლიერეა, თუ იგი დარჩება დემოკრატიული სახელმწიფოს შორის, პოზიციისა-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში, რაშიც მჟღავნდება პიროვნების, ერის პოლიტიკური კულტურა. ამდენად მასობრივი ინფორმაციის მედიუმები უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მრავალფეროვანი და მრავალფუნქციანი ცხოვრების სარკე, რაც — თავის მხრივ — ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური და მიუდგომელი და მის შექმნაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საზოგადოების ყველა ფენა იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას თავიდან ამა თუ იმ პირის თუ დაჯგუფების განუკითხავი ბატონობა.

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

მუხლი 32

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

Tout citoyen a le droit d' exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d' autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n 'est responsable. pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

# ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

# Universal Declaration of Human Rigts

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

arricl 19

Everyone has the righet co freedom of opinion and expression; this righet includes freedom co hold opinions sichour incerierence and to scet, receive and impart information and idext chrough any medis and regardless of fronciers.

გ-776

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დამოუკიდებლობის 86 წლისთავი

26 მაისი

"ჩვენ მივდიოდით სწორი გზით და
გავაკეთეთ რის გაკეთებაც კი
შევძელით". ნოე ჟორდანია(1868-1953)

I.

გილოცავთ, პატივცემულო თანამემამულენო, ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაულის, საქართველოს დამოუკიდებლობის 86 წლისთავს – 26 მაისს!..

II.

და "აქვე და ახლავე"გვსურს მოვიგონოთ ჩვენი მამა-პაპათა ის "ოქროს თაობა", რომელმაც – 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ -- ისევ აღადგინა საქართველოს სამი-ათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, ჩვენს თითქმის ისტორიულ ტერიტორიაზე, ნოე ჟორდანიას მეთაურობით. და ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოს სახელმწიფოს არა მარტო "რესპუბლიკურ ხანას", არამედ საქართველოს - 1918-1921 წლების - "პატარა ოქროს ხანას", რადგან საქართველომ, 1918 წლის 26 მაისის ისტორიული დოკუმენტით - "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით", - ამასთანავე, თავი დააღწია საქართველოს სამეფოთა და სამთავროებათა თითქმის ხუთსაუკუნოვან დაქუცმაცებულ ცხოვრებას და ისევ გახდა ერთიანი, დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

III.

26 მაისის სიდიადის გამომხატველია აგრეთვე ის ისტორიული ფაქტი, რომ საქართველოში უკვე საქართველოს "დიდ ოქროს ხანაში" აღმოცენდა და შენდეგ ეზიარა რენესანსის ჰუმანიტარულ იდეებს, რომლის პრაქტიკული განხორციელების ისტორიული მაგალითებია აშშ-ს 1776 წლის 4 ივლისის "დამოუკიდებლობის დეკლარაცია", რომელშიც აღიარებულია ადამიანის ცხოვრების, თავისუფლებისა და "ბედნიერების მოპოვების" უფლება, და საფრანგეთის 1789 წლის 14 ივლისის დიდი რევოლუციის "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" იდეალები; და კაცობრიობის ამ უდიდეს ჰუმანიტარულ იდეებს, ეროვნულ-სოციალური განზომილება მისცეს "პირველდასელებმა": "ჩვენი თავი ჩვენადვე ვეყუდნდეს!" და "მესამედასელებმა", როცა, ჯერ კიდევ 1893 წლის 7(20) თებერვალს, "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამის დედა-ძარღვად აქციეს ლოზუნგი: "ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა". და კაცობრიობის ყველა ეს ჰუმანიტარული სიდიადე თავს იყრის 26 მაისში.

IV.

და ყველაფერ ამას ვიგონებთ, უნდა მოვიგონოთ, დღეს – 26 მაისს, - რადგან საამაყოა, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ნაკვალევს გაყვა საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილი, და 2004 წლის 8 მარტს, ეწვია პარიზის ახლომდებარე დაბა ლევილის ქართულ მამულსა და ქართულ ძმათა სასაფლაოს და ქედი მოიხარა საქართველოს "ოქროს თაობის" გარდაცვლილთა წინაშე, რომელთა შორის განისვენებს აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ჟორდანია.

V.

არ უნდა მივივიწყოთ, რომ ჩვენ საქართველოს რესპუბლიკურ ხანაში გვყავდა და გვყავს სულ ხუთი პრეზიდენტი – ნოე ჟორდანია(1918-1821 წლები), ზვიად გამსახურდია(1991-1993 წლები), ედუარდ შევარდნაძე(1993-2003 წლები), ნინო ბურჯანაძე(2003-2004 წლები) და ახლა ჩვენი პრეზიდენტია მიხეილ სააკაშვილი. ჩვენ გვწამს, ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს ყველა პრეზიდენტი, გამოუკლებლივ, მოქმედებდა, მოღვაწეობდა საქართველოს, ქართველი ერის, საქართველოს მთელი მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ჩვენი პრეზიდენტები აკეთებდნენ და ახლა ჩვენი პრეზიდენტი აკეთებს იმას, რის გაკეთება შესაძლებელია.

VI.

არ უნდა დავივიწყოთ ამასთანავე, რომ პოლიტიკა არის – ერთი მხრივ - შესაძლებლობის ხელოვნება. მაგრამ – მეორე მხრივ – პოლიტიკა არის აგრეთვე ს ა ჭ ი რ ო შესაძლებელი გახადო; ეს კი, გასაგებია, მოითხოვს მოქმედებას, რაშიც ჩაქსოვილია შეცდომების დაშვების იესლიც. ამიტომ, ვამბობთ ჩვენ, რომ შეცდომას უშვებს, შეცდომის მსხვერპლი ხდება მხოლოდ ის, ვინც მოქმედებს. აქ კი მჟღავნდება ყოველი (არა მარტო) პრეზიდენტის მოქმედების "დიპლომატიური" უნარიანობაც, რაც ყოველ ადამიანს, ყოველ პრეზიდენტს, მეტ-ნაკლებად, გააჩნია.

VII.

ამდენად, - ავღნიშნავთ რა დღეს საქართველოს უდიდესი დღესასწაულის - 26 მაისის - 86 წლისთავს, - ვიამაყოთ ჩვენი ყოფილი და დღევანდელი პრეზიდენტების – ნოე ჟორდანიას, ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, ნინო ბურჯანაძის, მიხეილ სააკაშვილის და მათ თანამგრძნობთა - ცხოვრებითა და მოღვაწეობით, და ამით ჩვენი ხალხის წარსულითა და აწმყოთი. ვიმეორებთ: ჩვენი პრეზიდენტები, მათი შესაძლებლობით, გულწრფელად აკეთებდნენ და აკეთებენ იმას, რის გაკეთება მათ შეეძლოთ და შეუძლიათ. ამაში ეჭვის შეტანა წარმოუდგენელია.

VIII.

აი, ამგვარი შეგნებით, გილოცავთ, პატივცემულო თანამემამულენო, ჩვენს უდიდეს ეროვნულ დღესასწაულს – 26 მაისს!.. მრავალჟამიერ!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2004 წლის 26 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

# საქართველოს რესპუბლიკური ხანა

## ჩ ვ ე ნ ი   პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ე ბ ი

I.

ნოე ჟორდანია - საქართველოს რესპუბლიკური ხანის პირველი პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წლებში.

ნოე ჟორდანია – საქართველოს "რესპულიკური ხანის" ფუძემდებელი, რომლის ჩირაღდანია 1918 წლის 26 მაისი, ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის დღე – თითქმის ხუთსაუკუნოვანი დაქუცმაცებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების შემდეგ.

ნოე ჟორდანიას "ოქროს თაობის" მიერ შექმნილი "პატარა ოქროს ხანა" კი რესპუბლიკური, ლაიცისტური სამაგალითო სახელმწიფოებრივი წესყობილება გახდა საერთაშორისო მასშტაბითაც, როცა "მესამედასელებმა", 1893 წლის 7(20) თებერვალს, – აშშ-ს 1776 წლის 4 ივლისის კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლების "დამოუკიდებლობის დეკლარაცია" და საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1789 წლის 14 ივლისის "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" ჰუმანიტარული იდეა – ეროვნულად და სოციალურად გააპოხიერეს - მრწამსით: "ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა".

აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი საქართველოს "ოქროს თაობა" დაადგა ადამიანთა და ხალხთა ეროვნული(ნაციონალური) და სა-ერთა-შორისო(ინტერნაციონალური) გარდაუვალი ინტერესების გ ა წ ო ნ ა ს წ ო რ ე ბ ი ს გზას, რაც სამაგალითოა დღესაც – "ინფორმაციის საუკუნეში".

II.

ზვიად გამსახურდია – საქართველოს მეორე პრეზიდენტი (1991-1993 წლები) - არის "თეთრი გიორგისეული", "ოქროს საწმისისეული", პროტო-იბერიული, ელინისტურ-რენესანსული და მათზე აღმოცენებული "წმინდა გრალის თასის" სულიერ-ხორციელი შეჯამება, რომელიც ვერ ეტევა პოლიტიკის, პოლიტიკოსის თანამედროვე ცნებაში – თუ ჩვენ პოლიტიკას შესაძლებლობის ხელოვნებათ მივიჩნევთ, რომლის მიზანია საჭირო შესაძლებელი გახადო.

---

ზვიად გამსახურდიას სულიერ-ხორციელი მე-ობის ჭეშმარიტი ამსახველი არის – მერაბ კოსტავა, რომელიც "მეგობარ ზვიადს" ასე მიმართავს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი სამშობლო არის სულეთი

სხვა სრა-სასახლე, ძმაო, ნუ გინდა,

დე, ხალხის თვალში დარჩი სულელი,

მამის წინაშე იყავი წმინდა.

დაე, გფარავდეს ვარსკვლავთ კრებული

და მიქაელის ცეცხლის მახვილი,

დაე, ღირსად გცნონ, იქმნა ვნებული,

წმინდა ზვარაკის ტკბილი სასმელით.

არ მიიკარო მწიკული ზადის

შენი ტანია თვით ეკლესია,

სცან ღაღადისი, გზა განიმზადე,

დედამიწაზე დადის მესსია!

III.

ედუარდ შევარდნაძე – ჩვენი მრავალწახნაგოვანი, მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ეროვნული და დიდი საერთაშორისო პოლიტიკური მოღვაწე, "ცივი ომის" თანაალმკვეთელი, საქართველოს რესპუბლიკური ხანის მესამე(1993-2003 წლები) პრეზიდენტი. ისე არ ამოწყდებიან ჯავრი არ ჭამონ მტრისანი". "საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ",– ჩვენო პრეზიდენტო!..

IV.

ნინო ბურჯანაძე - საქართველოს დროებითი პრეზიდენტი(2003-2004 წლები) - არის ბრწყინვალე მეფეთა-მეფის თამარის დობილი, ქართველი ხალხის დედა; ამჯერად საქართველოს პარლემენტის და ამით ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე.

V.

მიხეილ სააკაშვილი – საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი (2004 წლის 25 იანვარიდან) - არის ჩვენი იმედის გამომხატველი იმდენად, რომ აღფრთოვანებით გვსურს შევძახოთ - მას, ჩვენს თავს, ჩვენს ხალხს, ჩვენს საქართველოს: "კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან ჯავრი არ ჭამონ მტრისანი". "საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ", - ჩვენო პრეზიდენტო!..

კ.ი., პარიზი, 2004 წლის 26 მაისი

## ე რ ი  დ ა  რ ე ლ ი გ ი ა

"ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა... გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთობაშია! გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!"

მემედ აბაშიძე, 1921 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა
2 იანვარი 1868 წ. — 11 იანვარი 1953 წ.

**NOÉ JORDANIA**

Président de la République de Géorgie

---

**"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა". "მეხამე დასი", 1893 წელი**

---

''დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი.''

„... უნდა დავინახოთ მტერმაც და მოყვარემაც, რომ არამარტო გვინდა ვიყვეთ დამოუკიდებელნი, არამედ შეგვიძლია ვიყვეთ დამოუკიდებელნი"

„... და თუ ჩვენ მიზანს მაინც ვერ მივაღწიეთ და დავმარცხდით, ერთი მაინც უეჭველი იქნება და ამას პირუთვნელი ისტორია მაინც იტყვის – ჩვენ მივდიოდით სწორე გზით და გავაკეთეთ რის გაკეთებაც კი შეგვეძლო"

*ნოე ჟორდანია*

* * *



# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

# საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში იმგვარი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი სამხედრო ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია.

„დარჩნენ რა თავისი ძალღონისამარა, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაარჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Zviad Gamsakhurdia

## საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია (1991-1992 წლები)

"საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატურის მრავალწლიანი ბატონობის პერიოდში მრავალი რამ ქართული კულტურის ისტორიაში იყო მიჩქმალული, დამახინჯებული და ტაბუიზირებული....სურდათ ქართველი ერისათვის შთაენერგათ არასრულფასოვნების კომპლექსი..."

"ზვიად გამსახურდია – საქართველოს მეორე პრეზიდენტი (1991-1993 წლები) - არის "თეთრი გიორგისეული", "ოქროს საწმისისეული", პროტო-იბერიული, ელინისტურ-რენესანსული და მათზე აღმოცენებული "წმინდა გრალის თასის" სულიერ-ხორციელი შეჯამება, რომელიც ვერ ეტევა პოლიტიკის, პოლიტიკოსის თანამედროვე ცნებაში – თუ ჩვენ პოლიტიკას შესაძლებლობის ხელოვნებათ მივიჩნევთ, რომლის მიზანია საჭირო შესაძლებელი გახადო."

კ.ი., პარიზი, 2004 წლის 26 მაისი



# ACT
## of Independence of Georgia

The Georgian National Council, during its plenary sitting of May 26, 1918, declared as follows:

„For several centuries Georgia existed as a free and independent State.

At the end of the eighteenth century Georgia voluntarily allied herself with Russia, with the stipulation that the latter should protect her from enemies without.

In the course of the great Russian revolution conditions arose which resulted in the disorganization of the entire military front and the abandonment of Transcaucasia by the Russian Army.

Thus, left to her own devices, Georgia, and with her all Transcaucasia, took into their hands the direction of their affairs creating the necessary organs for this purpose; but under pressure from exterior forces the links which united Transcaucasian nationalities were broken and the political unity of Transcaucasia was thus dissolved.

The present position of the Georgian people makes it imperatively necessary that Georgia should create a political organization of her own, in order that she may escape from the yoke of her enemies and lay a solid foundation for her free development.

Accordingly the Georgian National Council, elected by the national assembly of Georgia on November 22 (December 5), 1917, declares:

(1) In future the Georgian people will hold sovereign power and Georgia will be a State enjoying all the rights of a free and independent State.

(2) Independent Georgia's form of political organization will be a democratic Republic.

(3) In the event of international conflict Georgia will always remain neutral.

(4) The Georgian democratic Republic will apply itself to establishing friendly relations with all nations, and especially with neighboring nationalities and states.

(5) The democratic Georgian Republic offers to all inhabitants of her territory a wide field for free development.

(6) The democratic Georgian Republic guarantees to all citizens within her territory civil and political rights, without distinction of nationality, religion, social position, or sex.

(7) Until the convocation of the constituent assembly the National Council, with the addition of representatives of the minorities and the provisional government responsible to the National Council, is at the head of all Georgian administation".

On the 12th of March, 1919, the constituent assembly of Georgia confirmed the preceding act in the following terms:

„At its first sitting of the 12th of March, 1919, the constituent assembly of Georgia, elected by citizens of both sexes, according to the direct, equal, universal, secret, and proportional electoral system, proclaims before the world and history that it fully confirms and approves the act of the Independence of Georgia, declared at Tiflis by the Georgian National Council, May 26, 1918".

ეროვნული ბიბლიოთეკა




''მომავალი ეკუთვნის დემოკრატიას'' არის ტიტრი ედუარდ შევარდნაძის წიგნისა, რომელიც 1991 წელში გამოქვეყნდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და სხვა ენებზე.

## საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე (1993-2003 წლები)

## ედუარდ შევარდნაძე გაეროს მრჩეველია

2004 წლის 16 აპრილს, თბილისში,

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ეწვია გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწე გულ ჩანდრა გაუტანი და გადასცა კოფი ანანის შეთავაზება, იმუშაოს გენერალური მდივნის მრჩევლის თანამდებობაზე.

"გაეროს ძალიან სჭირდება თქვენისთანა ავტორიტეტული პიროვნების რჩევები", - უთხრა პრეზიდენტ შევარდნაძეს გულ ჩანდრა გაუტანიმ.

"ჩათვალეთ, რომ მოვილაპარაკეთ. სიამოვნებით ვითანამშრომლებ, საქართველოში, თბილისში ვიქნები თუ რომელიმე სხვა ქვეყანაში", - უპასუხა ედუარდ შევარდნაძემ გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწეს.

"ედუარდ შევარდნაძე – ჩვენი მრავალწახნაგოვანი, მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ეროვნული და დიდი საერთაშორისო პოლიტიკური მოღვაწე, "ცივი ომის" თანაავტორი, საქართველოს რესპუბლიკური ხანის მესამე(1993-2003 წლები) პრეზიდენტი."

კ.ი., პარიზი, 2004 წლის 25 მაისი

# პატარა „ოქროს ხანა"

1918-1921



INDEPENDENT GEORGIA





ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს დროებითი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე
(2003-2004 წლები)

*Nino Burdschanadse*

"თუ რუსეთი გახდება ნამდვილი შუამავალი სეპარატისტებთან მოლაპარაკების პროცესში, თუ სეპარატისტები მართლა იგრძნობენ, რომ მოსკოვის გარკვეული წრეები მათ აღარ უჭერენ მხარს, გარწმუნებთ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები ძალზე სწრაფად მოგვარდება."

"ნინო ბურჯანაძე - საქართველოს დროებითი პრეზიდენტი(2003-2004 წლები) - არის ბრწყინვალე მეფეთა-მეფის თამარის დობილი, ქართველი ხალხის დედა; ამჟერად საქართველოს პარლემენტის და ამით ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე."

კ.ი., პარიზი, 2004 წლის 26 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

## President of Georgia Michael Saakashvili

"მზად ვარ, ჩემი სიცოცხლის ფასად აღვადგინო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო, რათა შევინარჩუნო მშვიდობა, რათა ქართველი ხალხი მომავალში აღარასოდეს არავის მხრიდან აღარ გახდეს მსგავსი შანტაჟის ობიექტი, რათა საქართველოს ღირსება აღდგეს და მთელმა მსოფლიომ დაინახოს, რომ ჩვენ ვართ ერთიანი, ძლიერი ერი, რომელთანაც ასე აგდებულად ლაპარაკი შეუძლებელია!"

**"I am not Pro-American!.. I am not Pro-Russian!..
I am Pro-Georgian!.."**

"ჩემი მთავარი მისია, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებასთან ერთად, დაკარგული ადამიანების დაბრუნებაა. ამ ხალხთან ურთიერთობა, საქართველოსაკენ მობრუნება ასევე ჩემი მოვალეობა და მიზანია". ("ს.რ.", 10.3.2004 წ.).

მიხეილ სააკაშვილი – საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი (2004 წლის 25 იანვარიდან) - არის ჩვენი იმედის გამომხატველი იმდენად, რომ აღფრთოვანებით გვსურს შევძახოთ - მას, ჩვენს თავს, ჩვენს ხალხს, ჩვენს საქართველოს: "კიდევაც დაიზრდებიან ალვეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან ჯავრი არ ჭამონ მტრისანი". "საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ", - ჩვენო პრეზიდენტო!..

კ.ი., პარიზი, 2004 წლის 26 მაისი

# საქართველო

"გეოგრაფია არის ერთადერთიკონსტანტური საგარეო ურთიერთობაში".

"Geographie ist die einzige Konstante der auswärtigen Beziehungen".





# საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

## უწმინდესი და უნეტარესი

## ილია მეორე

On December 25, 1979, the enthronization of the new Catholicos— Patriarch of All Georgia took place in the Patriarchal Cathedral of the Twelve Holy Apostols (Sweti-Tskhoveli).

ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენი თავისუფლებისათვის, საქართველოს გადარჩენისათვის, საქართველოს და ქართველი ხალხის მთლიანობისათვის.

ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის I ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვიდან. 20 ოქტომბერი. 1994 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Conseil National Georgien

**ქართული ეროვნული საბჭო**

## ღია წერილი ბატონ ასლან აბაშიძეს

საქართველო - ბათომი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სადგომი

ბ ა ტ ო ნ ო   ა ს ლ ა ნ,

ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში გამოვთქვამს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პირველი, მეორე და ამჯერად მესამე თაობის თითქმის ერთსულოვან მრწამს: ყოველი საშუალებით ხელი შევუწყოთ საქართველოს პრეზიდენტს, ჩვენს ხალხს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეშიც.
ამიტომ, მოგმართავთ თქვენ, - როგორც აჭარის მმართველს, და დიდი ქართველი პატრიოტის მემედ აბაშიძის შეილიშვილს, - ბაბუათქვენის სიტყვებით: "ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთობაშია!"
ამას ამბობდა ბაბუათქვენი 1921 წელს, როცა საქართველოს მთელი მოსახლეობა თავგანწირვით იცავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არა მარტო ტერიტორიულ მთლიანობას.
და აქვე ავღნიშნავთ თქვენს პირად დამსახურებას საქართველოს, ქართველი ხალხის მიმართ, როცა თქვენ შესძელით ჩვენი აჭარა არ გამხდარიყო ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტების მსხვერპლი, როგორც ეს მოხდა 90-იან წლებში ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში, რასაც მოყვა სამას-ათასზე მეტი ლტოლვილი, რომლებიც დღემდე ელოდებიან თავთავინთ სახლ-კარში დაბრუნებას.
თქენს ამ დამსახურებას ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალურმა ორგანომ – "მებრძოლი საქართველო"("მ.ს."-1996 წ.) – სპეციალური ნომერი მიუძღვნა –"ჩვენი აჭარა" -, რომელშიც თქვენი მოწინავეც გამოქვეყნდა.
ახლა კი შეგვაშფოთა თქვენმა დაპირისპირებამ საქართველოს ახალი პრეზიდენტისა და მთავრობის მიმართ. გვჯერა, რომ თქვენ კარგად იცნობთ დიდმპყობელ-შოვინისტების აწ თითქმის ორას-წლოვან კოლონიურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, რომლის უსაშინელეს, რასისტულ გამოვლინებათ გვესახება მიხეილ სუსლოვის(1902-1982) "დახურული მოხსენება"("ს.რ." 30.10.1999 წ.), რომლის შინაარსის განმეორება აქ, ამ ჩვენს "ღია წერლიში" საჭიროთ ჩავთვალეთ. სუსლოვი ამბობს:

„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არდაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშავოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც როგორც მოგეხსენებათ ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთის, აჭარისა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს".

ჩვენ, ეჭვი არ გვეპარება, თქვენ ყველაფერს გააკეთებთ იმისათვის, რომ აჭარა არ გახდეს "სუსლოვეების" დამყაყებული იმპერიული ზრახვების მსხვერპლი. ამიტომ საჭიროა თქვენ ჩაბრძანდეთ ჩვენს დედაქალაქ თბილისში და მშიდობიანად მოაგვაროთ ყველა სადავო საკითხი; და ამისათვის მოგიწოდებთ თქვენ ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთიდან. აქვე ვიმეორებთ მემედ აბაშიძის 1921 წელს წარმოთქმულ მოწოდებას: "გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!"

პატივისცემით,

(კარლო ინასარიძე)
ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე უცხოეთში
პარიზი-ლევილი, 2004 წლის 26 მაისი

CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
France

# სოხუმის დაპყრობის მეთერთმეტე წლისთავი

**„სოხუმის დაცემის დღე — 27 სექტემბერი უნდა იქცეს სიკეთის, დაღუპულთა ხსოვნის, ძმობის, მეგობრობის, თანადგომისა და იმედის დღედ, რადგან აფხაზეთის ტრაგედია აღელვებს და სტკივა სრულიად საქართველოს“**

## სოხუმი – ცხინვალი - ბათომი

I.

უკვე მეთერთმეტე წელიწადია, რაც რუსეთი განუკითხავად ბატონობს ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში თითო-ოროლა აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტის ნიღბით, რაც გამომდინარეობს მეფის რუსეთის, ბოლშევიკური რუსეთისა და ახლა პოსბოლშევიკური რუსეთის დიდმპყრობელ შოვინისტების აწ უკვე თითქმის ორასწლოვან იმპერიულ პოლიტიკისაგან, რომლის კულმინაციურ წერტილად გვესახება მიხეილ სუსლოვის(1902-1982) – სსრკ-ას თითქოს კომპარტიის იდეოლოგის, სინამდვილეში კი რუსი შოვინისტის - „დახურული მოხსენება“, რომელშიც იგი რასისტულად მოითხოვს ქართველი ერის ფიზიკურ განადგურებასაც კი. ჩვენ ყოველთვის ვაქვეყნებთ ამ სამარცხვინო დოკუმენტს ჩვენს ჟურნალ „მებრძოლ საქართველოში“ და ჟურნალ „მესამე დასში“ სათაურით „სუსლოვის სული“, რადგან ვიმედოვნებთ, რომ რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტი – ვლადიმერ პუტინი – არ იზიარებს დიდმპყრობელ-შოვინისტთა აღნიშნულ და მისმაგვარ დოკუმენტების ანტიქართულ სულისკვეთებას, თუმცა ამის საბაბს უახლესი ფაქტები არ იძლევიან.

II.

საქართველოს 2004 წლის 4 იანვარს არჩეული ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილი, მაგალითად, საქართველოს საპარლამენტო არჩევნების კამპანიაში უშუალო მონაწილეობის მიზნით, აჭარას ეწვია, რამაც ისეთი ხასიათი მიიღო, რომ საქართველოს რეგიონის – აჭარის - მეთაური მაშინვე მოსკოვში გაფრინდა და, აფხაზეთისა და შიდა ქართლის კრემლის მონამორჩილ „ნამესტნიკებთან“ ერთად, ინსტრუქციები მიიღო თუ როგორ არ უნდა დაემორჩილოს ასლან აბაშიძე საქართველოს პრეზიდენტს, რის ძალას – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით – აბაშიძე რუსეთის სამხედრო ბაზაში ხედავს, რაც განლაგებულია ჩვენს ბათომში.

III.

ეს მყვირალა ფაქტი ჩვენთვის შემზარავია განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენი ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალურმა ორგანომ უცხოეთში, პარიზში, -„მებრძოლმა საქართველომ“ – მთელი სპეციალური ნომერი მიუძღვნა აჭარას საერთო ტიტრით – „ჩვენი აჭარა“, რომელშიც, ეროვნული შეგნებით, ქება-დიდება მივუძღვენით აჭარის ხელმძღვანელობას და პირადათ ასლან აბაშიძეს, რომ მან აფხაზეთისა და შიდა ქართლის ბედი ააცდინა აჭარას, და ახლა? - ასლან აბაშიძე კრემლის ხშირი სტუმარია, მაგრამ ჩვენს დედაქალაქში – თბილისში – მისვლას ისეთი ჯინით არიდებს თავს, რომ თითქოს საქართველოს მთელი სვე-ბედი აბაშიძეზე იყოს გამოკიდებული. ვიმეორებთ: ამ ფაქტმა ჩვენ მეტად დაგვწვა გული, როცა ასლან აბაშიძე რუსეთის ფარულ „ნამესტნიკად“ გვევლინება ჩვენს აჭარაში და რუსეთის სამხედრო ბაზას ეყრდნობა მისი და ამით ჩვენი პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში. ვითომ სინამდვილეს შეესაბამება „ჩვენი აჭარის“ ორგანიზაციის დემონსტრანტთა ძახილი, რომ ასლან აბაშიძე შუასაუკუნეების კატეგორიებში აზროვნებს?..

IV.

მაგრამ ყველაფერ ამაში (და კიდევ მეტში) ჩვენ ბრალს ვდებთ არა იმდენად ასლან აბაშიძესა და „ბაბუს“ მომხრე ჩვენს თანამემამულეებს, რამდენადაც ბრალს ვდებთ კრემლს, რუსეთის პრეზიდენტს, რომელიც „ნამესტნიკების ინსტიტუტით“ ისევ ცდილობს საქართველოს ისედაც დაქუცმაცებული ტერიტორიის მიტაცებას, - ამჯერად აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიების მიტაცებას. როგორც სჩანს, რუსეთმა, მისი იმპერიული მადა ვერ დაიკმაყოფილა, როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო, და საქართველოს მაშინდელ სულ 91.100 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიიდან, საბჭოთა საქართველოს მხოლოდ 69.700 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია დაუტოვა, დანარჩენი კი – სულ 20 400 კვადრატული კილომეტრი ქართული მიწა-წყალი - ჩვენს მეზობლებს დაურიგა, და თვით რუსეთმაც მიითვისა ჩვენი სოჭა და მისი რეგიონი თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს.

V.

და, აი, ასეთ უმწეო მდგომარეობაშია არის დღეს საქართველო განსაკუთრებით იმის გამოც, რომ უკვე თერთმეტი წელიწადია სამას-ათასზე მეტი ლტოლვილები ელოდებიან თავთავიანთ სახლკარში დაბრუნებას ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

VI.

2004 წლის 28 მარტის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებმა კი, რომელიც აფხაზეთსა და შიდა ქართლის ნაწილში, ვერ ჩატარდა, რადგან იქ თითო-ოროლა აფხაზი და ოსი ექსტრემისტი ბატონობს როგორც პოსბოლშევიკური რუსეთის მარიონეტები, - კიდევ ერთხელ ნათელი გახადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის დიდმპყობელ-შოვინისტების უშედეგო ცდა, ჩვენს აჭარაშიც, ისე როგორც აფხაზეთსა და შიდა ქართლში, - შეინარჩუნოს „სტაბილური არასტაბილური" მდგომარეობა: აჭარის ამომრჩევლები არ შეუშინდა „სტაბილური არასტაბილური" მდგომარეობის მქადაგებლებს და მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობას, რასაც, უდავოა, მოყვება, უნდა მოყვეს ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების ისევ გაბატონება, საქართველოს კანონების უზენაესობის აღიარება.

VII.

„მზად ვარ, ჩემი სიცოცხლის ფასად აღვადგინო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო, რათა შევინარჩუნო მშვიდობა..." – ამბობს ჩვენი პრეზიდენტი; და მთელი ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა რომ მხარს უჭერს მას, ეს კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა 2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებშიც, რაც – თავის მხრივ – გვაძლევს იმედს, რომ მალე აფხაზეთი და შიდა ქართლი ისევ გახდება საქართველოს განუყოფელი ნაწილები, როგორც ეს იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების სამ-ათასი წლის განმავლობაში.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 2004 წლის 12 მაისი.

---

## დიმიტრი გულია, პეტრე ჭირაია და ჩვენი აფხაზეთი

დიმიტრი გულია

აფხაზი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე
აფხაზებისა და ქართველების შესახებ:

"ჩვენ – წერს დიმიტრი გულია – ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი ცულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართო, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა ჰგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია; აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით, რომ ვთქვათ, იგი თავისა მტერია".

დ. გულია

პეტრე ჭირაია

აფხაზი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე
აფხაზებისა და ქართველების შესახებ:

"აფხაზეთის პოლიტიკური ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიასთან. აფხაზეთში, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, აღორძინდა ახალი ქართული სახელმწიფო. დღეს მთელი აფხაზეთის ტერიტორია მოფენილია ქართული ეკლესიებითა და ქართული წარწერებით. აფხაზური ტექსტისათვის ჩვენ ვხმარობთ ქართულ ანბანს, ქართულ ტრანსკრიპციას, რაც სავსებით ეგუება და ეთანაბრება აფხაზურს".

პ. ჭირაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველა გზა მოსკოვზე გადის?!..

I.

"ყველა გზა მოსკოვზე გადის?!.." – ასეთ სათაურს ვაძლევთ, კითხვითი ნიშნით, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მრავალფეროვან და მრავალფენოვან ვიზიტს – ქრონოლოგიურად რომ ავღნიშნოთ - მოსკოვში, სტრასბურგში, ბერლინში, ნიუ-იორკში, ვაშინგტონში და პარიზში, რაც, ამავე დროს, საქართველოს რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ მდგომარეობაზე მეტყველებს - დაწყებული 1991 წლის 27 დეკემბრიდან, როცა სსრკ-ა თვით რუსეთმა დაშალა, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფი, იცნო ფაქტიურად და იურიდიულად. მაგრამ რა? – საქართველო პოსტბოლშევიკური იმპერიული რუსეთის სავარჯიშო მოედანი გახდა, რაც გრძელდება დღემდე.

II.

და სწორედ მოსკოვის პოსტბოლშევიკური რუსეთიც რომ აწ უკვე ძირმომპალი რუსეთის ორასწლოვანი იმპერიულ პოლიტიკაზე ხელს არ იღებს საქართველოს მიმართ, ესაა, სხვათა შორის, ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტის აქტიურობის მთავარი მიზეზი საერთაშორისო არენაზე, თუმცა ჩვენი – შეგნებული თუ შეუგნებელი – როსოფილებიც მამა აბრამის ბატკნები არც იყვნენ და არც არიან, როცა – ვიმეორებ: შეგნებულად თუ შეუგნებლად – დიდმპყობელ-შოვინისტებისაგან - ეროვნული თავის-უფლების ხარჯზე - ჩინმენდლებს მოელიან.

III.

აი, ამგვარი ჰერკულესის ტვირთის ზიდვა იკსრეს, მეტნაკლებად, საქართველოს რესპუბლიკური ხანის პრეზიდენტებმა – ნოე ჟორდანიამ(1918-1921 წლები), ზვიად გამსახურდიამ(1991-1992 წლები), ედუარდ შევარდნაძემ(1993-2003 წელი), ნინო ბურჯანაძემ(2003-2004 წლები) და ახლა მიხეილ სააკაშვილმა, რომლის გაბედული ნაბიჯები საერთშორისო ურთიერთობაში იმდენად გულღია, იმდენად გულწრფელია, რომ შეიძლება დიპლომატიის ტრადიციულ საზღვრებს სცილება კიდეც.

IV.

ჩვენი პრეზიდენტი, მაგალთად, 12 თებელვალს შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს – ვლადიმერ პუტინს , რაც "პრაქტიკულად 4 საათი გასტანა."

1. "მთავარი, რასაც მივაღწიეთ, არის პოზიტიური ტენდენციის შექმნა."
2. "პირველი, რაზედაც ჩვენ მოვილაპარაკეთ არის ის, რომ ერთობლივად დავიცვათ საქართველო-რუსეთის საზღვრის ის მონაკვეთები, სადაც შესაძლებელია შეიარაღებული ელემენტების მოძრაობა წინ და უკან".
3. ლაპარაკი იყო "ვიზების გამარტივებაზე".
4. აფხაზეთში "ორივე მხარემ უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, რათა რეალური სამშვიბოდო პროცესი დაიწყოს და გააქტიურდეს"; "...შემოდგომაზე საბოლოოდ ხელი მოეწერება...ჩარჩო ხელშეკრულებას. ამისათვის რუსეთის პრეზიდენტი თბილისში ჩამოვა, ალბათ, სექტემბერში".

V.

ჩვენი პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის - მოსკოვში ვიზიტის არსი რომ აღვიქვათ, ალბათ, საჭიროა მისი "ეხო მოსკვის" წამყვან ალექსეი ვენედიქტოვეთან(13.2.2004 წ.) გასაუბრების ზოგიერთი ადგილის ციტირება:

"ჩვენ გამოგიწოდეთ მეგობრობის ხელი. ეს იყო საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის დროს...", - თქვა ჩვენმა პრეზიდენტმა, და მაშინვე გადაიტანა საუბარი ჩვენს ყველაზე უფრო ნტკივნეულ პრობლემა - აფხაზეთზე. "ყველა ქართველმა პრაქტიკულად დატოვა აფხაზეთი, ისევე, როგორც ეთნიკური აფხაზების დიდმა ნაწილმა.... ეს კუთხე სამხედრო ზონად იქცა. ყველა პლაჟი დანაღმულია... ქართველი ეროვნების ნებისმიერი ადამიანი, რომელიც აფხაზეთში მოხვდება, მოკლული იქნება. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოვნახოთ კავშირი ქართველებსა და აფხაზებს შორის... გარდა ამისა, იყო აფხაზებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების კამპანია....ასევე არ შეიძლება ცალმხრივად გადაწყდეს ვიზებთან დაკავშირებული საკითხები". "ჩვენ უკვე მოგვბეზრდა ვიქონოით საქმე რუს გენერლებთან....რუსეთის პოლიტიკა კრემლში უნდა იქმნებოდეს... ყველამ უნდა გაიგოს, რომ ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული – ჩვენ რუსეთი გვჭირდება არა როგორც მეტოქე და მოწინააღმდეგე, არამედ როგორც მეგობარი... მე არ ვარ პრორუსული პრეზიდენტი, ისევე, როგორც არ ვარ – პროამერიკული. ეს არასოდეს არ იქნება. საქართველოს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ქართველი პრეზიდენტი..."

VI.

და აქ დავუგდოთ ყური "ეხო მოსკვის" წამყვან ალექსეი ვენედიქტოვის ირონიულ მუქარას: "ომი იქნება ბატონო პრეზიდენტო". "არა". მკვეთრად უპასუხა ჩვენმა პრეზიდენტმა და განაგრძო: "თავდაპირველად, გენერლები აცხადებდნენ, რომ ბაზების გაყვანას 11-15 წელი დასჭირდება, შემდეგ 7-9 წელზე ჩამოვიდნენ, გუშინწინ კი გავიგე, რომ თურმე 5-7 წელიც საკმარისი იქნება.... ამ ბაზებში 3 ათასზე მეტი კაცია, რომელთა უმრავლესობა - 2 ათაზე მეტი – ადგილობრივი მცხოვრებია..., რომელთაც რუსული პასპორტები აქვთ, ანუ, რეალურად იქ 500-600 რუსი ოფიცერია, ჩვენ კი გვიცხადებენ, რომ 500 მილიონი დოლარი გვჭირდება მათ გასაყვანადო, ანუ მილიონი დოლარი სულზე გაანგარიშებით".

VII.

და აქ ჩვენი შენიშვნა: ვითომ საქართველოს მიმართ მართლა გადის ყველა გზა მოსკოვზე?.. ვითომ უკვე არ უნდა აღიკვეთოს დიდმპყრობელ-შოვინისტების აღნიშნული და მისი მსგავსი ღია თუ ფარული მუქარები "კალაშნიკოვის ენით"?.. ვითომ საქართველო, ქართველი ერი, საქართველოს მოსახლეობა ტერიტორიულ მთლიანობას განახორციელებს, თუ ჩვენ შევძლებთ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების, პირველყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას არა მარტო ამ საკითხში?..

VIII.

საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, არა მარტო კავკასიის რეგიონში, დღეს იმდენად დიდია, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პოსტბოლშევიკურმა რუსეთმაც ნუთუ ვერ უნდა შეიგნოს, რომ მისი ორაწლოვანი განუკითხავი ბატონობა საქართველოში დამთავრდა, და დროა მეგობრობა დამყარდეს რუსეთსა და საქართველოს შორის, რომლისაკენ ასე აღტინებით მოგვიწოდებს საქართველოს პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილი?..

IX.

და თუ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი შემოდგომაზე მართლა თბილისში ჩამოვა და ხელს მოაწერს ჩარჩო ხელშეკრულებას რუსეთსა და საქართველოს შორის – ეს არ არის საბაბი იმისა, რომ რუსეთის პრეზიდენტს მივესალმოთ: "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქათველოში?.."

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2004 წლის 12 აპრილი

ილია პატარა ერების შესახებ:

"... ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა, - რა გინდ
პატარა ერი იყოს, - არავისთვის არც მოსაწონია,
არც გამოსაყენებელი... ყველამ თავისით უნდა მოიწონოს
თავი, ყველას თავისი უნდა ეკუთნოს."

ილია

ვაჟა-ფშაველა თავისუფლების შესახებ:

"უპირველეს ყოვლისა სული უნდა გრძნობდეს ბედნიერებას; იგი, როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა იყოს ცხოველმყოფელი, შემქმნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი და ამასთან უთუოდ თავისუფალი, როგორც გაზაფხულზე ბუნება".

"მონობა სიკვდილია – თავისუფლება სიცოცხლე და ბედნიერება. მონობაში არწივი ას წელს ვერ ცოცხლობს, თავისუფლებაში კი ორასსაც გადააჭარბებს".

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუსლოვის სული

მიხეილ სუსლოვი (1902-1982) იყო რუსეთის ბოლშევიკური პარტიისა და ამით სსრკ-ს კომპარტიის იდეოლოგი, რომელსაც 80-იან წლებში გაუკეთებია „დახურული მოხსენება“, რომელშიც იგი ამჟღავნებს მის დიდმპყრობელ-შოვინისტურ, ანუ რასისტულ მრწამსს საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ. სუსლოვი ამბობს :

„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არდაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რეპუბლიკებში სხვადასხვა იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც როგორც მოგეხსენებათ ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთის, აჭარისა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდა ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს“.

## "L´âme de Souslov"

Dans son édition du 30 octobre 1999 le journal << La République de Georgie >> a fait paraître un article détaillé, article dans lequel Vakhtang Abashidze, directeur des relations de presse du président, écrit qu´il existe aujourd´hui en Géorgie une menace de renaissance de << l´âme de Souslov >>

Dans cet article, une explication est fournie sur la signification de cette soi-disant << âme de Souslov >>. MikheiilSouslov (1902-1982) était ce qu´il convient d´appeler l´idéologue du parti bolchévique de Russie et du parti communiste d´URSS.

Mikheiil Souslov a fait, dans les années 80 une << conférence à huis clos >> au cours de laquelle il a justifié sa grande conviction expansionniste chauvin et raciste, est-il besoin de le rappeler, à l´encontre de la nation géorgienne.

Voici ce que Souslov nous dit:

"Le parti communiste est le ciment de la Russie et nous devons oeuvrer pour un plan de sauvegarde de la Russie, avant que celui-ci ne perde sa force et sa nature même, plan qui sera différent selon la République à laquelle il s´adressera.

Nous devons permettre à nos Généraux d´Extrême Orient de continuer à avoir des conditions de vie << normales >>.

Pour procéder à leurs rapatriements, nous avons besoin des territoires situés au bord de la Mer Noire où vivent, comme vous le savez, les Georgiens.

Nous devons tenir compte du fait que les Géorgiens se différencient fortement de nous, et que tôt ou tard, ils poseront la question de l´indépendance et de la liberté.

Nous devons commencer à les affronter en Abkhazie. En profitant de l´Abkhazie nous accorderons l´indépendance à la Mingrélie, la Svanéthie et l´Adjarie. Nous raviverons ainsi les sentiments provinciaux et nationaux entre eux.

Nous devons dresser la Géorgie Occidentale contre la Géorgie Orientale et jouer le rôle de conciliateurs.

Nous devons simultanément persuader scientifiquement les Géorgiens qu´ils sont issus de pays divers et qu´ils sont les représentants de diverses nations ce qui nous donnera la possiblité de les chasser définitivement du territoire géorgien".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

## ღირსეულ პრეზიდენტთა ღირსეული მემკვიდრე

### საქართველოს ახალი პრეზიდენტის არჩევნების გამო

I.

2002 წლის 4 იანვარს საქართველოს მოსახლეობამ ჩვენს ახალ პრეზიდენტად აირჩია 36-ი წლის – მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც შვეიცარიული დიდი გაზეთი - „ნოიე ციუხერ ცაიტუნგი" – „ევროპაში ყველაზე უფრო ახალგაზრდა პრეზიდენტს" უწოდებს, რაც ჩვენ გვიბიძგებს იმისაკენ, რომ ჩვენს ახალგაზრდა პრეზიდენტს არა მარტო მიულოცოთ გამარჯვება 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში, არამედ ამასთანავე აღფრთოვანებით შევძახოთ, რომ ის არის საქართველოს რესპუბლიკური ხანის ღირსეულ პრეზიდენტთა – ნოე ჟორდანიას, ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და ნინო ბურჯანაძის – ღირსეული მემკვიდრე, რითაც იმის თქმა გვსურს ხაზგასმით, რომ საქართველოს არნიშნულმა პრეზიდენტებმა ყველაფერი მოიმოქმედეს განხორციელება შეძლეს, მეტნაკლებად, რის გაკეთება შესაძლებელი იყო მათი პრეზიდენტობის დროს, და ეს უკვე დიდი დამსახურებაა საქართველოსა და ქართველი ერის წინეშე.

II.

ამით კი იმის თქმა გვსურს, რომ ჩვენმა ყოველმა ახლად-არჩეულმა (არა მარტო) პრეზიდენტმა თავი უნდა აარიდოს საქართველოს (არა მარტო) ყოფილი პრეზიდენტების აუგად ხსენებას, რის მაგალითებს გვაწვდის მსოფლიოს ტრადიციული დემოკრატიული სახელმწიფოები – ინგლისი, აშშ, საფრანგეთი თუ საქართველოსავით პატარა სახელმწიფო - შვეიცარია, სადაც ყოველი ახლად-არჩეული (არა მარტო) პრეზიდენტი არა იმაზე ამახვილებს ამომრჩეველთა ყურადღებას თუ რა გააკეთა „ცუდათ" ყოფილმა პრეზიდენტმა, არამედ იმაზე თუ რის გაკეთება სურს მას „ უ კ ე თ ე ს – ა დ". და ასე ალეითქმით ჩვენ მიხეილ სააკაშვილის მიდგომა ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობისადმი, როცა რაინჰარდ მაიერის(NZZ-26.1.2004) შეკითხვაზე: „შევარდნაძის წინააღმდეგ თუ იქნება საქმე აღძრული", - უპასუხა: „ამგვარ კითხვას ზოგიერთები აყენებენ საქართველოში. მაგრამ მე არა ვარ იმ აზრის, რომ ეს იქნებოდა კარგი იდეა".

III.

და, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ჩვენმა ახალმა პრეზიდენტმა მართლაც მოკიდა ხელი იმას თუ რის გაკეთება შეუძლია მას უ კ ე თ ე ს ა დ: 2004 წლის 19 თებერვლის ბრძანებულებით, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის მეცვის შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშნა ზურაბ ჟვანია, რომელმაც, თავის მხრივ, მთავრობის წევრებად დანიშნა 15-ი მინისტრი და 4-ი სახელმწიფო მინისტრი. საქართველოს პარლამენტმა კი დაამტკიცა, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე, საფრანგეთსა და იუნესკოში – ქალბატონი ლანა ღოღობერიძე, გერმანიასა და პოლონეთში – ქალბატონი მაია ფანჯიკიძე, ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლად დაინიშნა ყოფილი თავდაცვის მინისტრი – დავით თევზაძე, და სხვა. ყველაფერი ეს მიუთითებს იმისაკენ, რომ ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტი ახალგაზრდული აღტაცებით შეუდგა საქმის კეთება-განხორციელებას, რაც გარსამღერულ საშიშროებასაც უქმნის საქმის უ კ ე თ ე ს ა დ გაკეთება-განხორციელებასაც, რადგან მოქმედება-საქმეს თავიათავში აქვს „შეცდომის" თესლიც.

IV.

„რომი ერთ დღეში არ აშენებულა" – ამბობს რომაული ხალხური სიბრძნე. საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურელი და სოციალური ცხოვრება ისე მრავალფეროვანი და მრავალფენოვანია, რომ, ჩვენის აზრით, სასურველია ნაკლოვანებათა აღმოფხვრა უფრო ევოლუციური, თანდათანობითი, ვიდრე "რევოლუციური" გზით – როგორი "ვარდებისაც" არ უნდა იყოს ეს "რევოლუცია". მაგალითად, ჩვენი პრეზიდენტის მიერ 2004 წლის 19 თებერვლის მოთხოვნა საბჭოეთისდროინდელი უშიშროების არქივების გახსნა და მისი საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა – "...ახალი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალბებისათვის აუცილებელია", რაც ჩვენ შეუსაბამოთ მიგვაჩნიადა, აი, რატომ:

V.

ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტი რომ 36-ი წლის წინათ დაიბადა, ეს "მის დამსახურებად" არ შეიძლება ჩაითვალოს. ვინ იცის რა იქნებოდა მისი ავტობიოგრაფია, რომ, ვთქვათ, 20-ი ან 40-ი წლით ადრე დაბადებულიყო!.. ასაკზე იმიტომ ელაპარაკობთ, რომ – თუ კარგად მახსოვს – 80-იან წლებში ჩატარდა საქართველოს კომპარტიის ყრილობა, რომელსაც დაესწრო 330-ათასი წევრი და კანდიდატი. და, ხომ კარგად ვიცით, რომ ეს ადამიანები იყვნენ ჩვენი ხალხის ნაღები, რომლებიც კომპარტიის წევრები გახდენ – თითო-ოროლა გამონაკისს გარდა – "ოპორტუნისტულად", რომ ცხოვრების შესაძლებლობა ჰქონოდათ პირადათ მათთვისა და მათი ოჯახებისათვის!..

VI.

რა თქმა უნდა, ჩვენ აქ არ ელაპარაკობთ სისხლის სამართლის დამნაშავეებზე, რომელთა გასამართლების დროც დადგება. მაგრამ ახლა, 2004 წელს, ჩვენ უფრო გვესაჭიროება ბოლშევიკური ჭრილობების ისევ გახსნა და მისი ქირურგიული დანით გაჭრა, ვიდრე ჩვენს მოსახლეობაში დამეფება "ერთობისა მრავალფეროვნებაში?.."

VII.

გვჯერა, რომ ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტი ყველა აქ აღნიშნულ (და არაღნიშულ) საკითხებში კარგად ერკვევა, რომლის დროს უყურადღებოთ არ ტოვებს ისეთ ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხებს, როგორიცაა აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემები, რომლებიც არის, ჩვენის აზრით, საქართველოს პოსბოლშევიკური ხანის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტერული და სოციალური სირთულეების მთავარი წყარო. ამიტომ მისასალმებელია მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი მოსკოვში, მისი ვლადიმერ პუტინთან შეხვედრა და მისი განცხადება "...რომ ქართველებს სურთ დაძლიონ წარსულის ინერცია, იმედობრონ რუსეთთან და ისინი ამისათვის მზად არიან".

VIII.

საგულისხმიეროა აგრეთვე მიხეილ სააკაშვილის განცხადება ასლან აბაშიძის მიმართ: "თუ ის ახერხებს და თითქმის ყოველ კვირა დადის მოსკოვში, კეთილი ინებოს და თბილისშიც ჩამოვიდეს". იგი ვალდებულია, როგორც ერთ-ერთი რეგიონის ხელმძღვანელი, დაემორჩილოს ცენტრს და შეასრულოს ყველა ის დავალება, რაც ცენტრიდან იქნება წამოსული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიღებული იქნება ყველა ის ზომა, რასაც ამ შემთხვევაში "კანონი და ქვეყნის ერთიანობის პრინციპები ითვალისწინებს".

აქაც, უდავოა, ჩვენი პრეზიდენტი ლაპარაკობს პირდაპირ და გულღიად, თუმცა "მუქარის" დიპლომატიური თავის-არიდება უმჯობესია, მით უმეტეს, რომ ჩვენ არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ აჭარის ხელმძღვარელის – ასლან აბაშიძის – დამსახურება აჭარაში თავი აერიდებია დიდმპყრობელი-შოვინისტების ისეთ თარეშს, როგორსაც ადგილი ჰქონდა და აქვს ჩვენს აფხაზეთში, რასაც მოყვა 300-თასამდე ლტოლვილი, რომლებიც დღემდე ელოდებიან თავიათ სახლკარში დაბრუნებას ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

IX.

აღნიშნული გაგებით, გილოცავთ თქვენ - ბატონო მიხეილ - 2004 წლის 4 იანერის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას, და გისურვებთ წარმატებებს თქვენს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ, რომ თქენ ხართ საქართველოს რესპუბლიკური ხანის ღირსეულ პრეზიდენტთა – ნოე ჟორდანიას, ზვიად განსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და ნინო ბურჯანაძის ღირსეული მემკვიდრე. "საქმემან თქვენმა გამოგაჩინოს თქვენ!.."

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2004 წლის 20 თებერვალი.

"მაშ რად გამზარდა დედამა,
რად გამიმწკრივა მკლავია,
თუ კი სამშობლოს ხარგოდა
იგი არ მომიხმარდა!

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ოპოზიცია უნდა გავაძლიეროთ..."

(ა ნ ა ლი ზ ი)

I.

„ოპოზიცია უნდა გავაძლიეროთ..." იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის თავმჯდომარის – ნოე ჟორდანიას – პირველი კომენტარი, როცა ნათელი გახდა, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის თებერვლის არჩევნებში – პარლამენტის სულ 130 დეპუტატიდან –

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან არჩეულ იქნა.........................109 დეპუტატი;
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან........................................ 8 დეპუტატი;
საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან.................................... 8 დეპუტატი;
საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან.................................. 5 დეპუტატი.

ნოე ჟორდანიას სწამდა, რომ ძლიერი, კონსტრუქციული ოპოზიცია წინაპირობაა პოზიციის(მთავრობის) ძლიერი, კონსტრუქციული მოღვაწეობისათვის.

II.

პოზიცია-ოპოზიციის ამგვარი ურთიერთობა, გასაგებია, ქმნის სახელმწიფო ხელისუფლების, მეტნაკლებად, ისეთ გაწონასწორების საშუალებას, რომ ხალხს შეუძლია მთავრობა, – არჩევნების გზით, ე.ი. კანონის შესაბამისად, ლეგალურად, – გადააყენოს და ოპოზიციას ჩააბარო სახელმწიფო მმართველობა განსაზღვრული დროის განმავლობაში. ამიტომ ამბობს ნოე ჟორდანია, რომ "დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი".

III.

და ხელისუფლების ამგვარი გაწონასწორებისაკენ მიისწრაფოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში, როცა საქართველოს თავს დაესხა ბოლშევიკური რუსეთი, დაიპყრო იგი - 1921 წლის 11 თებერვლიდან – 17 მარტამდე - და საქართველო ისევ რუსეთის თავისებურ კოლონიად აქცია. 1991 წლის 9 აპრილს კი, საქართველომ ისევ შეძლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რასაც მოყვა სსრკ-ს დაშლა. მაგრამ ჩვენ დღემდე მაინც ვერ შევძელით საქართველოში პოზიცია-ოპოზიციის ისეთი გაწონასწორება, რომ შესაძლებელი გახდეს მთავრობის ლეგალური შეცვლა დემოკრატიული არჩევნების გზით.

IV.

მაგალითად, საქართველოს დემოკრადიული რესპუბლიკის, სხვათაშორის, პირველ დემოკრატიულ არჩევნებში საერთოდ საქართველოს ისტორიაში, – ოპოზიცია, როგორც აღვნიშნეთ, მეტად სუსტი აღმოჩნდა, რამაც განაპირობა ერთი პარტიის –სოციალ-დემოკრატიული პარტიის - თითქმის 90-პროცენტიანი გამარჯვება დამფუძნებელი კრების 1919 წლის თებერვლის არჩევნებში. ანალოგიური აღმოჩნდა - ზვიად გამსახურდიას – ჯერ – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ და – შემდეგ – საქართველოს პრეზიდენტად არჩევა. ედუარდ შევარდნაძეც, ერთხელ - ჯერ პარლამენტის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ კი საქართველოს პრეზიდენტად ორჯერ აეირჩიეთ ამომრჩეველთა ხმების 90-პროცენტზე მეტი უმრავლესობით; და ანალოგიურად ჩატარდა საქართველოს ახალი პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის – არჩევნებიც: 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში –

მიხეილ სააკაშვილმა მიიღო ხმების...........................................96,27 პროცენტი;
თემურ შაშიაშვილმა.............................................................. 1,85 პროცენტი;
რონ ლიპარტელიანმა.............................................................. 0,26 პროცენტი;
ქართლოს ღარიბაშვილმა........................................................... 0,21 პროცენტი;
ზურაბ ქელეხსაშვილმა............................................................. 0,10 პროცენტი;
ზაზა სიხარულიძემ კი მიიღო ხმების.............................................. 0,24 პროცენტი.

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა უდრიდა – 2 231 986 სულს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო – 1 963 556 ამომრჩეველმა. ბათილად მიჩნეულ იქნა – 13 571 ამომრჩევლის ხმა, ხოლო დაუდგენელი ნიმუშის კონვერტთა რაოდენობა – 67-ს შეადგენდა.

ამგვარად, საქართველოს ახალ პრეზიდენტს ხმა მისცა ამომრჩეველთა 96,27 პროცენტმა. არჩევნებში ამგვარ შედეგს კი დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში არჩევნების "სამჭოურ" მეთოდს უწოდებენ, რადგან ერთ წამოყენებულ კანდიდატს ფაქტიურად სერიოზული მოწინააღმდეგე არ გააჩნია, როგორც ამას აქ მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებს.

ანალოგიური შედეგებით დამთავრდა 2004 წლის 28 მარტის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებიც, რომლის საბოლოო შედეგები(18.4.2004 წელი) ასეთ სურათს იძლევა:

1."ნაციონალურ მოძრაობა-დემოკრატებმა" მიიღო საერთო ხმების..........................66,24 პროცენტი;
2."მემარჯვენე ოპოზიცია"-"მრეწველები"-"ახლების" ბლოკმა მიიღო ხმების......................7,56 პროცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის კი, პარლამენტის სულ 150 დეპუტატიდან, პირველმა გაიყვანა 135 დეპუტატი, ხოლო "მემარჯვენე ოპოზიციამ" – 15 დეპუტატი.
დანარჩენ პარტია-ბლოკემა კი ვერ გარღალახეს 7-პროცენტიანი ბარიერა და დარჩენ პარლამერტის გარეთ. ასეთებია:
3. "აღორძინების კავშირი"............................................................................3,86 პროცენტი;
4."ლეიბორისტული პარტია"..........................................................................6,01 პროცენტი;
5."თავისუფლება"...........................................................................................4,39 პროცენტი;
6."ედპ – ტრადიციონალისტები"...................................................................2,55 პროცენტი;
7."ჯუმბერ პატიაშვილი"-"ერთობას" ბლოკი..................................................2,47 პროცენტი.
დანარჩენმა პარტიებმა და საარჩევნო ბლოკებმა ერთპროცენტიანი ბარიერის გარღალახვაც კი ვერ მოახერხეს. ზოგიერთ პარტიას კი, სხვადასხვა მიზეზების გამო, საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა არჩევნებში, როგორიცაა, თუ გნებავთ, სოციალ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ეს უძველესი პოლიტიკური პარტია.

V.

აღნიშნულ ფაქტებიდან გამომდინარე, ჩვენ, ქართველობამ, საქართველოს ხალხმა ვერ შევძელით, – ვერც 1918-1921 წლებში და ვერც 1991 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული, – პოზიცია(მთავრობა) – ოპოზიციის ისეთი "გაწონასწორება", რომ პოზიციისა და ოპოზიციის კანდიდატებს შორის არსებობდეს გამარჯვების, დაახლოებითი, "სანახევრო" თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა , როგორც ეს ხდება, მაგალითად, ტრადიციულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში – ინგლისში, აშშ-ში, საფრანგეთში თუ გერმანიაში, რომლებშიც არსებითად ორი მხარის – "მემარჯვენეების" და "მემარცხენეების" კანდიდატები იბრძვიან გამარჯვებისათვის – არის არჩევნები საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ ადგილობრივი მმართველობისათვის.

VI.

ამას ემატება კიდევ ისიც, რომ ჩვენ, ქართველობამ, საქართველოს მოსახლეობამ დავივიწყეთ(თუ მიმივიწყეთ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ამ "პატარა ოქროს ხანისა" და მისი "ოქროს თაობის" პოლიტიკური "პრაგმატული" კულტურა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ჩვენი კონსტიტუცია გამომდინარეობდა საქართველოს, ე.ი. "პატარა სახელმწიფოს" სინამდვილიდან, როცა, მაგალითად, მხოლოდ საქართველოს დამფუძნებელი კრების(პარლამენტის) არჩევნები, რომელშიც მონაწილებდა პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, – განსაზღვრავდა პარტიათა სიძლიერე, პარტიების დეპუტატების რაოდენობას პარლამენტში, მთავრობის შემადგენლობას და ოპოზიციის სიძლიერეს, რითაც გამარტივებული, თვალსაჩინო იყო ჩვენს სახელმწიფოში ხელისუფლების სამი სვეტის – კანონმდებლობის, მმართველობის და სასამართლოს – უფლებამოსილება, რომელთა განუყოფელი ნაწილია ოპოზიცია. ამგვარი მარტივი და თვალსაჩინო ხელისუფლებიდან გამომდინარეობდა აგრეთვე ისიც, რომ – აშშ-ს, არა მარტო ამ უზარმაზარი სახელმწიფოს მაგალითის წაბაძვით – საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის თავდჯდომარის უფლება-მოვალეობას ასრულებდა ე რ თ ი პიროვნება – 1918-1921 წლებში – ნოე ჟორდანია, რაც, ხელისუფლების აღნიშნული გამარტივების გარდა, – სახელმწიფოს მოხელეთა შემცირებასაც იწვევდა.

VII.

ჩვენ კი ახლა, ჩვენი პრეზიდენტის 2004 წლის 17 თებერვლის ბრძანებულებით, დავნიშნეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრი – ზურაბ ჟვანია – ისე, თითქოს "პატარა" საქართველოს პრეზიდენტს – მიხეილ სააკაშვილს, – "დიდი" აშშ-ს მსგავსად, არ შეეძლოს საქართველოს მთავრობის მმართველობა, რაც არა მარტო მმართველობის გამარტივება, არამედ სახელმწიფო ხარჯების შემცირებაც იქნებოდა.

VIII.

და აქ თავს იყრის არა მარტო პოზიცია-ოპოზიციის, მეტ-ნაკლები, "გაწონასწორების" კარდინალური ურთიერთობა, არამედ, საერთოდ, სახელმწიფო ძალაუფლების პრობლემა, რაც გაანალიზებისაკენ გვიბიძგებს:
სახელმწიფო ხელისუფლება არასოდეს არ არის "უპატრონო": როცა ერთი მეფე(თუ პრეზიდენტი) მიდის, იქვე მზადაა მომავალი მეფე (თუ პრეზიდენტი) დაეპატრონოს ხელისუფლებას, რასაც, მაგალითად, უილიამ შექსპირი, მის "მეფეთა ტრაგედიებში", ნათელს ხდის "ხელმესახებად". ამიტომ ამბობს, სხვათამორის, იტალიელი ნიკოლო მაქიაველი(Niccolò Machiavelli, 1469-1527. "Il principe", 1513), რომ პოლიტიკა არის ხელისუფლების შენარჩუნების ხელოვნება. ინგლისელი თომას ჰობეს(Thomas Hobbes, 1588-1679) აზრით, ქვეშევრმდომებმა მათი უფლებები უნდა გადასცეს მბრძანებელს "ხელშეკრულებით", რაც, მისი აზრით, ესიტყვება გონიერებას; ეს კი ეწინააღმდეგება აბსოლუტისტური სახელმწიფოს რაობას, რომელშიც მეფის ბატონობა ღმერთისაგან არის ბოძებული, რის გამო მეფის ჩამოგდება დაუშვებელია. ინგლისელი ჯონ ლოკი(John Locke, 1632-

1704), უთუოთ, შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე კონსტიტუციური დემოკრატიის მამამთავრად, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა არა მარტო ადამიანის უფლებებს და სახელმწიფო ხელისუფლების ორ სვეტზე(მეფე და მინისტრები) დაყრდნობას, რაც ფრანგმა მონტესკიემ(Montesquieu, 1689-1714, "De l`esprit des lois",1748) მართლმსაჯულებით გააპოხიერა და "სამ სვეტად" აქცია, — არამედ გახდა მსოფლიოში პირველი "განხორციელებული დემოკრატიის" — ამერიკის შეერთებული შტატების — იდეოლოგიური მამა. როცა აშშ-ის მამამთავრებმა 1776 წლის 4 ივლისს გამოაცხადეს "დამოუკიდებლობის დეკლარაცია" და კონსტიტუციურად ჩამოაყალიბეს, რომ "ყოველ ადამიანს აქვს ცხოვრების, თავისუფლების და ბედნიერების მოპოვების უფლება"("life, liberty and pursuit of happiness"). უთუოთ, მათ ასულდგმულებდათ სწორედ ჯონ ლოკესა და მონტესკიეს აღნიშული სიბრძნე.

IX.

ჟან-ჟაკ რუსოს - (Jean-Jacques Rousseau, 1712-1778, « Du contract social »,1762) - «საზოგადოებრივი ხელშეკრულება » კი გახდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგის «თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა » წინამორბედი. მართალია, რუსოც მის პოლიტიკურ თეორიას აფუძნებს, მისი წინამორბედთა - ჰობსა და ლოკეს მსგავსად, - ბუნების საწყისებზე, მაგრამ ადამიანი მისთვის, ჰობეს მსგავსად, არ არის არც პირუტყვი, და არც, ლოკეს მსგავსად, გონიერი არსება, არამედ « მორალური ქმნილება » : »ადამიანი ბუნებით არის კეთილი ». რუსოს თეორიის გულია საზოგადოების «საერთო ნება-სურვილი »(« volonté générale »), რომლის დროს «საერთო ნება-სუნვილი » კი არ არის ხალხის « უმრავლესობის ნება-სურვილი », არამედ «მთელი ხალხის დიქტატურა ». აქედან გამომდინარე, რუსოსათვის არ არსებობს პარტიები, დეპუტატები და ოპოზიცია. მთელი ხალხის საერთო ნება-სურვილი არის « თვითმყოფადი ძალა ». « ეს ნიშნავს, - ამბობს რუსო, - სხვას არაფერს, თუ არა ადამიანს აიძულებენ იყოს თავისუფალი ».

X.

ამდენად, რუსოს იდეა საზოგადოებაში, რომელშიც ყველა « მთელი », ყველა « ერთიანი », ყველა « ერთი აზრისაა », - რბილად რომ ვთქვათ, - უტოპიაა, რის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების ცდას კატასტროფა მოყვა, თუ გნებავთ, რობესპიერის(Maximilien de Robespierre, 1758-1794) ტერორის, ე.ი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს.

« ცნობილი და შიშისმომგვრელია » , — ამბობს ქრისტიანე ცშირნტი, — რობესპიერის რევოლუციონერთა დღესასწაულები : გიგანტური სპექტაკლები, რომლებიც ხალხის საერთო ნებასურვილის ინსცენირებას წარმოადგენდა. მაღლობთა, კლდეთა, გამოქვაბულთა და მცენარეთა ხელოვნურ ლანდშაფტში, პარიზში, მარსის მინდორზე, გაისმოდა « ვაშას » ძახილი ; ვარდებით შემკული მოდღესასწაულენი ხოტბას ასხამდენ რესპუბლიკას. 1794 წლის ივნისში, მაგალითად, « უზენაესი არსებისა და ბუნების დღესასწაულში » მონაწილეობა მიიღო თვით რობესპიერმაც, რომელსაც, პურის ღიალურჯიფერის კოსტუმში გამოწყობილს, ხელში პურის თაველთა კონა ეჭირა. « მაგრამ, - დასძენს ქსისტიანე ცშირნტი, - ნაკლებად გულუბრყვილო, ვიდრე ეს აბსურდული სპექტაკლი, იყო რობესპიერის « გულკეთილობის დიქტატურა », რომელმაც საფრანგეთის თითქმის მთელი არისტოკრატია და ყოველი პიროვნება იმსხვერპლა, რომელიც ოპოზიციონერის ეჭვს ჰბადებდა ». ალბათ, ისტორიის « უცნაურობას » უნდა მიეწეროს, რომ « La grande Terreur »-ის მქადაგებელსაც, 1794 წელს, გილიოტინით მოჭრეს თავი.

XI.

ყველა ამ ფაქტში, თითქოს არ მოჩანს, რომ « მთელი » საზოგადოების, « მთელი » ხალხის ამ « საერთო ნება-სურვილში » ჩაფლულია ტოტალური ხელისუფლების განუკითხაობის გონი?.. განსაზღვრული არგუმენტაციური ოსტატობით, შესაძლებელი არ არის რომელიმე « ბელადის » თუ « პარტიის » გაღმერთება, რომ თითქოს ის არის «მთელი ხალხის საერთო ნება-სურვილის » გამომხატველი. ?.. აქედან უკვე მორს არ არის გზა რობესპიერ-სტალინ-ჰიტლერამდე, როგორი დიდი განსხვავებაც არ უნდა არსებობდეს მათ მსოფლმხედველებას შორის.

XII.

და აქ უკვე ეჭვს ჰბადებს « უმრავლესობის დიქტატურა", „უმრაველესიბის ყოვლისშემძლეობა », რაც ალექსის დე ტოკვილს — (Alexis de Tocqueville, 1805-1859), რომელმაც, საფრანგეთის მთავრობის დავალებით, 1831-1832 წლებში აშშ-ში იმოგზაურა და ნაშრომი « De la démocratie en Amerique »= »დემოკრატია ამერიკაში » გამოაქვეყნა, — განსაკუთრებულ საშიშროებად მიაჩნდა, თუ სახელმწიფო ხელისუფლებაში გზა არ გაეხსნება ჯანსაღი, გონიერი ნიჭის ადამიანებს. ყველა ამერიკელს, ტოქვილის აზრით, აერთიანებს მისწრაფება წარმატებისაკენ. პირველი სიტყვები, რომლებიც ტოკვილმა გაიგონა აშშ-ში, იყო « How is business », რაც ნიშნავს « როგორაა თქვენი ბიზნესი ? » ანუ « როგორა ხართ ? », რომლის დროს ადამიანის ყოფიერება გაიგივებულია ადამიანის « ბისნეს-თან », ე.ი. « სამუშაოსთან », « დასაქმებასთან », «პროფესიასთან ». ალექსის დე ტოკვილი წინასწარმეტყველებდა აგრეთვე დემოკრატიის შეუჩერებელ წინსვლაზე ევროპაში. მისი აზრით, ეგალიტარული დემოკრატიის ფუნქციონირება შესაძლებელია თუ აიწევს, განხორციელდება მოსახლეობის ყველა ფენის « თანაფარდოვანი » განათლების დონე ; დაცული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

« შანსის წონასწორობა », აზრის გამოთქმის თავისუფლება და კერძო საკუთრების დაცვა ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში.

XIII.

მართალია, « Marx is out »= »მარქსი გაკოტრდა », მაგრამ ეს იმდენად გამართლდა, რომ დღეს « მოდერნულ კაპიტალიზმს » სერიოზული მეტოქე რეალურად აღარ გააჩნია. მაგრამ ვის შეუძლია იწინასწარმეტყველოს თუ რა მოგველის « ინფორმაციის საუკუნეში ?.. » ვინ იცის, რამდენად მოსახლეობის « უმრავლესობა » ანგარიშს გაუწევს მოსახლეობის « უნცირესობას » ?.. ეს ვითომ არ არის დემოკრატიის « სუსტი მხარე », თუმცა დემოკრატია არის, – როგორც უინტსონ ჩერჩილი იმეორებდა ალექსის დე ტოქვილის აზრს, – სახელმწიფო წესწყობილების არა იდეალური, არამედ უკეთესი ფორმა არსებულთა შორის !?.. » და აქ ისევ წინაპლანზე არ იწევს პოზიცია-ოპოზიციის, მეტნაკლები, « გაწონასწორების » პრობლემა, რომლის დროს ბატონობს პიროვნების, ერის, ხალხის « პოლიტიკური კულტურა ».

მართალია, ზოგიერთი სოციალური პარტიის ლიდერიც კი, როგორც, მაგალითად, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე – ფრანც მიუნტეფერინგი – « ოხუნჯობს », როცა ამბობს, რომ « ოპოზიცია არის ნაგავი – ჩვენ კი გვინდა ქვეყანა ემართოთო »(Franz Müntefering : »Opposition ist Mist – wir wollen regieren » - 22.3.2004) . მაგრამ ამით იგი ჩირქს სცხებს ოპოზიციის კონსტრუქციულ, გამაწონასწორებელ რაობას, რომლის დროს გამოთიშულია ყოველი ჯურის დიქტატურა თვით « უმრავლესობის დიქტატურის » ჩათვლით, და ამით გამოთიშულია აგრეთვე ერთი პიროვნების, ერთი პარტიის « საბჭოური » თითქმის 100-პროცენტიანი გამარჯვება არჩევნებში და მისი განუკითხავი ბატონობა.

XIV.

ვფიქრობთ, ჩვენს პრეზიდენტს – მიხეილ სააკაშვილს, - უთუოთ, უფრო ღრმად აქვს ჩაფიქრებული ჩვენს მიერ აქ წამოჭრილი ყველა საკითხი, თვით პოზიცია-ოპოზიციის ურთიერთობა – თეზისის-ანტითესის-სინთეზის დიალექტიკური, « მარადიული » მარეგულირებელი კანონზომიერების ჩათვლით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ გზით გახდება შესაძლებელი ოპოზიციის, კონსტრუქციული ოპოზიციის გაძლიერება ისე, რომ პოზიცია(მთარობა) ყოველთვის ფხიზლად მოქმედებდეს პოზიცია-ოპოზიციასა და ამით მმართველობა-კანონმდებლობა-მართლმსაჯულებას შორის »წონასწორობის » დამყარების გზაზე, რისაკენ მოგვიწოდებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე – ნოე ჟორდანია, როცა ამბობდა: "ოპოზიცია უნდა გავაძლიეროთ", რადგან "დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი".

XV.

და ოპოზიციას გაერთიანებისაკენ არ მოუწოდა ჩვენმა პრეზიდენტმა – მიხეილ სააკაშვილმა, – 2004 წლის 12 თებერვალს, – როცა მან თქვა, « ქვეყანას ძლიერი, ერთიანი ოპოზიცია სჭირდებაო ??. » აქ კი ისევ არ იკვრება პოზიცია-ოპოზიციის « ჯადოსნური წრე », რაც არა მარტო ჩვენი პრეზიდენტების, არამედ ჩვენი ხალხის « პოლიტიკურ კულტურაზე » მეტყველებს ?..

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2004 წლის 21 აპრილი

---

'რა ხელს ჰკრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?
ეხრეთ რას არგებს კაცხა დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?'

ნ.ბარათაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ახალი სახელმწიფო დროშა

## თეთრი ტილო ხუთი წითელი ჯვრით, რაც იესო ქრისტეს ჯვარცმის ხუთი ჭრილობის სიმბოლოა

I.

„ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოფიციალურად, მხოლოდ ხუთშაბათს, 8 იანვარს, გამოაცხადა ცნობა საბჭოური შედეგით - 96,27 პროცენტით – გამარჯვება საქართველოს ახალი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა 2004 წლის 4 იანვრის არჩევნებში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩევლების 88 პროცენტმა. არჩევნების შედეგების გამოქვეყნება კი რამოდენიმეჯერ შეფერხდა თითქოს ლოგისტური პრობლემების გამო. სააკაშვილმა მასობრივი დემონსტრაციები ჩაატარა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების თითქოს გაყალბების გამო, რასაც მოყვა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, საქართველოს 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში თითქოს მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 88 პროცენტმა. თითქოს მხოლოდ ლოგისტური პრობლემების გამო შეფერხდა და დაგვიანდა არჩევნების შედეგების გამოქვეყნება. ამასობაში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობის დროშა – თეთრ ტილოზე ერთი დიდი და ოთხი პატარა წითელი ჯვარი – საქართველოს ახალ სახელმწიფო დროშად. ეს დროშა არის, როგორც სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ თქვა ,'საქართველოს გამარჯვებების სიმბოლო, რომელიც თითქოს მეცხრე საუკუნიდან მომდინარეობს. მხოლოდ ცოტაოდენმა დეპუტატებმა დაუჭირეს მხარი საქართველოს სახელმწიფოს აქამდე არსებულ შინდისფერ დროშას შავი და თეთრი სწორკუთხედით კუთხეში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა იყო 1918-1921 წლებში და 1991 წელს ისევ შემოღებულ იქნა."

II.

ასე ფაქიზი ირონიულ-სარკასტული ტონით აღწერს გერმანიის აღიარებული დიდი გაზეთი –„ფრანფუქტერ-ალგემაინე-ცაიტუნგი"(16.1.2002) - საქართველოს პარლემენტის 2003 წლის 2 ნოემბრის თითქოს გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, ედუარდ შევარდნაძის გადადგომას, საქართველოს ახალი პრეზიდენტის არჩევნებისა და საქართველოს ახალი დროშის პარლამენტის მიერ მიღებისა(16.1.2004) და ამ ახალი დროშის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერას (25.1.2003), რაც ჩამაფიქრებელია.

III.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის "ძველი", ჩვენ ვამბობთ, "ოქროს თაობა", რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს რესპუბლიკურ ხანას, 1918 წლის 26 მაისს, როცა ისევ აღაგვინა საქართველოს სამი-ათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, ბოლშევიკური აგრესიის გამო, იძულებული გახდა დაეტოვებია საქართველო, - ბუნების კანონის შესაბამისად, უკვე განგვშორდა. მაგრამ –"კიდევაც დაიზრდებიან ალვეთს ლეკვები მგლისანი..." –

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მეორე და მომდევნო თაობების საერთო აზრს, ეროვნული დროშის შეცვლის საკითხში, გამოხატავს, ვფიქრობთ, "ღია წერილი" პარიზში დაბადებული და აღზრდილი ბატონი ოთარ პატარიძე, რომელიც იმჟამად და დღეს(31.1.2004) საქართველოს გერბის, დროშისა და ჰიმნის შესაძლებელი შეცვლის სესახებ, სხვათა შორის, წერდა და წერს:

IV.

„ჩემი პირადი აზრით, ეროვნული სიმბოლიკის ასე ხელაღებით, ნაჩქარევად და უცბათ ცვლილიბები ძალიან გამაღიზიანებელია... იმ ქვეყანაში, სადაც მოქალაქეების სერიოზული ნაწილი მაჰმადიანია, დროშის დატვირთვა ქრისტიანულ-რელიგიური სიმბოლკით არ შეიძლება. ჩემი მოსაზრებით, საქართველოს დროშა ნეიტრალური სიმბოლიკის უნდა იყოს და, შესაბამისად, ვერ ვხვდები რატომ არ აწყობთ დღევანდელი დროშა... ამავე დროს, ვერ გავიგე რა არის ასეთი საჩქარო; დროშაც სოციო-ეკონომიკური რეფორმა ხომ არ არის, რომელსაც საჩქარო ცვლილება სჭირდება? განა შესძლებს დღევალდელი ხელისუფლება, ამ ახალი სიმბოლიკით, აფხაზეთის დაბრუნებას, და აჭარისა და შიდა ქართლის პრობლემების გარდალახვას?"

V.

ამასობაში, საქართველოს პარლამენტმა ხუთჯერიანი დროშა საქართველოს სახელმწიფო დროშად გამოაცხადა; საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა – ილია II-ემ – სვეტიცხოველის საქათედრო ტაძარში ოთხი დროშა აკურთხა. მათგან ერთი დედაქალაქის მერიის თავზე აღიმართა, მეორე – სახელმწიფო კანცელარიის, მესამე – პარლამენტის შენობს თავზე. მეოთხე დროშაზე კი – 2004 წლის 25 იანვარს საქართველოს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა – მიხეილ სააკაშვილმა – ფიცი დადო და ხელი მოაწერა შესაბამის დოკუმენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI.

ამგვარად, საქართველოს სახელმწიფოს 2004 წლის 25 ნოემბრიდან აქვს ახალი დროშა. "საქართველო დღეს – როგორც ილია II-ემ თავის ქადაგებაში განაცხადა – უდიდესი წყალობითა და მადლით შეიმოსა",
რადგან ხუთ ჯვრიანი დროშა იესო ქრისტეს ხუთ ჭრილობას გამოსახავს და ერის გამთლიანების მიმანიშნებელია. "ქვეყანამ უკვე გაიარა გოლგოთის წამებისა და ტანჯვის გზა და ახლა მას აღდგომა და ამაღლება ელოდება. ამ დროშით საქართველო გაიმარჯვებს და სულ მალე ქართველი ხალხი ხუთჯვრიანი დროშით აფხაზეთშიც შევა".

VII.

საქართველოს სახელმწიფო დროშის, გერბისა და ჰიმნის საკითხებს ეხება თავის გამოკვლევაში მხატვარი-ჰერალდიკოსი – გ. გ ო ნ გ ა ძ ე(27.12.2002 წ.), რომელიც იძლეოდა წინადადებას "დარჩეს რესპუბლიკური(1918-1921 წ.წ.) არსებული ატრიბუტიკა", რაც საქართველოს პარლამენტმა, როგორც ავღნიშნეთ, უკვე გააუქმა. ამდენად მასზე ლაპარაკი უკვე უაზრობაა, მით უმეტეს,
რომ ასე გაუფასურება არ შეიძლება ისეთი სერიოზული საკითხისა, როგორიც არის საქართველოს სახელმწიფო დროშა.

VIII.

ამიტომ, სსდ პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ, როგორც სსდ პარტიისა და ამით „პატარა ოქროს ხანის" და „ოქროს თაობის" მემკვიდრემ, – 2004 წლის 25 იანვარს, როცა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა - ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფო დროშის დამტკიცების ბრძანებულებას, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ, ლევილში(საფრანგეთი), 2004 წლის 26 იანვარს, თავის საგანგებო სხდომაზე, - სსდპ პარტიის სიმბოლოებად გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის(1918-1921 წლები) დროშა და გერბი, როგორც ეს დადგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-4 მუხლით:

IX.

„საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის – შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა. საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით".

X.

საქართველოს 1990 წლის 14 ნოემბერს მიღებული საქართველოს სახელმწიფო დროშა და გერბი(ავტორები: მ. მაყაშვილი და მ. ბუთხუზი) მნიშვნელოვნად განსხვავდება 1918 წლის სახელმწიფო დროშისა(ავტორი: იაკობ ნიკოლაძე) და გერბისაგან(ავტორები: ე. ლანსერე და ი. შარლემანი); მით უმეტეს, რომ "თეთრი გიორგი(!) შვიდი მნათობით", - ჩასმულია შვიდქიმიან ვარსკვლავში.

XI.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია კი გარსაზღვრავს: "საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით." და ამ "ორგანული კანონის" შემადგენელ ნაწილად გვესახება საქართველოს პარლამენტის მიერ(16.1.2004) სახელმწიფო დროშის დამტკიცება და(25.1.2004) მისი საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის – მიერ ხელმოწერა.

XII.

მართალია, ყურადსაღებია საქართველოს ლეიბორიტული პარტიის და მისი მეთაურის შალვა ნათელაშვილის აზრი, რომ პარლამენტმა "ნაციონალების" პარტიული დროშა სახელმწიფო ხუთჯვრიან დროშად დაამტკიცა; რომ ახალი სახელმწიფო დროშა "ვადაგასულმა, არალეგიტიმურმა" პარლამენტმა დაამტკიცა; ამიტომ არ შეიძლება ეს კანონიერად ჩაითვალოს; და რომ საჭიროა, ახალი პარლამენტის არჩევის შემდეგ, ამ საკითხზე მსჯელობა განახლდეს.

XIII.

საყურადღებოა აგრეთვე ისტორიკოს გუბაზ სანიკიძის, "ტრადიციონალისტთა" ფრაქციის თავმჯდომარის, აზრი, რომ "ასეთი დროშა დღეს მსოფლიოში არავის არა აქვს, რადგან ეს იყო ყოველთვის რელიგიური დროშა. ეს არც ერთი ხალხის სახელმწიფო დროშა, მით უმეტეს ჩვენი – არასდროს არ ყოფილა". ჩვენის აზრით, ესეც "ჯიუტი" ფაქტის უარყოფა არ არის, რადგან საქართველოსავით პატარა სახელმწიფოს – შვეიცარიის - დროშა წითელ ტილოზე გამოსახული "თეთრი ჯვარია?!.."

XIV.

მოვიგონოთ: - 1991 წლის 9 აპრილს ისევ-აღვადგინეთ საქართველოს გამოუკიდებლობა 1918 წლის მაისის საქართველოს გამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე; 1991 წლის 26 მაისს ავირჩიეთ საქართელოს პრეზიდერტი ზვიად გამსახურდია, რომელიც 1992 წლის 6 იანვარს ვაიძულეთ საქართველო დაეტოვებია; საქარტველოში "მხედრიონის" ბატონობას ბოლო მოუღო ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც ორჯერ ავირჩიეთ საქართველოს პრეზიდენდად; 2003 წლის 23 ნოემბერს

ვაიძულეთ ედუარდ შევარდნაძე გადამდგარიყო. “ხავერდოვანი რევოლუციის” შემდეგ, 2004 წლის 4 იანვარს ავირჩიეთ საქართველოს ახალი პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც თავისი ინაუგურაცია საქართველოს სახელმწიფო დროშის ხელმოჭერას დაუკავშირა. ესე-იგი, ყველაფერი ეს მოხდა საქართველოს მომქმედი კანონების შესამამისად.

XV.

და ახლა ეს “ჯიუტი” ფაქტები არ ჩავთვალოთ ფაქტებად, და ისევ დავუბრუნდეთ “მარადიულ წრესს?..”

ეს ხომ „ცეცხლთან თამაშია!..“ ეს ხომ (რუსული?) მარადიული „სტაბილური არასტაბილური“ მდგომარეობის განგრძობაა ჩვენს მიერვე?..

XVI.

მაშ, რა გამოსავალია ამ თითქოს გამოუვალ მდგომარეობიდან? – დავადგეთ არა “მხედრიონის” განუკითხაობის, ან “ხავერდოვანი რევოლუციის”, არამედ კანონის უზენაესობის გზას, რაც საქართველოს სახელმწიფო დროშის შეცვლის შემთხვევაშიც ნიშნავს ჩვენი პარლამენტისა და პრეზიდენტის მიერ აღიარებული დროშის აღიარებას.
და თუ საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნსაც – “დიდება” - შეცვლის საქართველოს პარლამენტი, მაშინ, ჩვენ, სსდპ საზღვარგარეთელი ბიოროს წევრებს გვსურს, ”დიდებაც” გახდეს სსდ პარტიის ჰიმნი; და ვთხოვთ სსდ პარტიის მომავალ ყრილობას, სსდპ საზღვარგარეთელი ბიუროს ეს დადგენილება დაამტკიცოსა და გამოაქვეყნოს. ამით, ჩვენ, სსდპ საზღვარგარეთელ ბიუროს, გვსურს პატივი ვცეთ ჩვენი “პატარა ოქროს ხანას”, და ამით საქართველოს რესპუბლიკური ხანის შემქნელ “ოქროს თაობას” – ნოე ჟორდანიას - საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და მთავრობის თავმჯდომარის მეთაურობით.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2004 წლის 25 იანვარი

"რა .არის ადამიანი,
თუ მისი მთავარი ფასოვანება და ხანაწრელი ჟამი
სხვა არაფერია თუ არა ძილი და ჭამა? - პირუტყვი
მეტი არაფერი."

<u>უილიამ შექსპირი(1564-1616)</u>

"Wath is a man
Jf his chief good and markest of his time
Be but to sleep and feed? - a beast no more."

<u>William Shakespeare(1564-1616)</u>

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია

## საზღვარგარეთელი ბიურო

## ო ქ მ ი – 1(141)

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

2004 წლის 26 იანვარს, ლევილში, ქართული მამულის შატოს მთავარ დარბაზში, ჩატარდა სსდპ საზღვარგარეთელი ბიუროს საგანგებო სხდომა, რომელზედაც "მიმდინარე საკითხებში" განხილულ იქნა საქართველოს რესპუბლიკური ხანის სახელმწიფო დროშის შეცვლის საკითხი. სსდპ საზღვარგარეთელი ბიუროს მდივნის – კარლო ინასარიძის – ინფორმაციის შემდეგ, თავიანთი აზრი გამოთქვეს ბიუროს წევრებმა, რომლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

1. სსდპ საზღვარგარეთელი ბიურო ცნობს საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 16 იანვარს მიღებული საქართველოს ახალი სახელმწიფო დროშის მიღების დადგენილებას და საქართველოს 2004 წლის 4 იანვარს აჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ამ ახალი სახელმწიფო დროშის დამტკიცების ბრძანებულებაზე ხელმოწერას, რომლის ძალით, 2004 წლის 25 იანვრიდან, საქართველოს სახელმჭიფო დროშა არის "თეთრი ტილო ხუთი წითელი ჯვრით".
2. სსდპ საზღვარგარეთელი ბიურო ცნობს აგრეთვე 1990 წლის 14 ნოემბერს მიღებულ საქართველოს სახელმწიფო გერბს(ავტორები: მ. მაყაშვილი; მ. ბუთხუზი), თუმცა 1918-1921 წლების საქართველოს სახელმწიფი გერბი -"თეთრი გიორგი შვიდი მნათობით" - ჩასმულია შვიდქიმიან ვარსკვლავში.
3. სსდპ საზღვარგარეთელმა ბიურომ დაადგინა:
   ა). სსდ პარტიისა და ამით სსდპ საზღვარგარეთელი ბიუროს დროშა არის "შვინდისფერი ალამი შავი და თეთრი ზოლით".
   ბ). სსდ პარტიისა და ამით სსდპ საზღვარგარეთელი ბიუროს გერბი არის "თეთრი გიორგი შვიდი მნათობით".
   გ). და თუ საქართველოს პარლამენტი საქართველოს სახელნწიფო ეროვნულ ჰიმნს "დიდებას" შეცლის, მაშინ "დიდებაც" გახდეს სსდ პარტიისა და ამით სსდპ საზღვარგარეთელი ბიუროს ჰიმნი.

ამ დადგენილებით, სსდპ საზღვარგარეთელ ბიუროს სურს საქართველოს რესპუბლიკური ხანისა და 1918 წლის 26 მაისის - "პატარა ოქროს ხანის" და მისი "ოქროს თაობის" – უკვდავყოფა, საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და მთავრობის თავმჯდომარის ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს მეთაურობით.

4. სსდ პარტიისა და ამით სსდპ საზღვარგარეთელი ბიუროს ემბლემა იყო და რჩება "ვარდი ჩასმული მარადიულ წრეში", ე.ი. "სიყვარული", "ერთობა", რომელშიდაც მჟღანვდება სოციალ-დემოკრატიული პარტიების სა-ერთა-შორისო(ინტერ-ნაციონალური) მრწამსი.

სსდპ საზღვარგარეთელი ბიურო თხოვს სსდ პარტიის ხელმძღვარელობას, აღნიშნული საკითხები განიხილოს და დაამტკიცოს სსდ პარტიის მომავალ ყრილობამ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის
საზღვარგარეთელი ბიუროს მდივანი:
(კარლო ინასარიძე)
ლევილი-პარიზი. 26 იანვარი, 2004 წელი.

CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 - Leuville sur Orge – FRANCE

სსდ პარტიის ემბლემა არის შინდისფერი «ვარდი მარადიულ წრეში", ე.ი."სიყვარულისა" და ამით "ერთობის" სიმბოლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თ ე თ რ ი   გ ი ო რ გ ი



საქართველოს რესპუბლიკის გ ე რ ბ ი - თეთრი გიორგი შვიდი მნათობით –, სულ ცოტა, შვიდი-ათასი წლის ისტორია გააჩნია. დასაბამიდან ქართველური ტომები თაყვანს სცემდნენ ხარს, როგორც გამწევ ძალას, რომელიც შრომას ამსუბუქებდა; ხარის რქები დაუკავშირა ნაკლულ მთვარეს; ახალი(თეთრი) მთვარე კი - ადამიანის სახეს, და ასე წარმოიშვა"თეთრი გიორგი";"გეორგოს" ხომ ბერძნულად მიწათმოქმედია. თეთრი გიორგი კი, ქრისტიანობის ხანაში, წმინდა გიორგი გახდა;და საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, პირველყოვლისა,ივანე ჯავახიშვილის რჩევით, თეთრი გიორგი, შვიდი მნათობით, საქართველოს სახელმწიფო გერბად მიიღო და დაამტკიცა, რადგან იგი აერთიანებს როგორც ქრისტიან, ისევე მაჰმადიან ქართველობას, თუმცა ქრისტიანობა ჩვენი ეროვნული მსოფლხედვის ბაზა გახდა.

# ე რ ი   დ ა   რ ე ლ ი გ ი ა

1905 წლის 10 ივნისს ქართველთა და აზერბაიჯანელთა კრებაზე მემედ აბაშიძემ მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და შემართებით განაცხადა: – „ბათუმშიც სცადეს ორი სარწმუნოების ერის – ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი ქრისტიანების გადაკიდება, მაგრამ ამაოდ. ჩვენ სარწმუნოებით თუმცა მაჰმადიანები ვართ... მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ, ქართული სისხლი გვიდუღს, სულითა და გულით ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენში ვერასოდეს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება ჩვენს ძმებს – ქრისტიან ქართველებს გადაგვკიდოს და ჩვენსა და მათ შორის მტრობა გააჩაღოს... ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამაყობთ. მაგრამ განა საჭიროა ეროვნულ გრძნობებზე ლაპარაკი? ჩემი აზრით, ამაზე ლაპარაკი ისევე მეტია, როგორც მეტია იმის თქმა, რომ მზე ანათებს!"

მემედ აბაშიძე, 1905 წელი.

„ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა... გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთობაშია! გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!"

მემედ აბაშიძე, 1921 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სახელმწიფო დროშა
1918 წლის 26 მაისიდან 2004
წლის 25 იანვრამდე.



საქართველოს სახელმწიფო დროშა
2004 წლის 25 იანვრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სახელმწიფო გერბი
1918 წლის 26 მაისიდან 1990
წლის 14 ნოემბრამდე.



საქართველოს სახელმწიფო გერბი 1990 წლის 14 ნოემბრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ი ს ე ვ - გ ა ნ თ ი ა დ ი?..

## ჩვენი პრეზიდენტის არჩევა-ინაუგურაციის გამო

I.

ისევ-განთიადი? - 2004 წლის 6 იანვარი: ჩვენი პრეზიდენტის არჩევა. 2004 წლის 25 იანვარი: ჩვენი პრეზიდენტის ინაუგურაცია. როცა – ჯერ – ისტორიულ გელათში(ქუთაისი) დაიწყო საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის - ინაუგურაცია, და – შემდეგ – თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, - გაგრძელდა ეს შთამაგონებელი ცერემონიალი, რომელსაც დაესწრო თანამედროვე მსოფლიოს მრავალი ოფიციალური პიროვნება, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი – კოლინ პაუელი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი - იგორ ივანოვი; ამით კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახდა საქართველოს სახელმწიფოს სამი-ათას-წლოვანი ისტორიის ცხოველმყოფელობა; და ისიც დავით აღმაშენებლის პანთეონში - გელათში, სადაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-რემ, 10-ათასზე მეტი მლოცველის წინაშე, მშვიდობის პარაკლისი გადაიხადა და დალოცა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც მის სიტყვა-ფიცში, სხვათაშორის, განაცხადა:

II.

"მე ვარ ამ მიწის შვილი. აქ ჩემთან ერთად ჩემი წინაპრების სულები არიან, და მე მათ მინდა ვუთხრა, რომ ნამდვილად არ შევარცხვენ. დავითის საფლავზე ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვთქვათ – საქართველო მოემზადება, საქართველო გაერთიანდება, საქართველო გაძლიერდება და გამთლიანდება. აქ არის საქართველოს უდიდესი მმართველის, ყველაზე დიდი ქართველის დავით აღმაშენებლის სული. მე მინდა, ვუთხრა მას, მე მინდა ვუთხრა საქართველოსათვის თავგანწირულ ყველა გმირს: დღეს საქართველო დანაწევრებულია, დღეს ქართველი ხალხი დამცირებულია. ზოგიერთს შეიძლება უნდა, რომ საქართველო საერთოდ აღარ არსებობდეს რუკაზე. მე მინდა ვუთხრა ჩვენს მტრებს, რომ ისინი ამას ვერასოდეს მოესწრებიან. საქართველო არსებობდა, საქართველო არსებობს და საქართველო ყოველთვის იარსებებს. საქართველო არ მომკვდარა. ჩვენ ყველამ ერთად, ერმაც და ბერმაც, მთავრობამაც და ყველა ჩვენმა მოქალაქემ, ყველამ ყველაფერი უნდა გადავდოთ გვერდზე, უნდა მოვემზადოთ, უნდა გავერთიანდეთ, უნდა გავძლიერდეთ და აღვადგინოთ საქართველოს ერთიანობა და მთლიანობა – ეს არის ჩემი ცხოვრების მიზანი".

III.

და, როცა თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, საქართველოს დროშა და კონსტიტუცია გამოაბრძანეს, აჟღერდა ეროვნული ჰიმნი "დიდება", და გამოაბრძანეს აგრეთვე ოქროსფერვარსკვლავებიანი ლურჯი დროშა გაერთიანებული ევროპის ჰიმნის თანხლებით, საქართველოს პრეზიდენტმა – მიხეილ სააკაშვილმა – ღვთისა და ქვეყნის წინაშე დაიფიცა, რომ დაიცავს კონსტიტიციას, დამოუკიდებლობას, ეროვნულ ღირსებას: "მე მივესალმები, - თქვა მან, - ქართლს, კახეთს, იმერეთს, სამეგრელოს, გურიას, აფხაზეთს, წარას; სვანეთს, მცხეთა-მთიანეთს, რაჭა-ლეჩხუმს, სამცხე-ჯავახეთს, შიდა ქართლს, მე მივესალმები საზღვარგარეთ მცხოვრებ ყველა ქართველს, მივესალმები ყველა სტუმარს. კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება!" პრეზიდენტის სიტყვის დასრულებისთანავე ქვემეხების ზალპზე, მტრედები აიშალნენ, ფათქუნით გადაუფრინეს ზღვა-ხალხს. აღლუმი დაიწყო. ვერტმფრენებიდან ვარდის ფურცლები ცვიოდა!.. ასეთი განსაკუთრებული ცერემონიით ჩატარდა ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკური ხანის მეოთხე პრეზიდენტის – მიქეილ სააკაშვილის ინაუგურაცია, რომლის წინამორბედთა – ნოე ჟორდანიას, ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, ნინო ბურჯანაძისა და მათ თაობათა დამსახურების მოგონება "აქვე და ახლავე" გარდაუვლად გვესახება.

IV.

კიდევ მეტი: - თუ საქართველოს ამ სამი-ათას-წლოვან სახელმწიფოებრივ ისტორიას მ ი თ ო ლ ო - გ ი უ რ, მ ო ნ ა რ ქ ი უ ლ და რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ხანად დავყობთ, ჩვენი ერის მითოლოგიური ხანის ნიშანსვეტად გვესახება არგონავტების თქმულება, რომელიც წარმოშობით წინ უსწრებს ტროადის ელინურ თქმულებას, რასაც ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში გულისხმობენ, და რომლის ცენტრში დგას "ოქროს საწმისის" მფლობელი, კოლხეთის მეფე – აიეტი და მისი ქალიშვილი მედეა, რომელიც – თავის მხრივ – ჰიპოკრატეს(კოს, 460-370 ძვ.ტილით) დედობილათ შეიძლება ჩაითვალოს.

V.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორიის "ოქროს ხანაში" კი, მე-12-ტე საუკუნეში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის პერიოდში, - საქართველოში დაიწყო აღრინდელი აღორძინების ხანა, რომლის გვირგვინია, იყალთოს აკადემიის გვერდით, გელათის აკადემია და შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა "ვეფხისტყაოსანი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

V.

მაგრამ საქართველოსათვის საბედისწერო გამოდგა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ე.წ-ლი "გეორგიევსკის ტრაქტატი", რომელიც მეფის რუსეთმა ცალმხრივად გააუქმა 1801 წელს, რასაც მოყვა საქართველოს სამეფოსა და ამით საქართველოს სახელწიფოს დამოუკიდებლობის გაუქმება, რაც გაგრძელდა 117 წელი, 1918 წლის 26 მაისამდე, როცა საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სახელმწიფოებრივ რესპუბლიკურ ხანას.

VI.

საქართველოს რესპუბლიკური ხანის საწყისს კი წინ უსწრებდა რენესანსის=აღორძინების ხანა, რომელმაც საერთაშორისო ხასიათი მიიღო გარსაკუთრებით 1776 წლის 4 ივლისის ამერიკის შეერთებული შტატების "დამოუკიდებლობის დეკლარაციით", რომელშიც ადამიანის თავისუფლება და მისგან "ბედნიერების მოპოვება"("the pursuit of Happines") ჰუმანიტარულ ფასოვანებათ აღიარა, რასაც მოყვა 1789 წლის 14 ივლისის საფრანგეთის დიდი რევოლუციის "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის"("Liberté, Égalité, Fraternité") მრწამსი. ჩვენმა "პირველდასელებმა" და "მესამედასელებმა" კი, აღნიშნულ ჰუმანიტარულ ფასოვანებებს, ეროვნულ-სოციალური სული შთაბერეს – "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნდეს!" და "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა", - რითაც ს ო-ც ი ა ლ უ რ ი დემოკრატია იქცა დემოკრატიის უმაღლეს ფორმად საერთოდ.

VII.

და ქართველი ხალხი სოციალური დემოკრატიის განხორციელებას შეუდგა 1918 წლის 26 მაისიდან, რაც ითვლება საქართველოს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი ხანის საწყისად. 1919 წელს კი, საქართველოს ისტორიაში, პირველად ჩატარდა მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები, რომლის შედეგად, არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრება(პარლამენტი), რომელმაც დაამტკიცა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გამოცხადებული "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტად და მთავრობის თავმჯდომარედ აირჩია ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა. საქართველოს კონსტიტუცია კი დანსაზღვრავდა: "მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობოლებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა". "საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი"; "საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა"; "საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის – შეინდისფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა. საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შეიდი მნათობით". საქართველოს ეროვნული ჰიმნი კი არის "დიდება".

VIII.

ამ "პატარა ოქროს ხანისა"(1918-1921 წლები) და მისი "ოქროს თაობის" დასახასიათებლათ, სხვა მრავალთაგან, ვალაპარაკოთ ბელგიის სოციალისტური პარტიის ლიდერი და მრავალგზის მინისტრი – ემილ ვანდერველდე, რომელიც ჟურნალში "Le peuple", 1920 წელს, წერდა:

"ომის წინა წლებში რომ ჩვენს მეგობრებში დასმულიყო საკითხი თუ სად, ევროპის რომელ დიდ ქალაქში შესდგებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, ზოგი პარიზს, ბერლნს, სტოკჰოლმს თუ ბრიუსელს, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქ – თბილისზე? მაშინ, სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილების მშენებლობა – უმაღლესი საფეხური სოციალიზმისა; და ეს მოხდა არა აჯანყების გზით, არა სისხლის ღვრით, არამედ ხალხის სუვერენული უფლების აღიარებით, მისი სურვილითა და ნებისყოფის გამოვლინებით": "ჩვენმა მეგობრებმა, ქართველ სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს, დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალურ თავისუფლების ფარგლებში, ჭეშმარიტი დემოკრატიული იდეები. აგრარული რევოლუცია მოხდა: ყველა ყოფილ სამეფო გვარეულობის და დიდ მემამულეთა მამულები ჩამორთმეულ იქნა და უსასყიდლოთ დარიგებული ღარიბ გლეხობაზე". "1918 წლის სოციალური და აგრარული რევოლუცია, რომელიც მოხდა საქართველოში, არ არის სოციალისტური, არამედ დემოკრატიული, მოხდენილი სოციალსტების მიერ... შეფარდებული ქვეყნის რეალობასთან, მის შესაძლებლობასთან. ამაშია ქართველი სოციალ-დემოკრატების უაღრესი გონიერება და სიბრძნე".

IX.

ბოლშევიკური რუსეთი, დაადგა რა მეფის რუსეთის დიდმპყობელურ-შოვინისტურ გზას, 1921 წლის თებერვალ-მარტში, დაიპყრო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩვენი სამშობლო არა მარტო ისევ რუსეთის თავისებურ კოლონიად აქცია, არამედ ამასთანავე საქართველო დააქუცმაცა ტერიტორიულადაც, რომლის დროს დამოუკიდებელი საქართველოს 91 100 კვადრატული კილომეტრი ტერიტორიიდან, საბჭოთა საქართველოს მხოლოდ 69 700 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია დაუტოვა; დანარჩენი კი დაურიგა ჩვენს მეზობლებს და თვით რუსეთმაც მიითვისა ჩვენი სოჭი და მისი რეგიონი, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს.

X.

ბოლშევიკური რუსეთის 70-წლიანი განუკითხავი ბატონობის უკანასკნელ წელში კი, 1991 წლის 31 მარტს, საქართველოში შესაძლებელი გახდა რეფერენდუმის ჩატარება კითხვაზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

“თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიებლობის აქტის საფუძველზე”, რაზედაც მოსახლეობის 99-მა პროცენტმა უპასუხა:”დიახ”. ამ რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა ისევ აღადგინა 1991 წლის 9 აპრილს, ხოლო 1991 წლის 26 მაისს, საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, რომელმაც დაუყონებლივ შეცვალა საქართველოს სახელმწიფო გერბი “თეთრი გიორგი შვიდი მნათობით”, როცა იგი შვიდქიმიან ვარსკვლავში ჩასვა.

XI.

საქართველოს სახელმწიფო გერბს – თეთრი გიორგი შვიდი მნათობით - კი, ჩვენი ისტორიკოსების აზრით, სულ ცოტა, შვიდი-ათასი წლის ისტორია გააჩნია. დასაბამიდან ქართველური ტომები თაყვანს ცემდენ ხარს, როგორც გამწევ ძალას, რომელიც შრომას ამსუბუქებდა. ქართველმა ხალხმა ხარის რქები დაუკავშირა ნაკლულ მთვარეს; ახალ(თეთრი) მთვარე კი – ადამიანის სახეს; და ასე წარმოიშვა “თეთრი გიორგი”. “გეორგოს” ხომ ბერძნულად მიწადმომქმედია. თეთრი გიორგი კი, ქრისტიანობის ხანაში, წმინდა გიორგი გახდა. და საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, პირველყოვლისა ივანე ჯავახიშვილის რჩევით, თეთრი გიორგი - შვიდი მნათობით, საქართველოს სახელმწიფო გერბად აღიარა და დაამტკიცა, რადგან იგი თავისთავში აერთიანებს საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების როგორც წარმართულ, ისე ქრისტიანულ ხანას, და ამით ქრისტიან და მაჰმადიან ქართველობას, თუმცა ქრისტიანობა ჩვენი ახალი წელთაღრიცხვის და ამით ჩვენი ეროვნული მსოფლხედვის საყრდენი გახდა. და როგორ ამბობს თბილისელი აშუღი – იეთიმ გურჯი?

- “მეჩეთი და სინაგოგა,
და სიონი წმინდათწმინდა,
კაცი იყავ კაცური და
იქ ილოცე, სადაც გინდა...”

X.

მაგრამ ზვიდ გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს იწყება აგრეთვე დიდმპყრობელ-შოვინისტების ფარული და ღია ომი დამოუკუდებელი საქართველოს წინააღმდეგ, რადგან საქართველომ დასაწყისში უარი განაცხადა ე.წ-ლ “დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში” შესვლაზე, რასაც მოყვა რუსეთის მიერ ჩვენი აფხაზეთისა და შიდა ქართლის დაპყრობა - ეთნიკური კონფლიქტის მომიზეზებით. ამის შედეგად 300-ათასმა ლტოლვილმა დატოვა ჩვენი აფხაზეთი და შიდა ქართლი და უკვე 10 წელწადია ამაოდ ველოდებით ამ ჩვენი თანამემამულეების თავთავიანთ სახლკარში დაბრუნებას.

XI.

ამას დაემატა ისიც, რომ არა მარტო ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტები შეეცადენ “სტაბილური არასტაბილური” მდგომარეობის გამეფებას საქართველოში, არამედ ჩვენც, ქართველობამაც იარაღიც კი ავღმართეთ ერთმანეთის წინააღმდეგ და დავერიეთ ერთმანეთს, რის შედეგად ჩვენმა პრეზიდენტმა – ზვიად გამსახურდიამ - 1992 წლის 6 იანვარს დატოვა საქართველო და თავი შეაფარა ჩეჩნეთს. საქართველოში კი გამეფდა განუკითხაობა, რასაც ბოლო მოეღო მას შემდეგ, როცა საქართველოში, “სამხედრო ხუნტის” მოწვევით, ჩამოვიდა მსოფლიოში სახელმოხვეჭილი პოლიტიკური მოღვაწე – ე დ უ ა რ დ შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე, რომელიც, – ისე როგორც 1991 წელს ზვიად გამსახურდია და 2004 წელს მიხეილ სააკაშვილი, - თითქმის ერთხმად არჩეულ იქნა (ორჯერ) საქართველოს პრეზიდენტად. მართალია, მან შეძლო საქართველოს საგარეო და საშინაო ცხოვრების განსაზღვრული სტაბილიზაცია და სურდა ხელისუფლების კონსტიტუციური გადაბარება მემკვიდრეთათვის, მაგრამ აქაც გამომჟღავნდა ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი არა “ფხიზელი გონი”, არამედ “ფიცხი ემოციურობა”, რაც გამოიხატა მასობრივ დემონსტრაციებში, რის შედეგად ედუარდ შევარდნაძე, 2003 წლის 23 ნოემბერს, გადადგა. დემორსტრაციების სამი ხელმძღვარელი კი, უკვე თავისებური “ტრიმვირატი” - მიხეილ სააკაშვილი - 2004 წლის 6 იანვარს საქართველოს პრეზიდენტი, ნინო ბურჯანაძე ისევ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და ზურამ ჟვანია საქართველოს პრემიერმინისტრი გახდა.

XII.

რა თქმა უნდა, ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი ვიეიწყებთ, ან გვსურს დავივიწყოთ, რომ – ისე როგორც ზვიად გამსახურდია “პუტჩით” იქნა საქართველოდან განდევნილი, ხოლო ედუარდ შევარდნაძე “ხავერდოვანი პუტჩით” იქნა გადაყენებული, რაც ჩვენს, ქართველობის მოქალაქეობრივ “პოლიტიკურ კულტურაზე” არ მეტყველებს, - ჩვენ შევმქენით “პრეცედენტი”, ე.ი. ”სანიმუშო მაგალითი” იმისა,თუ როგორ შეიძლება “ღია პუტჩით”(ზვიად გამსახურდია) თუ “ხავერდოვანი პუტჩით”(ედუარდ შევარდნაძე) ჩამოგდებული ან გადაყენებულ იქნას საქართველოს ყოველი პრეზიდენტი; და თუ “ხავერდოვანი პუტჩი” უსისხლოდ ჩაიარა, ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ არა აღნიშნულ “ტრიუმვირატს” და მათ მომხრეებს, არამედ ედუარდ შევარდნაძისა

და მისი მომხრეების სიბრძნეს, რაც ამ უკანასკნელებმა, მართლაც კრიტიკულ მომენტში, გამოიჩინეს საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

XIII.

ამგვარი ბრძნული მოქმედებით კი ედუარდ შევარდნაძემ და მისმა მომხრეებმა – როგორი მარკიერიც არ უნდა ყოფილიყო მათი მოქმედება-არმოქმედება ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, – გზა გახსნეს საქართველოს ახალი პრეზიდენტის არჩევნებისაკენ, რის შედეგად 2004 წლის 6 იანვარს ავირჩიეთ ახალი პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილი, რომლის არჩევა-ინაუგურაციამ საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტითაც, რომ "პატარა საქართველოს" გვერდში უდგას "დიდი ამერიკა" – მსოფლიოს ეს მართლაც "ზე-სახელმწიფო", რომლის შედარება "რომის იმპერიასთან" და, საერთოდ, ყოველი ჯურის იმპერიებთან, წმინდა წყლის უმეცრებად გვესახება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, აშშ ერისა და პიროვნების თავისუფლების ნერგავდა და ნერგავს მსოფლიოში, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა აშშ-ში 1776 წლის 4 ივლისს, რასაც მოყვა საფრანგეთის 1789 წლის 14 ივლისის დიდი რევოლუციის თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის კრედო, რასაც – და ამით ჩვენ, ქართველობას, შეგვიძლია ვიამაყოთ - საერთაშორისო სული შთაბერეს "მესამედასელებმა", როცა 1893 წლის 7 თებერვალს, ადამიანისა და ეროვნული თავისუფლება ერთ მთლიანობად აქციეს, ხოლო დემოკრატიის უმაღლეს ფორმად სოციალური დემოკრატია აღიარეს.

XIV.

აი, წინა პირობები იმისა, რამაც შესაძლებელი გახადა საქათველოს რესპუბლიკური ხანის ცხოველმყოფელობა, რომლის პიროვნული განსახიერება არიან საქართველოს პრეზიდენდები – ქრონოლოგიურად რომ აღვნიშნოთ - ნოე ჟორდანია, ზვიად გამსახურდია, ნინო ბურჯანაძე და მიხეილ სააკაშვილი, თუმცა ამ უკანასკნელის ინაგურაცია, თავისი შინაარსით, ფორმითა და ეთოსით, განსაკუთრებული ხასიათის მატარებელია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, "პატარა" საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიას დასწრო აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი – კ ო ლ ი ნ პ ა უ ე ლ ი - 120-კაციანი დელეგაციით, 20-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად, რითაც 2004 წლის 25 იანვარი – პრეზიდენტის ინაუგურაცია გელათსა(ქუთაისი) და თბილისში – მართლაც გახდა ისტორიული თარიღი.

XV.

მაგრამ ჩვენ კითხვის ქვეშ ხომ არ ვაყენებთ საქართველოს რესპუბლიკური ხანის მონაპოვრებს, რომლის დროს, სხვა მრავალთა შორის, ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის მემკვიდრეობითობა საქართველოს "ტახტზე", საქართველოს რიგითმა მოქალაქეებმა – ნოე ჟორდანიამ, ზვიად გამსახურდიამ, ნინო ბურჯანაძემ და, ამჯერად, მიხეილ სააკაშვილმა შეცვალეს?.. ამით ხომ არ არის გამოწვეული – ჯერ – საქართველოს გერბის „თეთრი გიორგის" და - ახლა - საქართველოს რესპუბლიკური სამფეროვანი დროშის შეცვლაც, რაც ახლა ჩვენს თვალწინ მოხდა?.. და რა ბედი მოელის საქართველოს ეროვნულ ჰიმნს – "დიდებას?.."

XVI.

როგორც ანტიკური სიბრძნე გვასწავლის, დღესაც საქართველოში "ყველაფერი დინებაშია"!.. და გვჯერა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაცია 2004 წლის 25 იანვარს, "ისევ-გაზთიადის" მარადიული ციკლის ბუნებრივი განგრძობაა, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ – როგორც პლუტარქე ამბობს – "პოლიტიკურ მოღვაწეობასაც თავისი დრო და საზღვარი აქვს. როგორც ატლეტთა ბრძოლაში, ისე პოლიტიკურ ჭიდილშიც იგრძნობა ხოლმე ძალისა და ახალგაზრდული გატაცების შესუსტება". და ეს ხომ არ არის ჩვენი მართლაც ახალგაზრდა პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის – პრიორიტეტი, უპირეტესობა?.. თუ?..

XVII.

მაინც ნუ მივივიწყებთ "პატარა ოქროს ხანას"(1918-1921 წლები) და მის სულის ჩამდგმელ "ოქროს თაობას'' ნოე ჟორდანიას მეთაურობით, ნუ მივივიწყებთ ზვიად გამსახურდიის, ედუარდ შევარდნაძის, ნინო ბურჯანაძის და ამით საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის - თაობებს. საქართველოს სამი-ათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია, როგორც აღვნიშნეთ, 2004 წლის 6 იანვარს ან 25 იანვარს კი არ დაწყებულა, არამედ განახლდა, როგორც გაზაფხულზე ბუნება. ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ 2004 წლის 6 იანვარსა და 25 იანვარს "ისევ-აისის", "ისევ-განთიადის" სადღესასწაულო თარიღს.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 2004 წლის 25 იანვარი

---

'სჯობს მონობაში გადიდკაცებულს,
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!'

ხალხური სიბრძნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პუბლიცისტიკა

# 14 აპრილი 1918 წლისა – გერმანია-საქართველოს მეგობრობის დღეა

## გერმანია-საქართველოს მეგობრობის 86 წლისთავის შესრულების გამო

1918 წლის 14 აპრილს გერმანულმა 1200-ჯარისკაციანმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომელიც სახელდახელოდ შექნილ იქნა კავკასიაში მყოფი გერმანელი სამხედრო ტყვეებისაგან, საქართველოს ახალგაზრდა არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილებთან ერთად, შეაჩერა წინსვლა თურქეთის ჯარებისა, რომელსაც ოზურგეთის ნაწილი უკვე დაპყრობილი ჰქონდა და ქუთაისისაკენ მიიწევდა. გერმანელი ჯარისკაცების გამოჩენამ საქართველოს მხრიდან, გერმანიის მაშინდელი მოკავშირის – თურქეთის წინააღმდეგ, აიძულა თურქეთი უკან დაეხია, რაც გახდა გერმანია-საქართველოს მეგობრობის საფუძველი, რომლის 86 წლისთავს ავღნიშნავთ დღეს.

I.

2004 წლის 14 აპრილს სრულდება გერმანია-საქართველოს მეგობრობის 86 წლისთავი, რომელსაც ავღნიშნავთ ჩვენ, ქართული სათვისტომო, აქ, მიუნხენში, ჩვენს გერმანელ მეგობრებთან ერთად. როგორ ჩაეყარა საფუძველი ამ აწ უკვე ისტორიულ მეგობრობას გერმანელ და ქართველ ერებს, გერმანიასა და საქართველოს შორის?..

II.

გერმანია-საქართველოს მეგობრობას, საქართველოს რესპუბლიკური ხანით რომ შემოვიფარგლოთ, საფუძველი ჩაეყარა პირველი მსოფლიო ომის(28.6.1914 – ბრესტ-ლიტოვსკი, 3.3.1918. Compiégne – 11.11.1918) დროს, როცა რუსეთის 1917 წლის 25 ოქტომბრის გადატრიალების შედეგად, თურქეთის ფრონტზე განლაგებულმა 39-მა დივიზიამ დატოვა ამერკავკასია, რითაც ისარგებლა თურქეთმა და დაიპყრო ჩვენი ბათომი, თუმცა ქართულმა ახარგაზრდა არმიამ და სახალხო გვარდიამ, 1918 წლის 8 აპრილს, სასტიკად დაამარცხეს თურქეთის ე.წ-ლი "გალიპოლის დივიზია", სანამ ოზურგეთის მაზრის ნაწილს დაიპყრობდა.

III.

ამ განსაცდელის დროს, თბილისში ჩამოეიდა კაიზერის გერმანიის წარმომადგენელი Friedrich Werner Graf von der Schulenburg(1875-1944), რომელმაც გერმანიის მთავრობის რებართვით, დაავალა გერმანელ სამხედრო ტყვეთა ორგანიზაციის მეთაურს –ლეიტენენტ კაიზერს, სამხედრო ტყვეებისაგან შეექმნა სამხედრო ნაწილები საქართველოს დასახმარებლად. ეს გერმანული ნაწილები საჩქაროთ შემოსეს სახელდახელოდ შეკერილი გერმანული მუნდირებით, შეაიარაღეს, და, უკვე 1918 წლის 14 აპრილს, გერმანულმა 1200-კაციანმა შეიარაღებულმა ძალებმა საქართველოს დაპყრობის გზა გადაუღობა თურქეთს, რომელიც საგონებელში ჩავარდა, რადგან გერმანია პირველ მსოფლიო ომში თურქეთის მოკავშირე იყო.

IV.

და, როცა 1918 წლის 26 მაისს, 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოცხადდა, გერმანიამ დაუყონებლივ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, და საქართველოში მოაველინა გერმანიის სამხედრო დიპლომატიური დელეგაცია გენერალ ბარონ კრეს ფონ კრესენშტაინის მეთაურობით, რომელმაც განაცხადა:

V.

"ჩვენ კავკასიის ამ უძველეს ქვეყანაში მოვედით არა ომის მიზნით, არამედ სურვილით დავეხმაროთ პატარა, კეთილშობილ ქარტველ ერს თავის სახელმწიფოს აღდგენის საქმეში. ჩვენ მოვედით არა როგორც დამპყრობლები, არამედ როგორც მეგობრები"("საქართველო", 11.12.1942 წ.).

VI.

პირველი მსოფლიო ომის ახალმა მოვლენებმა უცაბედათ შეცვალეს გერმანელთა მიერ დამყარებული მდგომარეობა კავკასიაში. ფრონტებზე მავს მოყვა რევოლუცია გერმანიაშიც. 1918 წლის 9 ნოემბერს რაიხსკანცლერმა მაქს ფონ ბადენმა(Reichskanzler Prinz Max von Baden) გამოაცხადა კაიზერის – ვილჰემ II-ეს – გადადგომა. 1919 წლის 19 იანვარს გერმანიის ეროვნულმა კრებამ რაიხსპრეზიდენტად აირჩია ფრიდრიხ ებერტი. გერმანიის სამხედრო დელეგაციამ დატოვა, რომლის დამასპიძლებისას გენერალმა გაბაშვილმა, სხვათა შორის, განაცხადა:

VII.

"გულახდილად გეტყვით, რომ არ მოველოდი იმას, რაც თან მოიტანეს გერმანელებმა საქართველოში. თითქმის მთელ მსოფლიოსთან მებრძოლი, ამ სისხლის წვიმების ხანაში, აზიის მიჯნებზე გადმოსული თავისი ჯარით, ასე ბრწყინვალე წესრიგითა და დისციპლინით, მე, როგორც ძველს მხედარს, თავს მომახრევინებს. ჩემთვის, როგორც ქართველისათვის საამაყოა ის, რომ თქვენ ასეთი ყურადღება გამოიჩინეთ ჩვენი პატარა ერის საჭიროებისადმი, მისი საშინაო და საგარეო ცხოვრების განმტკიცებისადმი. ეს რაინდული მოქცევა აღემატება ყოველგვარ წარმოდგენას კეთილშობილებაზე... ნება მიბოძეთ მაღლა ავწიო ეს ქართული სასმისი და გამოვსახო გრძნობები მთელი ქართველი საზოგადოებისა... მრავალჟამიერ თქვენს კეთილშობოლებას!"

VIII.

ბარონ კრეს ფონ კრესენშტაინმა გამომშვიდობებისას კი განაცხადა: "...ჩვენ დავმარცხდით და ვტოვებთ საქართველოს. ახლა მოვლენ ინგლისელები და ფრანგები. მართალია, ამჟამად ისინი ჩვენი მტრები არიან, მაგრამ, ვინაიდან მე მეგობარი ვარ საქართველოსი, რომლის თავისუფლებისათვის ჩვენ, გერმანელებმა გავაკეთეთ ის, რის გაკეთებაც შევძელით, - ვსთელი ვალად გირჩიოთ დაუყონებლივ მიმართოთ მათ თხოვნით, დაგეხმარონ თქვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის".

IX.

და აქ, ჩვენის აზრით, მოქმედებაშია სა-ერთა-შორისო მეგობრობის "მარადიული წრე": თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ უკვე 10 წელია ჩვენს აფხაზეთში მოღვაწეობს გერმანიის 11 ჯარისკაციც, მშიდობიანობის დამყარების მიზნით საქართველოს ამ განუყოფელ რეგიონში, მაშინ ნათელი ხდება, რომ გერმანია-საქართველოს რესპუბლიკური ხანის ეს თითქმის ერთ-საუკუნოვანი მეგობრობა დღესაც ისევე ცხოველმყოფელურია, როგორიც იყო გასულ საუკუნეში. საჭიროა მხოლოდ მას ისევ ჩავბეროთ "ინფორმაციის საუკუნის"შესაბამისი ეროვნული და სა-ერთა-შორისო სული, რომელსაც ერისა და პიროვნების თავისუფლებაში ეძლევა-გაფურჩქვნა-აყვავების საშუალება; და ამგვარი მეგობრობის განხორციელების ერთრთი საყრდენი სვეტი იყო, არის და რჩება, გერმანია-საქართველოს აწ უკვე ისტორიული მეგობრობა, რომლის 86 წლისთავს ავღნიშნათ დღეს – 2004 წლის 14 აპრილს.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2004 წლის 14 აპრილი

# იეთიმ გურჯი

თბილისელი მომღერალი-აშუღი, თბილისის სამი რელიგიური სიწმინდის – ქრისტიანული სიონის ტაძრის, იუდეველთა სინაგოგოსა და მუსლიმთა მეჩეთის – მშვიდი და უწყინარი თანაარსებობით შთაგონებული, – ასე მღეროდა:

„მეჩეთი და სინაგოგა,
და სიონი წმიდათწმიდა,
კაცი იყავ კაცური და
იქ ილოცე, სადაც გინდა..."

იეთიმ გურჯი(1875-1940)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "ჯვარი ყურანით"

## მაჰმადიანი მასწავლებლის ფერეშტა ლუდინის საქმე
## (ამონაწერები სტატიიდან "ჯვარი ყურანით")

"ჯვარი ყურანით" – ასეთი სათაურით აქვეყნებს ვრცელ სტატიას ჟურნალი "შპიგელ"-ი თავის 2003 წლის 40-ე ნომერში, რომელშიც, სხვათაშორის, წერს: "გერმანია სინამდვილეში არის იმიგრანტთა თავშესაფარი ქვეყანა; უკვე აქ ცხოვრობენ 3,2 მილიონო მაჰმადიანი, რომელთაგან ყველა რეგულარულად არ ლოცულობენ გერმანიაში არსებულ ზუსტად 2500-ს მეჩეთსა და სამლოცველოებში, რომლებიც მართლაც რომ არ უნდა იქნას უფრო ნაკლებად ყურადღების გარეშე დატოვებული, ვიდრე სხვა გერმანელები და მათი ეკლესიები. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ლუდინს სურს იგი უფრო კარგად იყოს ყურადღებამიქცეული, ვიდრე გერმანიის სხვა თანამოქალაქეები", - წერს ჟურნალი და განაგრძობს:

"1998 წლიდან, - ავღანური წარმოშობის, საუდის არაბეთში სკოლაში ყოფნის დროს ჩადრს-თავსახვევს მიჩვეული მასწავლებელი – ფერეშტა ლუდინი – ცდილობს უფლება... ჰქონდეს, რაც იურიდიულად დღემდე არ გააჩნია: შეხვიოს თმა, ყურები და კისერი ერთი კვადრატული მეტრის სიფართის ქსოვილით და ამის შემდეგ წარსდგეს გერმანელი მოწაფეების წინაშე – რომ ამ გზით დაიცვას მისი 'ღირსება' და მისი მაჰმადიანური რწმენა".

"გერმანიის კონსტიტუციის 4-ე მუხლი იძლევა რელიგიური და მსოფლმხედველობით თავისუფლებისა და მათი პრაქტიკულად გარხორციელების გარანტიას. თავისუფლება ყოველი რელიგიისა შეიცავს პატივისცემას ყოველი სხვა რელიგიის მიმართ. ამგვარი თავისუფლება საზღვარს ცილდება იქ, სადაც იგი – მისი სახელით – მას საფუძველს აცლის ან აღგვითაც კი ემუქრება. და სწორედ ეს აქვთ ამოღებული მიზანში ფუნდამენტალიატებს, რომელთა დროშაა, სხვათაშორის, თავშესახვევი. რა არ უნდა იყოს მილიონობით მაჰმადიანი ქალები ცხოვრობენ მთელს მსოფლიოში თავსახვევის გარეშე. სწორედ ამათი იძულება სურთ ფუმდამენტალსტებს, რომ ატარონ თავსახვევი; თითქოს ესენი საკმარისად სერიოზულად არ ღებულობენ მათს რწმენას."

"ქალბატონმა ალიცე შვარცერმა დამარწმუნებლად ასახა(შპ.26/2003) რამდენად არატოლერანტულია ქალბატონი ლუდინი, რომელიც ამჯერად ტენდენციურ-ფუნდამენტალისტურ 'ისლამურ კოლეგში' მასწავლებელია. ლუდინი, როცა პედაგოგიკის სტუდენტი იყო, მამაკაცებს არ ართმევდა ხელს და ხშირად ამბობდა, რომ გერმანელი ქალიშვილები არ არიან 'წმინდა'; მხოლოდ მაჰმადიანი ქალიშვილები არიან 'წმინდა'. ეს არ არის გულუბყვილო გამონათქვამი. შვარცერ: "უკვე ერთი-მეოთხედი საუკუნეა თავსახურავი გახდა მაჰმადიანი ქალებისათვის ისლამისტური დროშა. ეს არის სეპარაციის სიმბოლო...ქალბატონი ლუდინი მოითხოვს შემწყნარებლობას არაშემწყნარებლობისათვის".

"ეგვიპტელი მწერალი ფარაგ ალი ფოდა მოითხოვდა ისლამის რადიკალურ მოდერნიზაციას ლოზუნგით: 'ჩვენ, მაჰმადიანებს გვაკლია ერთი მარტინ ლუთერი'. ირანელი ისტორიის პროფესორი – ჰაშემ აღადშარი – კი აკრიტიკებდა მულების სახელმწიფოს სიტყვებით: "ადამიანები არ არიან მაიმუნები, რომლებმაც სასულიერო პირებს უნდა წაბაძონ... რა არის ის რელიგია, რომელიც წამებას ამართლებს?"... მაგრამ ფოდა 1992 წელს ... ბრალდებით მოკლეს, ხოლო ირანელი პროფესორი... ჩამოახრჩვეს".

"...თურქეთის რეფორმატორ-პოლიტიკოსმა – ქემალ ათათურქმა(1881-1938) – 1923 წელს გამოაცხადა თურქეთის რესპუბლიკა და გააუქმა საშინელი არქაული შარია-სასამართლოები და რელიგია გახადა პიროვნული საქმე... ეს იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეკულარულობზე დაყრდნობა... თურქეთშიც დავა ლაიცისტებსა და რელიგიური სახელმწიფოს მომხრეებს შორის დღესაც გრძელდება, რომლის შესახედავი მაგალითია ქალების თავსაფარი... ამას ისლამისტური ფუნდამენტალისტები აღტაცებით უყურებენ; მათი აზრიტ ქალები უნდა იყვნენ სამზარეულოში".

"რამდენად სინამდვილეში გულუბრყვილოა ქალთა თავსახურავის მომხრეები, ამის მაგალითს იძლევა ინგლისელ-ინდიელი მწერალი-მაჰმადიანი – სალმან რაშდი(Salman Rushdie), რომელსაც მისი რომანის –"სატანური კუპლეტების" – გამო "ფატვა"("Fatwa")="სიკვდილით დასჯით" დაემუქრეს. რაშდიმ, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, თქვა: "ფუნდამენტალიასტ ფიქრობს, რომ ჩვენ არაფერი არ გვწამს".

"ისევ-და-ისევ ბრალს დებენ დასავლეთის ქვეყნების კურტურას, რომ იგი შინაგან ფუნდამენტარურ სიცალიერეს გარეგანი კონსუმის ბრწყინვალებიტ ნიღბავენ. ფრიდრიხ ნიტჩეს გამონათქვამი "ღმერთი მკვდარია" მეანდება დასავლეთის ქვეყნების უამრავ კრიტიკულ ბრალდებებსა და რომანებში. მაგრამ სწორედ ამაში მეანდება დასავლეთის იდეური წინსვლა "ავტორიტარულად და დესპოტურად" ორგანიზებული ისლამური მსოფლიოს პირიაპირ: ტრადიცია თვითკრიტიკა, თავისუფლება, კრიტიკა ისევე ღიათ გამოთქვა როგორც საწინააღმდეგო აზრი".

"ცნება სკეპტიკური, თვითკრიტიკის უნარიანი ინდივიდუუმისა, რომელიც არასოდეს საშუალება არ უნდა გახდეს რაიმე რეალური მიზნის მისაღწევად და რაც სოციალურ რეფლექსს, ირონიას, ხელოვნების აღქმას და ისტორიულ შეგნებას აერთიანებსებს, არის საფუძველი ევროპული ჰუმანიზმისა. ეს გამორიცხავს საძაგელ ძალისგამოყენებას სხვაგარად მოაზროვნეების წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, პრინციპულად სხვაგვარად მოაზროვრე კოლექტივების("ებრაელები", "კაპიტალსტები", "სომხები") წინააღმდეგ – როგორი საშინელებით ადამიანებს, გასულ მე-20 საუკუნეში, ამ იდეალების წინააღმდეგ ცოდვა არ ჩაედინოს".

"უღმერთო, როგორც ამა ისლამისტი ამბობს, სრულიადაც არ არის ეს იდეალი. თუმცა ღმერთის ძებნის ფუნქციას ანიჭებს ინდივიდუუმს, რომელიც მის საზღვრებსა და მისი არსებობის მისტერიუმს უფიქრდება. არის ამგვარი ღმერთის-მძებნელი უფრო ნაკლები ფასოვანების, ვიდრე ღმერთის-მფლობელი?"

"კონსექვერტური გამოყოფა ეკლესიისა და სახელმწიფოსი, რაც საფრანგეთში, განათლების ეპოქის ამ დედა-სამშობლოში, ისევე განხორციელებულია, როგორც თურქეთში, სინამდვილეში მოტხოვნაა გონიერების – ერთხელ გერმანელებიც იძულებული იქნებიან მათ გაყვეს".

"გერმანიის ბუნდესტაგის თურქული-წარმოშობის დეპუტატი – ლალე აკგიუნი, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატია გერმანიის პარლამენტში, - ამბობს: "ჩემთვის თავსაფარი, ჯერ ერთი, არის წითელი ფერის ქსოვილი, რომელსაც ისლამი ერთნაჭერ მატერიამდე დაყავს; და - მეორე, - ეს არის ქალისა და კაცის უთანასწორობის ნიშანი".

"და მრავალი მაჰმადიანისათვის ეს არის აგრეთვე ნებაყოფლობითი გამოყოფის, გეტოს შექმნის ნიშანი: გერმანიაში მრავალი რელიგიური მეთაური წარმატებით იბრძვიან იმისათვის, რომ მაჰმადიანები გამოყოს ადგილობრივ მოსახლეობას. ასე, მაგალითად, ბერლინელი იმამი – აბუ საიფი - , რომლის ირგვლივ თავმოყრილია მორწმუნეთა მცირე ჯგუფი, - მოუწოდებს მაჰმადიანებს ქალაქ გარეთ მონახონ თავისუფალი ადგილი და იქ ააშენონ მეჩეთები, ბაზრები, მედრესები(ყურანის სკოლები), სახელოსნოები, სამზარეულონი, ფურნეები, საქონლის სასაკლაოები და საავადმყოფოები".

"და უკვე არსებობს მაჰმადიანური უბნები ბერლინში: კროიცბერგი, ვედინგი და ნოიკელნი, რომლებში მოსახლეობის 80-90 პროცენტი მაჰმადიანებია, თითქოს თურქეთის მთელი სოფლები მთლიანად გადმოსახლდენ გერმანიაში".

"ყურანის სკოლებში მთავარი მიზანი კი არ არის ადამიანებს დაეხმარონ მათი რელიგიური მრწამსის განხორციელებაში, არამედ პოლიტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლმხედველობის გავრცელებაში", - ამბობს მასწავლებელი ჰასან ალაკაკიოგლი, რომელიც თვითონ იმამია".

"ეგვიპტელი იმამ ომარ აბდელ კაფი პირდაპირ ამბობს: "ჩვენი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა ისლამის გავრცელება. ჩვენ მთელი მსოფლიო უნდა დავასახლოთ და ყველა ისლამისტები გავხადოთ".

"საერთოდ გერმანიაში ცხოვრობს 3,2 მილიონი მაჰმადიანი, რომელთაგან ნახევარი მილიონი გერმანიის სახელმწიფოს მოქალაქეა".

"თუ როგორი უნდა იყოს მაჰმადიანურად აღზრდილი ახალგაზრდობა, ამას 'მილი გორუსის საზოგადოება' ასე განსაზღვრავს: თქვენ ალაჰისაგან მოჰამედისათვის ბოძებული კანონები მთელ მსოფლიოში ცხოვრებაში გაატაროთ და იმისათვის იბრძოლოთ, რომ ეს კანონები განხორციელდეს".

და ამისი თვალსაჩინო სიმბოლოა არა მარტო ჩადრი, არამედ თავსახვევიც, რომლის დროს დაფარულია ქალის თმა, ყურები და კისერი; და ამგვარი თავსაფარის სკოლაში ტარებისათვის იბრძვის იურიდიულადაც პედაგოგი ფერეშთა ლუდინი. ამით კი, თუ შუასაუკუნეების აწ დრომოჭმულ "ჯვაროსნულ ომებს" მოვიგონებთ, ჯვარის ადგილს იკავებს ყურანი; და ამ პრობლემას ეხება ავტორთა ჯგუფი სტატიაში - "ჯვარი ყურანით".

კ.ი.-"შპ."- 40/2003, გვ.82-97

## ქართველი მშვიდობოსმყოფელები ერაყში

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო კონტინგენტი 7 აპრილს ერაყში 6 თვით გაემგზავრა. "ალექსეევკის" სავიაციო ბაზაზე მათი გაცილების ცერემონიაში მონაწილეობდნენ ქვეყნის თავდაცვის უწყების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე, უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი.

მე-16 სამთომსროლელი ბატალიონის მშვიდობისმყოფელთა 159-კაციანი ჯგუფის დისლოკაციის ადგილი ერაყის სამ ქალაქში იქნება. ცხელ წერტილში მივლინებულ ქართველ სამხედროებს დაევალებათ ამერიკელ კოლეგებთან ერთად საკონტროლო-გამტარ პუნქტებზე ტერიტორიების დაცვა, მორიგეობა და პატრულირება დასახლებულ პუნქტებში დღე-ღამის განმავლობაში. გარდა ამისა, გადამალული იარაღის ამოღება და არ არის გამორიცხული, მათ სწრაფი რეაგირების ძალების გაძლიერება მოახდინონ რომელიმე ქვედანაყოფზე თავდასხმის შემთხვევაში. როგორც ქართველმა მშვიდობისმყოფელებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, ერაყში სამხედრო ვალდებულების მოხდას კოალიციის ჯარებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ექნება გამოცდილების მიღების თვალსაზრისით.

საქინფორმი, 8.4.2004 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# “თავისუფლების კოშკი” “ნულ მიწაზე”
# “Freedom Tower” on “Ground Zero”

I.

2001 წლის 11 სექტემბერს ტერორიტებმა ააფეთქეს “წყვილი კოშკი”=”მსოფლიო ვაჭრობის ცენტრი”, ნიუ-იორკში, რაც გახდა არა მარტო აშშ-ს ისტორიის გარდატეხის თარიღი. ამ ფაქტმა იმდენად შეარყია არა მარტო ამერიკელი ხალხის ცნობიერება, რომ დაუყონებლივ დაიწყო “ნულ მიწაზე” ახალ ცათამბჯენის აშენებაზე ბჭობა, იმავე ადგილზე, სამი-ათას დაღუპულ ადამიანთა სახელის უკვდავსაყოფადაც. ამას მოყვა არქიტექტორ-მშენებელთა შეჯიბრი, რომელშიც გაიმარჯვა არქიტექტორმა დანიელ ლიბესკინდმა(Daniel Libeskind), რომლის პროექტი, დავით ჩაილდის(David Childs) უშუალო მონაწილეობით, განხორციელდება 2008 წლამდე “ნულ მიწაზე” “თავისუფლების კოშკის” სახელწოდებით.

II.

ამ “თავისუფლების კოშკის” სიმაღლე იქნება 1776 ფუსი, ე.ი. 540 მეტრი, და ამით ეს თავისუფლების კოშკი” იქნება უმაღლესი ცაღამბჯენი მთელს მსოფლიოში. ამ უზარმაზარი ნაგებობის 60 სართული გამოყენებულ იქნება როგორც ბიუროები. 335 მეტრზე კი მთავრდება “დასახლებული ნაწილი” გადასახედი პლატფორმით, რომლის შემდეგ ეს ნაგებობა ვიწროვდება და მთავრდება წვერით 1776 ფუსის, ე.ი. 540 მეტრის სიმაღლეზე.



III.

ამგვარად, ნიუ-იორკის “ნულ მაწაზე” აგებული “თავისუფლების კოშკის” დედა-აზრია “1776 წელი, 4 ივლისი”, როცა დაიბადა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც ადამიანის “ბედნიერება”=”happiness” აქცია კონსტიტუციურ უფლებად, რასაც მოყვა საფრანგეთის 1789 წლის 14 ილისის დიდი რევოლუციის “თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის”=”Liberté-Égalité-Fraternité”-ს ჰუმანიტარული მრწამსი, და - ესეც უნდა აღინიშნოს ხაზგასმით – “მესამედასელთა” მიერ 1893 წლის 7(20) თებერვალს ჩამოყალიბებული სა-ერთა-შორისო მნიშვნელობის კრედო: “ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა”, რითაც “სოციალური დემოკრატია” გახდა, საერთოდ, დემოკრატიის უმაღლესი ფორმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

ამდენად, ვფიქრობთ, ნიუ-იორკის "ნულ მაწაზე" აგებული "თავისუფლების კოშკში" ჩაქსოვილია 4 ივლისის, 14 ივლისისა და 7(20) თებერვლის საერთშორისო ჰამანიტარული იდეები, რითაც ეს "თავისუფლების კოშკი" ხდება მსოფლიოს ყველა დიდი და პატარა ერის, და ამით საქართველოს "თავისუფლების კოშკი", რომელსაც ვიხილავთ 2008 წელს ნიუირკში.

კ.ი. – პარიზი, 2004 წლის 26 მაისი

---

# შობადობა მსოფლიოში და საქართველო

## მსოფლიო ბანკი ბავშთა შობადობის შესახებ მსოფლიოში

I.

მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები ბავშთა შობადობის შესახებ მსოფლიოს 190 სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოში, რაც შემაძრწუნებელ სურათს იძლევა ჩვენი ერის დემოგრაფიულ სფეროში. აი, მთავარი ადგილები ამ სტატისტიკურ ცნობებიდან:

II.

ყოველ 1000-ს სულზე ერთი ბავშვი დაიბადა 2002 წელში -

1. სომალიაში(მოსახლეობა 9 085 000 სული)......49,9 ბავშვი;
2. ნიგერში(11 184 000 სული)......49,4 ბავშვი;
3. ავღანეთში(27 248 000 სული)......48,5 ბავშვი;
80. ინდოეთი(1 032 355 000 სული)......23,8 ბავშვი;
108. თურქეთი(66 229 000 სული)......19,8 ბავშვი;
136. ჩინეთი(1 271 850 000 სული)......14,8 ბავშვი;
140. აშშ(285 318 000 სული)......14,3 ბავშვი;
148. საფრანგეთი(59 191 000 სული)......12,5 ბავშვი;
156. დანია(5 359 000 სული)......12.0 ბავშვი;
185. გერმანია(82 333 000 სული)...... 8,7 ბავშვი;
186. უკრაინა(49 093 000 სული)...... 8,7 ბავშვი;
187. იტალია(57 948 000 სული)...... 8,6 ბავშვი;
188. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო(5 259 000 სული?)...... 8,2 ბავშვი;
189. ლიტვა(3 482 000 სული)...... 8,2 ბავშვი;
190. ჰონგკონგი(ჩინეთი)...... 8,1 ბავშვი.

III.

ამგვარად, საქართველოს მოსახლეობას უწოდებენ "გაქრობის პროცესში მყოფ" ხალხს, ერს, რაც გრძელდება დღესაც, როცა ეს სტრიქონები იწერება, რადგან ბავშვთა სობადობის მხრივ საქართველო, როგორც ავღნიშნეთ, მსოფლიოს 190 სახელმწიფოდან, 188-ე ადგილზე, ე.ი. უკანასკნელ ადგილზეა ჩვენსავით მცირერიცხოვან სახელმწიფო ლიტვასთან ერთად, სადაც აგრეთვე, საქართველოს მსგავსად, ყოველ 1000-ს სულ მოსახლეზე, 2002 წელში, მხოლოდ 8,2 ბავშვი დაიბადა.

IV.

რა თქმა უნდა, ბავშთა შობადობის ასეთ რადიკალურ შემცირებას, აქვს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და, უწინარეს ყოვლისა, ს ო ც ი ა ლ უ რ ი ასპექტი, რომლის შესახებ გაცხარებული კამათი წარმოებს მრავალრიცხოვან ერებშიც, თუმცა მათ, ბავშვთა შობადობის შემცირებით, აღგვა მიწისაგან პირისა არ ემუქრებათ, ვთქვათ, გერმანიას, სადაც, მაგალითად, მოსახლეობის რაოდენობა დღეს, 2004 წელში, უდრის 82 მილიონ სულს; 2050 წელში კი – თუ ბავშვთა შობადობის დღევანდელი დონე შენარჩუნებულ იქნება – გერმანიის მოსახლეობა დაეცემა 53,7 სულამდე. მაგრამ – და ეს არის, ჩვენის აზრით, გადამწყვეტი ფაქტორი – გერმანია მაინც მარავალრიცხოვანი ერი დარჩება, სულ ცოტა საქართველოსთან შედარებით. და საქართველო ხომ შეუძლებელია შედარებულ იქნას ისეთ გიგანტურ სახელმწიფოებთან, როგორიცაა ჩინეთი თუ ინდოეთი, რომლებში დღეს, მსოფლიო სულ ექვს მილიარდ მოსახლეობიდან, თითქმის ორ-მილიარდ-ნახევარი ადამიანი ცხოვრობს.

V.

მაგრამ ჩვენ ჩამოვრჩებით, ბავშვთა შობადობის სფეროში, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებს – თურქეთს, აზერბაიჯანს თუ სომხეთს: თურქეთში ყოველ 1000-ს სულზე მოდის 19,8 ბავშვი, ხოლო მოსახლეობის რაოდენობაა, როგორც ავღნიშნეთ, 66 229 000-სი სული; აზერბაიჯანში მოსახლეობის რაოდენობაა თითქმის ორჯერ მეტია საქართველოსთან შედარებით – 8 116 000 სული; და მოსახლეობა იზრდება ყოველწლიურად, 1980 წლიდან, 1,3 პროცენტით; სომხეთის მოსახლეობა

უდრის 3 809 000 სულს; მოსახლეობის წლიური ზრდა კი უდრის 1,0 პროცენტს; საქართველოს მოსახლეობა კი 2001 წელს უდრიდა 5 279 000 სულს; მაგრამ დღეს საქართველოს ტერიტორია და ამით მოსახლეობა დაქუცმაცებულია, რუსეთის დიდმპყობელურ-შოვინისტური პოლიტიკის გამო, რის შედეგად საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, 2002 წლის აღწერით, რაც საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობილ ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში ვერ ჩატარდა, - დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ უდრიდა 4 352 000-ს სულს. საქართველოს მოსახლეობის ასეთი მკვეთრი შემცირება გამოიწვია, როგორც ანზორ ს ა ხ ვ ა ძ ე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის უფროსი წერს(11.01.2004 წ.), - "უკანასკნელ ათწლეულში მთელი მოსახლეობის თითქმის 25 პროცენტის ემიგრირებამ".

VI.

მართალია, ჩვენ არ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ჩვენი მოსახლეობის იმიგრირებულმა ნაწილმა "შიმშილით სიკვდილისაგან თავის დაღწევის მიზნით, გაქცევით უშველა თავს", თუმცა იმიგრირებულთა შორის, უთუოთ, ასეთებიც იყვნენ, მაგრამ, "როგორც იტყვიან ხოლმე, - წერს ანზორ სახვაძე, - ზოგი ჭირი მარგებელიაო და ამ გაქცევამაც გარკვეული შედეგი გამოიღო". "თუ 1959 წელს ქართველები იყვნენ საქართველოს მოსახლეობის 64,3 პროცენტი, უკვე 1989 წელს ეს მაჩვენებელი 70,1 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო 2002 წლის აღწერით 83,8 პროცენტს მიაღწია". "არაქართველების ემიგრაციაზე ჩვენ არაფერს ვიტყვით, რადგან მათი უმეტესობა საქართველოდან წასვლის შემდეგ თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა და ეროვნული თვითშეგნების ზრდის კვალობაზე ეს სრულებით ბუნებრივი მოვლენაა".

VII.

აქ კი, ჩვენის აზრით, "ეს სრულებით ბუნებრივი მოვლენა" ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტების განუწყვეტელი ცდების შედეგია, საქართველო გამხდარიყო მხოლოდ გეოგრაფიული ცნება, ე.ი. "საქართველო ქართველების გარეშე", რის "საბჭოთა ხანის" მაგალითს წარმოადგენს ე.წ-ლი "სუსლოვის სული", სუსლოვისა(1902-1982), რომელიც ოფიციალურად სსრკ-ას კომპარტიის იდეოლოგი, თითქოს "ინტერნაციონალისტი" იყო, ხოლო სინამდვილეში რუსი-შოვინისტი ყოფილა, რომელიც მის "დახურულ მოხსენებაში", სხვათა შორის, ამბობს:"...ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ დაძევების საშუალებას მოგვცემს".

VIII.

საქართველო, ქართველი ერი იყო და არის ჩვენი დიდი მეზობლების, განსაკუთრებით რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტური ზეწოლის საშიშროების ქვეშ დემოგრაფიულადაც, რის უმწარესი მაგალითია რუსეთის განუკითხავი ბატონობა ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში თითო-ოროლა აფხაზი და ოსი ექსტრემისტის ნილბით. ამდენად, ჩვენი ეროვნული "მე-ობის" დაცვის საშუალებაა შობადობის ზრდა საქართველოში. მაგრამ, ამ მხრივ, იმდენად ჩამოვრჩებით ჩვენ მეზობელ აზერბაიჯანსაც და სომხეთს, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობა უკვე თითქის ორჯერ მეტია, ვიდრე საქართველოსი, და, გასაგებია, ბავშვთა შობადობაც აზერბაიჯანსა და სომხეთში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში, რის ახსნა სოციალური პირობებით შეუძლებელია.

IX.

მაშ, რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ბავშვთა შობადობა ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში, თუმცა ამ ქვეყნების ეკონომიკურ-სოცილური პირობები დიდათ არ განხვავდება ერთმანეთისაგან?..

X.

"შუმერებმაც კარგად იცოდენ, - ამბობდა მიხეილ ქურდიანი("ლ.ს.", 7.6.1985 წ.), - რომ ერის გამრავლებისათვის ყოველ ოჯახზე შვიდი შვილი იყო საჭირო... იცოდენ ყველაფერი ეს შუმერებმა, მაგრამ მარტო ცოდნამ მათ ვერ უშველა და ამოწყდენ. გადაშენდენ ცივილიზაციის აკვნის დამრწენი და დამწერლობის შემქმნელნი".

XI.

ვითომ ამგვარი ბედი მოგველის ჩვენ? – ღმერთმა დაგვიფაროს!..

კერლო ინასარიძე
პარიზი, 2004 წლის

---

**რა უნდა ვიცოდეთ?..**

„ყველამ ერთად და თვითოეულმა ცალკე უნდა იცოდეს, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე".

ილია ჭავჭავაძე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

## საქართველოს ექსპორტ-იმპორტი

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის - ზურაბ ჟვანიას - 2004 წლის 12 თებერვლის განცხადებით, საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ 1,5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. აქედან ექსპორტმა შეადგინა 144,1 მილიონი დოლარი, იმპორტმა კი 1057,8 მილიონი. ამჟამად საქართველოს პარტნიორული ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანასთან.

« ს.რ.", 13.2.2004 წ.

---

"შევარდნაძემ დაგვიტოვა მძიმე მემკვიდრეობა"

I.

ასეთი სათაური აქვს გერმანელი პუბლიცისტის – მარკუს ვენერის – გასაუბრებას ზურაბ ჟვანიასთან, რომელსაც ის ესაუბრა 2003 წლის 27 ნოემბერს თბილისში. იგი წერს:"ზურაბ ჟვანიამ, 39 წლის ბიოლოგმა, მისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო 90-იან წლებში როგორც ეკოლოგიური პარტიის სპიკერმა; იგი არ არის ქარისმატული პოლიტიკოსი. ისაა ადამიანი კულისებში, მოაზროვნე და მგეგმავი, რომელსაც კავშირი აქვს მთელ მმართველობაში. წამყვანის როლი ვარდების რევოლუციაში მან პოპულისტურ სახალხო ტრიბუნს მიხეილ სააკაშვილს გადააბარა, რომლის დროს ანტირევოლუციურ საწინააღმდეგო პოლიუსს პარლამენტის პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე გახდა. მაგრამ ჟვანიამ საეჭვოა, რომ მისი ამბიციები მიივიწყა".

II.

"მართალია, ჩვენ სამივეს გვსურდა გამხდარიყავით პრეზიდენტი", - თქვა ჟვანიამ გასაუბრების დროს, - "მაგრამ შანსი საქართველოს ახალი დასაწყისისათვის რომ გამოგვეყენებია, შევთანხმდით სააკაშვილი ყოფილიყო ოპოზიციის პრეზიდენტობის საერთო კანდიდატი. შევთანხმდით აგრეთვე, რომ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე დარჩება პარლამენტის თავმჯდომარე, იმ დროს, როცა თვით ზურაბ ჟვანია, კონსტიტუციის შეცვლის შემდეგ, პრემიერმინისტრი გახდება..."

III.

როგორც ვხედავთ, სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანია თავიდან იმდენად დარწმუნებული იყვნენ გამარჯვებაში 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო და მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში, რომ უკვე არჩევნებამდე არჩეულად თვლიდენ თავს საქართველოს პრეზიდენტად, პარლამენტის თავმჯდომარედ და პრემიერმინისტრად!..

IV.

"მაგრამ შევარდნაძემ მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა ვარდების რევოლუცია; ქვეყანა ეკონომიკური გაკოტრების ზღვარზეა... თუმცა ვარდების რევოლუცია რომ ერთი გასროლის გარეშე მოხდა, შევარდნაძის დამსახურებაცაა", - თქვა ზურაბ ჟვანიამ და დასძინა:

V.

"როცა შევარდნაძე გადადგა, ის არ ყოფილა გულმოსული, არამედ ადამიანი, რომელიც პასუხისმგებლობას გრძნობს. ეს იყო ერთი მშვენიერი დასასრული ერთი მშვენიერი რევოლუციისა", - თავდაჭერილად შეაქო ჟვანიამ ედუარდ შევარდნაძე.

კ.ი.-მარკუს ვენერი(28.11.2003 წ.

---

## „მარადიული სანდვიჩი"

"სანდვიჩი" არის თეთრი პურის ორი თხელი ნაჭერი, რომელთა შორის მოთავსებულია რაიმე საუზმეული – კარაქი, ძეხვი, ყველი, სალათა და მისთანანი, რომელსაც მიირთმევდა, კარტის თამაშის შეუწყვეტლივ, აზნაური John Montagu(1718-1792), Earl of Sandwich-ი, რის შედეგად "სანდვიჩი" ეწოდა ამ საუზმეულს; და ახლა, როგორც New Scientist

იტყობინება(11.12.2003), აშშ-ის არმიის მეცნიერებმა შექმნეს "გაუნადგურებელი სანდვიჩი"="მარადიული სამდვიჩი", როლითაც შესაძლებელია ჯარისკაცების გამოკვება "ექსტრემისტულ პირობებში".

ეს ახალი სახის სანდვიჩი შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანების გამოსაკვებად, სამი წლის განმაველობაში, 26 გრადუსი(ცელსიუსი) სითბოს პირობრბში; ექვსი თვის განმავლობაში - 38 გრადუს სითბოშიც კი.

აშშ-ს არმიის ბაზა ნატიკში შექმნილ იქნა სისტემა, რომ პური - შემწვარი ქათმის ხორცით და სხვა საუზმეულით - ისე შეეჯუთათ - სანდვიჩში ჟანგბადის წარმოშობა შეემცირებინათ. ამ გზით კი უკვე, დროთა განმაველობაში, ალბათ, შესაძლებელი გახდემა "გაუფუჭებელი","მარადიული" კერძების შექმნაც.

AFP – 11.12.2003

## გაერო ეხმარება ღარიბ ქვეყნებს

გაეროს სურს დაეხმაროს ღარიბ ქვეყნებს, რომლებსაც გასასვლელი ზღვაზე ან რკინიგზა ანდა გზატკეცილი არ გააჩნიათ. აი, ეს საკითხი იქნა განხილული გაეროს კონფერენციაზე ყაზახეთის დედაქალაქ ალმატიში 2003 წლის აგვისტოში.

ასეთ არასახარბიელო მდგომარეობაშია, მაგალითად, მსოფლიოს 30 ქვეყანა, რომლებიც დიდ ზარალს განიცდიან, რომელთაგან ზოგიერთები ისე ღარიბია, რომ კაპიტალის დაბანდება არ შეუძლიათ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში.

აფრიკის 15 ქვეყანას, რომელიც შეიცავს დედამიწის ზედაპირის 12 პროცენტს, გააჩნიათ ბრუტო-სოციალური პროდუქცია მხოლოდ 0,3 პროცენტი. ეთიოპია, მალი, ნიგერი თუ ჩადი კარგავენ მათი ექსპორტის ერთ-მესამედს იმიტომ, რომ ძვირი ღირს ტრანსპორტი და საქონლის დაზღვევა. ამიტომაა, რომ ევროპის კავშირი ხელს უწყობს რეგიონალურ სატრანსპორტო კორიდორის მშენებლობას სახარის სამხრეთით, რის შედეგად ახალი შარაგზა შეიქმნება ტანზანიასა და უგანდას, რუანდასა და ბურუნდის, ასევე კამერუნსა და ჩადს შორის.

100 მილიონზე მეტი ევრო იხარჯება 10 წლის წინათ დაწყებულ "ტრასეკას-პროგრამით დაწყებულ კორიდორის შესაქმნელად, რომელიც დააკავშირებს ევროპას ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან, აგრეთვე ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ჩინეთამდე. რკინიგზის ხაზი მიემართება ფოთიდან თბილისის-ბაქოს-კასპიის ზღვის-აშხაბადის-ტაშკენტის გავლით ჩინეთამდე.

კ.ი.-შპ. 35/2003.

## ქართული სანიმუშო ოჯახი

თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ გუშინ ორთაჭალის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მოძღვარის მამა ბესარიონის ოჯახი მოინახულა და მეთერთმეტე შვილის შეძენა მიულოცა.

დედაქალაქის მერმა და რაიონის გამგებელმა ავთანდილ დავითაძემ მრავალშვილიან ოჯახს ერთჯერადი დახმარების სახით 700 ლარი და სააღდგომო ტკბილეული გადასცეს.

ვანო ზოდელავას თქმით, დედაქალაქის მთავრობა ოჯახს სხვა სახის დახმარებასაც აღმოუჩენს. ოჯახს უფასოდ მომსახურება ბავშვთა რაიონული პოლიკლინიკა და სასწრაფო დახმარება.

სრ-9.4.2004 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

## ი უ მ ო რ ი ს  კ უ თ ხ ე

### ჩვენი პრეზიდენტის გასაჭირი ანუ "ძუკუს საქმე ძუკუმ იცის"

I.

იუმორი – ინგლისურათ humour – უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი, ე.ი. რაიმე ამბის, ვისიმე ან რისამე ნაკლის სასაცილო, კომიკური სახით წარმოდგენა, გამოხატვა – ვესურს ამ "იუმორის კუთხეში", რომლის საბაბი მოგვცა ჩვენმა ახალგაზრდა პრეზიდენტმა, როცა წავიკითხეთ "პრეზიდენტის ჩივილი"("საქართველოს რესპუბლიკა", 12 მარტი, 2004 წელი), რასაც ბატონი რევაზ მიშველაძე ისე ენამახვილად აღწერს, რომ, მოდი, ჯერ ჩვენც დავტკბეთ მისი და ჩვენი პრეზიდენტის მიერ მოთხრობილი არანაკლებ ენამახვილი გამოთქმებით, ყოველგვარი შემოკლების გარეშე; მით უმეტეს, რომ საქართველოს დღევანდელ რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ პირობებში, ჩვენი პრეზიდენტის ამგვარი იუმორისტული გააზრება, მის შექსპირულ(ადამიანურ) თვისებას ამჟღავნებს, რაც იუმორის უმაღლეს რეგიონში იჭრება.

მაშ, ჯერ, დავუგდოთ ყური ჩვენი „პრეზიდენტის ჩივილს":

II.

ფილარმონიასთან შვიდი ლიმუზინი გაჩერდა.

სანამ დანარჩენი ექვსი ლიმუზინიდან მცველები შუა, საპრეზიდენტო ლიმუზინთან მოირბენდნენ, პრეზიდენტი კიბეზე არბოდა.

სცენაზე აიჭრა, მიკროფონებს ხელი დაუკაკუნა (თუ მუშაობენო) და დარბაზს თვალი მოავლო.

კათედრას შემოჭდობილ ოითებს ფლეიტის დამკვრელივით ათამაშებდა და დროდადრო ტუჩებს მარჯვნივ ქაჩავდა.

ასეთი რამ დიდი სულიერი მღელვარების დროს ემართებოდა.

არ ჩაუხველებია, პირდაპირ დაიწყო:

"ძვირფასო მეგობრებო! შეგაწუხეთ, რათა გაუწყოთ ჩემი ამდილანდელი მტკიცე გადაწყვეტილება; კერძოდ, დავითხოვე მრჩეველთა საბჭო, რეფორმების საკოორდინაციო ჯგუფი და ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ სანამ პრეზიდენტი ვიქნები, არც რადიო-ტელევიზიას მივაპყრობ თვალ-ყურს, არც გაზეთებს წავიკითხავ.

ჩემი ჭკუით მოვედი აქამდე და მომავალშიც ჩემი ჭკუით ვმართავ ამ ქვეყანას.

რატომ გადავწყვიტე ასე. მოკლედ გეტყვით და თავად განსაჯეთ, მართალი ვარ თუ არა.

როგორც კი ამირჩიეს, პირველ რიგში, ხაზინის ქურდების დაპატიმრებას შევუდექი.

ვინც სახელმწიფოს ფული ჩაიჯიბა, მოგეხსენებათ, პროკურორის დაუხმარებლად არ გამოტყდება და პოლიციის დაუხმარებლად არ ჩაჯდება.

დაიწყო დაჭერები და ამიხირდნენ, რა ამბავია ეს შოუდაჭერები, მშვიდობიან მოსახლეობას ნერვებს ნუ უშლი. ვისი დაჭერაც გინდა, შინიდან ტკბილად, უხმაუროდ წაიყვანეო.

ტელედაჭერების უხერხულობას, რა დაგიმალოთ და, თვითონაც ვგრძნობდი. როგორი საქმეა, მოწყვიტო მეგობრის სიდედრის ქელეხის სუფრას პოლიციელი და უბრძანო, - გავარდი ახლა, ტელევიზია გელოდება, ამა და ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზინის აბრაგს (ან ნამდვილ აბრაგს) თავს დაესხი და ქიჩოში ხელწავლებული, ძუნძულ-ძუნძულით მოიყვანეო.

ასეთ, უდროო დროს "შეწუხებულმა", ქეიფს ახალმოწყვეტილმა ჩვენმა ბიჭებმა, მოგეხსენებათ, ამას წინათ, ყაჩაღების ნაცვლად, ერთმანეთი დახოცეს.

ჰოდა, გადავწყვიტე, თეატრალური დაჭერების ნაცვლად ჩუმ დაპატიმრებებზე გადავსულიყავი.

ახლა ამაზე ამიჯანყნენ; ოცდაჩვიდმეტი მობრუნდა, მოქალაქეებს შუაღამისას აკითხავენ და გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავთო.

ავდექი და ფინანსური ამნისტია გამოვაცხადე; ვინც სახელმწიფოს გადასახადი დაუმალა, უკანვე დააბრუნოს და აღარ დავიჭერ-მეთქი.

ეს "ამნისტია" ფულის გადამლუნავ მსხვილ გადამხდელებს გაეხარდა, პატიოსან მოქალაქეებს კი ეწყინა.

რას ჰქვია, აღარ დაიჭერო. რაო, ფულს თუ დააბრუნებს, ქურდი აღარ იქნებაო. ვინ მოგახსენა, რომ მსხვილი გადამხდელი ზუსტად იმდენს დააბრუნებს, რამდენიც წლების განმავლობაში გადამალაო.

დროებით საერთოდ შევაწყვეტინე დაჭერები. სამი დღე ისე გავიდა, არავინ დაუპატიმრებიათ.

აყაყანდნენ, მაგრამ რა აყაყანდნენ; პრეზიდენტი მაფიას შეეკრა, ხაზინის ქურდებს აღარ იჭერს, ვაი ჩვენს მოსწრებასო.

ახლა სხვამხრივ გავიხედოთ.

პრეზიდენტად რომ ამირჩიეს, იქნებ რუსს აფხაზეთი და სამაჩაბლო გამოვტყუო-მეთქი და მოსკოვში ჩაველი.

რასაკვირველია, პუტინთან ვერაფერს მივაღწიე, მაგრამ რომ დავბრუნდი, მრევლი გაბღვერილი დამხვდა.

ჩვენმა პრეზიდენტმა რუსული ორიენტაცია დაიჭირაო.

სასწრაფოდ გავვარდი ამერიკაში და ბუშს ისე ჩავეხუტე, სულ "ჩემი პირადი მეგობარი" მიძახა.

ჩვენს პოლიტუნივერსალლოგებს არც ეს მოეწონათ; როგორ შეიძლება ასე ღიად ამერიკისადმი სიმპათიების გამომჟღავნება, რუსი გაგვინაწყენდება და სამაჩაბლო-აფხაზეთს აღარ დაგვიბრუნებსო.

მოკლედ, მძიმე დღეში ვარ ჩავარდნილი.

ჩემი ხელებიც კი მე აღარ მეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ, ერთ გულითად შეხვედრაზე, კლინტონს მხარზე ხელი მოვუცაცუნე და მასმედიამ ქოქოლა დამაყარა, რა თავისუფლად, რა არადიპლომატიურად იქცევიო.

კოფი ანანთან მიღებაზე კი ხელჩამოშვებული ვიდექი, ფამილარობის ნიშანწყალიც არ მეტყობოდა. არც ამისთვის უთქვამთ მადლობა, რა დასჯილი მოწაფესავით იქცეოდიო.

სახელმწიფოს ფულს დავუზოგავ-მეთქი და რამდენჯერმე სახალხო მარშრუტით ვიფრინე.

ვერც ეს გამიგეს სწორად.

როგორ შეიძლება, პრეზიდენტი უბრალო მარშრუტით მგზავრობდეს; მის უსაფრთხოებას რომ თავი გავანებოთ, პრესტიჟის ამბავია. ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო ვართ თუ არა, რა გაგვიჭირდა საპრეზიდენტისთვითმფრინავოდ ხარჯის გაღებაო.

პრეზიდენტად რომ ამირჩიეს, გამხდარი ბიჭი ვიყავი (ცოტა ნერვიულობა შემხვდა.), თუ გახსოვთ, ატეხეს ქილიკი; რა გაჩხიკული პრეზიდენტი გვყავს, ცხვირში ლანდი გასდის, იტყვიან უცხოელი პრეზიდენტები; ეტყობა, ისეთი გაღლეტილი ქვეყნიდან არის, პრეზიდენტიც კი მშიერი ჰყოლიათო.

მოვუმატე ჭამას. პრეზიდენტი რომ "სალიდნად" გამოიყურებოდეს მხოლოდ იმიტომ, თორემ ზედმეტი წონა ჭირივით მეზარება.

მოვსუქდი ცოტა.

წყენაგარეული ქილიკით დამიწყეს ცქერა - დაეტყო კაი ცხოვრება, გაუტკბა პრეზიდენტობა, მის წინამორბედს ნაადრევად დაემსგავსა, ხალხის დარდ-ვარამს და შიმშილ-წყურვილს მალე, კახური გამოთქმა რომ არ ვიხმაროთ, ფეხზე დაიკიდებსო.

ამას წინათ, თან წონაში დავიკლებ და თან დემოკრატობანას ვითამაშებ-მეთქი და გუდაურს ჩავფრინდი.

სანდრა კარგად სრიალებს, მე "პლუგით", მაგრამ მაინც ვახერხებ საბაგიროს მეორე სადგურიდან ჩამოსვლას.

ჩამოვსრიალდ-ჩამოვტანჯდი, როგორც იქნა, და უნდა გენახათ, უთხილამურო მოქალაქეთა ირონიული მზერა:

- აუ, დავლუპულვართ, თხილამურზე სრიალით უნდა ამას ქვეყნის აშენება. რა ეთხილამურება, ეს დააყრის ხეირს კორუფციისგან შეჭმულ ქვეყანასო. - მეტყველებდნენ მათი თვალები.

არა და, რა დავაშავე ასეთი. კვირა დღეს ორი საათით რომ ჩემს გემოზე ვიყო, თხილამურზე დავდგე, ან ცხენზე შევჯდე, დაიქცევა ქვეყანა.

მითხარით ერთი, საბჭოთა ან პოსტსაბჭოთა პერიოდში (შუასაუკუნეებზე

ალარაფერს ვამბობ), რომელი საქართველოს მმართველი დასრიალებდა თხილამურებით.

ესეც ხალხთან სიახლოვისკენ გადადგმული ნაბიჯია თუ არა.

ერთი სიტყვით, სულ რაღაც ოთხიოდე თვეა პრეზიდენტი ვარ და უკვე დავიღალე ამდენი არამკითხე მრჩევლებით და ჭკუის დარიგებებით.

ჩემს საქმეს თვითონ მივხედავ.

მეგრელებს (დედის მხრიდან მეგრელი ვარ) ერთი გენიალური ანდაზა აქვთ: "ძუკუს საქმე ძუკუმ იცის".

როგორც მოგახსენეთ, ამიერიდან უარს ვამბობ პრეზიდენტის აღზრდის თქვენეულ მეთოდებზე!"

ტრიბუნას მოშორდა, კიბე ჩაირბინა, უკან ქარზე უსწრაფესად დადევნებულ ტელეჟურნალისტთა ლაშქარს ხუთ ნაბიჯზე გაასწრო, ლიმუზინში ჩახტა და კარი მიიჯახუნა.

მზიან-ქარიანი ამინდი იდგა.

უძოს მთაზე ორი კვირის წინანდელი თოვლი ალაგ-ალაგ თეთრობდა.

დაცვა მანქანებთან არ უშვებდა მოზღვავებულ კორესპონდენტებს.

- ახლა მარცხნივ უნდა წავიდეთ, ბატონო პრეზიდენტო, - უჩურჩულა თანაშემწემ.

პრეზიდენტმა ტუჩმოკუმულად, გაბრაზებით შეხედა ჩინოვნიკს და მტკიცედ მიახალა:

- მარცხნივ!

ექსკორტი დაიძრა.

რედაქციისგან: კიდევ კარგი, რევაზ მიშველაძემ არ იცის, რომ პრეზიდენტი "ლაგუნა ვერეზე" ცურავს, თორემ ამასაც რაღაც კუდს გამოაბამდა, რაიმეს "წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდიას" მსგავსს.

13.03.2004

http://www.opentext.org.ge/04/sakartvelos-respublika/058/058-4.htm

III.

აქ უკვე ჩვენც " დათხოვნილ მრჩეველთა" როლში გამოვდივართ, რადგან ვერ შევძელით ჩვენი პრეზიდენტის აღნიშნული აზრების აღქმა შენიშვნების გარეშე. და აქვე ჩვენი –

შენიშვნა პირველი: ჩვენს პრეზიდენტს, ისევ ჩვენის აზრით, "მრჩეველთა საბჭო" ისე ესაჭიროება როგორც ყოველი ჯურის დიდ და პატარა სახელმწიფოს პრეზიდნტს თვით აშშ-ს პრეზიდენტის ჩათვლით. ეს კი არ არის პრობლემა, არამედ პრობლემა არის ის, თუ როგორ გამოიყენებს მრჩეველთა შეხედულებებს თვით პრეზიდენტი. ეს კი თავისთავად გულისხმობს იმასაც, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა თვალყური უნდა მიაპყროს ჟურნალ-გაზეთებსაც, საზოგადოებრივ აზრსაც, ტელეხედვასაც, რადგან, განსაკუთრებით "ინფორმაციის საუკუნეში", ე.ი. 21-ე საუკუნეში, - "დემოკრატიას", ზოგიერთები, "ტელეკრატიასაც" კი უწოდებენ, რადგან ეს უფრო შეესაბამება თანამედროვე სინამდვილეს.

შენიშვნა მეორე: "ხაზინის ქურდების დაპატიმრებას შევუდექი", - ამბობს ჩვენი პრეზიდენტი. ეს ჩვენმა პრეზიდენტმა არ უნდა თქვას, რადგან მისგან ჩვენ მოველით ფაქტის ზუსტ აღწერას, ხოლო საქართველოს მოქალაქის დაპატიმრებას განაგებს არა პრეზიდენტი პირადათ, არამედ მართლმსაჯულების შესაბამისი ორგანოები; და დაპატიმრებული მოქალაქე "ხაზინის ქურდებათ" შეიძლება იწოდოს მხოლოდ სასამართლოს განაჩენის საფუძველზე; მანამდე კი მოქალაქე მხოლოდ "ეჭვმიტანილია"; და განა ეს კარგად არ იცის ჩვენმა პრეზიდენტმა, რომელიც იუსტიციის მინისტრი იყო?..

შენიშვნა მესამე: "თეატრალური დაჭერების ნაცვლად ჩუმ დაპატიმრებებზე" გადავედი, - ამბობს ჩვენი პრეზიდენტი, რამაც ხალხს დასწყევლილი 1937 წელი მოაგონა, და თვით მოარული ხმების დაყრა, რომ ჩვენი პრეზიდენტი "მაფიას შეეკრა" – გასაგებია, რადგან ხალხი ყოველ შემთხვევაში და ყოველ დროს "განტევების ვაცს" ეძებს და პოულობს ხელმძღვანელობაში ან ხელმძღვანელში, რის თვალსაჩინო მაგალითია, თუ გნებავთ, მოღვაწეობა ჩვენი ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა, რომელსაც ჩვენში ისე დაუნდობლად, ისე აუგად ახსენებდენ, რომ ჩვენ გვექმნებოდა შტაბეჭდილება, რომ საქართველოს, ქართველი ერის მთავარი მტერი იყო შევარდნაძე, თუმცა იშვიათად ვინმე ჩვენთაგანი აყენებდა კითხვას: რატომ უნდა ყოფილიყო ჩვენი პრეზიდენტი იმ ქვეყნისა და იმ ხალხის მტერი, რომელსაც იგი თვითონ მართავდა?..

შენიშვნა მეოთხე: "...იქნებ რუსს აფხაზეთი და სამაჩაბლო გამოვტყუო-მეთქი და მოსკოვში ჩავედი. რასაკვირველია, პუტინთან ვერაფერს მივაღწიე, მაგრამ რომ დავბრუნდი, მრეველი გაბლევერილი დამხვდა. ჩვენმა პრეზიდენტმა რუსული ორიენტაცია დაიჭირაო. სასწრაფოდ გავარდი ამერიკაში და ბუშს ისე ჩავეხუტე, რომ სულ "ჩემი პირადი მეგობარი" მიძახა. ჩვენს პოლიტუნივერსალოგებს არც ეს მოეწონათ; როგორ შეიძლება ასე ღიად ამერიკისადმი სიმპათიების გამომჟღავნება, რუსი გაგვინაწყენდება და სამაჩაბლო-აფხაზეთს აღარ დაგვიბრუნებსო. მოკლედ, მძიმე დღეში ვარ ჩავარდნილი", - ამბობს ჩვენი პრეზიდენტი.

ვითომ ეს ფაქტები არ მოგვიწოდებს ჩვენ წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს დამყარებისაკენ საგარეო პოლიტიკაშიც, რომლის "გორდული ნასკვის" განკვეთა შეუძლებელია მხოლოდ რუსეთის ან მხოლოდ ამერიკის სასარგებლოდ?.. თუმცა ჩვენი ინტერესები უფრო აშშ-ს ინტერესებს და არა რუსეთის ინტერესებს შეესაბამება, რადგან რუსეთი, განსხვავებით აშშ-დან, ვერ თავისუფლდება მისი ორასწლოვანი დრომოჭმული იმპერიული პოლიტიკისაგან საქართველოს მიმართ?..

შენიშვნა მეხუთე: "პრეზიდენტად რომ ამირჩიეს, გამხდარი ბიჭი ვიყავი(ცოტა ნერვიულობა შემხვდა.), თუ გახსოვთ, ატეხეს ქილიკი; რა გაჩრიკული პრეზიდენტი გვყავს, ცხვირში ლანდი გადის, იტყვიან უცხოელი პრეზიდენტები; ეტყობა, ისეთი გაღლეტილი ქვეყნიდან არის, პრეზიდენტიც კი მშიერი ჰყოლიათო. მოვუმატე ჭამას. პრეზიდენტი რომ "სალიდნად" გამოიყურებოდეს მხოლოდ იმიტომ, თორემ ზედმეტი წონა ჭირივით მეზარება. მოვსუქდი ცოტა. წყენაგარეული ქილიკით დამიწყეს ცქერა – დაეტყო კაი ცხოვრება, გაუტკბა პრეზიდენტობა, მის წინამორბედს ნაადრევად დაემსგავსა, ხალხის დარდ-ვარამს და შიმშილ-წყურვილს მალე, კახური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ფეხზე დაიკიდებსო"; და ჩვენი პრეზიდენტი აქაც არ ცდილობს უგულებელჰყოს ის ფაქტი, რომ ხალხი ქვეყნის ხელმძღვანელობაში თუ ხელმძღვანელში ყოველთვის არ ეძებს და თითქმისს ყოველთვის არ პოულობს "განტევების ვაცსს", რაზედაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ?.. და ანალოგიურ პასუხს არ მოითხოვს ჩვენი მომდევნო შენიშვნაც?..

შენიშვნა მეექვსე: "ამას წინათ, თან წონაში დავიკლებ და თან დემოკრატობანას ვითამაშებ-მეთქი და გუდაურს ჩავფრინდი. სანდრა კარგად სრიალებს, მე "პლუგით", მაგრამ მაინც ვახერხებ საბაგიროს მეორე სადგურიდან ჩამოსვლას. ჩამოვსრიალდი-ჩამოვტანჯდი, როგორც იქნა, და უნდა გენახათ, უთხილამურო მოქალაქეთა ირონიული მზერა: - აუ, დავლუპულვართ, თხილამურებზე სრიალით უნდა ამა ქვეყნის აშენება."

შენიშვნა მეშვიდე: "ძუკუს საქმე ძუკუმ იცის" და..."არ იცის", - ვუმატებთ ჩვენ, რადგან ჩვენმა პრეზიდენტმა კარგად იცის, რომ სხვა არის ძუკუს "პირადი საქმე" და სხვა არის ძუკუს "საზოგადოებრივი საქმე": "პირად საქმეებში" ძუკუს შეუძლია იმოქმედოს ისე, როგორც მას სურს. მაგრამ "საზოგაოებრივი საქმე" საზოგადოებრივი ცხოვრების სარკეა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი უჯრედი არის თვით ძუკუც. აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში და ამით სახელნწიფოში საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება იმდენად მრავალფეროვანი და იმდენად მრავალფენოვანია, რომ მისი განჭვრეტა გენიოსებსაც კი უჭირთ. ამის ნიმუშია, თუ გნებავთ, ის ისტორიული ფაქტი, რომ ნაპოლეონი (1769-1721), მაგალითად, მიუხედავათ ლევ ტოლსტოის "ქილიკისა"("ომი და ზავი"), - თანამედროვე ევროპის შემქმნელია, რომელიც Charles-Maurice de Talleyrand-Périgord(1754-1838)-ის რჩევის გარეშე, საგარეო პოლიტიკაში, ნაბიჯს არ გადადგამდა; თუმცა ერთხელ ნაპოლეონი ტელეირანმა ისე გააჯავრა, რომ იმპერატორმა მას, როგორც გადმოგვეცემენ, "merde"-იც კი უწოდა, რაზედაც ტელეირანმა "დიპლომატიურად" უპასუხა: "სამწუხაროა, რომ ასეთი დიდი პიროვნება, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ასეთ გამოთქმას ხმარობსო".

და ეს არ არის ჩვენი მეშვიდე რჩევა ჩვენი პრეზიდენტისადმი? - თუ გენიოსებსაც ესაჭიროებათ მრჩეველები, უთუოთ, ესაჭიროება საქართველოს პრეზიდენტსაც, თუმცა, ჩვენი პრეზიდენტი ისე ახალგაზრდა არ არის, როგორიც იყო ნაპოლეონი თუ ალექსანდრე დიდი. მაგრამ ეს, ჩვენის აზრით, ანტიკური ევროპისა და თანამედროვე ევროპის შემქმნელები, რომლის საფუძვლების ჩამყრელად, ნაპოლეონის გვერდით, ალექსანდრე მაკედონელი(356-323 ჩვენს ერამდე) გვესახება, - არ უკავშირდება ჩვენს კოლხეთსა და იბერიას, ე.ი. საქართველოს?.. და აღნიშნული ფაქტები არ მიგვითითებს, რომ ჩვენს პრეზიდენტსაც ესაჭიროება მრჩეველები, რადგან ადამიანის ცოდნა – გენიოსებისაც კი – განსაზღვრულია?..

IV.

და აქ ჩვენი მერვე შენიშვნა, რის საბაბი თვით ტელეირანის ხსენებამ გამოიწვია: უცხოეთში მცხოვრებმა ქართველომამ ტელეირანის შთაგონებად აღვიქვით, ჩვენი პრეზიდენტის გადაწყვეტილება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნოს ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გამოჩენილი პიროვნებების ლევან და ზეინაბ ზურაბიშვილის შვილი, რაც მისასალმებელია.

V.

ვინ იცის? – შეიძლება, ტელეირანის დიპლომატიური სულისკვეთებით აღზრდილმა ჩვენმა სალომემ უფრო დიპლომატიურად შესძლოს საქართველოს დღევანდელი რთული საერთაშორისო მდგომარეობის გაწონასწორება, განსაკუთრებით, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის?..

V.

ამგვარი სულისკვეთებით არის გაჟღენთილი ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის უკვე პირველი და მეორე თაობა, რომლებისათვისაც ჩვენი სალომე იყო "მშვენიერი, ლამაზი გოგონა" და დღეს არის ჩვენი "მშვენიერი, ლამაზი ქალბატონი მინისტრი სალომე".

VI.

ამას რას მოვესწარით? – ვამბობთ ისევ, და დავსძენთ "იუმორის კუთხის" შესაბამისად, თუმცა Ma divine-მა ამის თქმა არ მირჩია, – ფრთხილად, ბრწყინვალე თამარ მეფის ნათლულო, ჩვენო უპირველესო, მშვენიერო, ლამაზო ქალბატონო ს ა ნ დ რ ა!.. კუპიდოს, მშვილდისრიან ფრთოსან სიყვარულის ღმერთს, - არ სძინავს, მით უმეტეს, რომ ახლა გაზაფხულია!..

ახალგაზრდა ბატონი რევაზ მიშველაძე(36 წლის?)
გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა",
თბილისი, 2004 წლის 12 მარტი.

ბერიკაცდა ბატონი კარლო ინასარიძე(85 წლის).
ჟურნალი "მებრძოლი საქართველო"
პარიზი, 2004 წლის 26 მაისი..

---

"იყავით ბედნიერნი!
ურიცხვმა მოკაშკაშე ვარსკვლავმა გაგინათოს
თქვენი მშვენიერი გზატკეცილი!"

"Be happy!
Let all the number of the stars give light
To thy fair way!"

William Shakespeare(1564-1616)
Antony and Cleopatra, Act 3, Sc.2

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# “როცა ოთარი წავიდა...”

## იულია ბერტუჩელის კინოფილმის გამო

## “Depuis qu’Otar est parti” – de Julie Bertuccelli

I.

“როცა ოთარი წავიდა...”, ალბათ, ასეთია ამ შესანიშნავი კინოფილმის ტიტრი ქართულათ, რადგან ჩვენ ფრანგულ-რუსულ-ქართული ორიგინალი ვნახეთ « ვალ დ’ორეში », პარიზის ახლოს, და ისიც მარსელ კარნეს, ამ ფრანგული კინოფილმის « ტრიუმფალური ჭიშკრის » შემქმნელის (« Les Enfants du Paradis » = « ოლიმპის ბავშვები ») არეალში. - და ეს ტიტრი აქვე იმდენად მსურს შევასწორო, რომ ვთქვათ : « რაც წავიდა ოთარი... »...იოსელიანი « ქართული ფილმიდან », ასეთი შესანიშნავი კინოფილმი ჩვენ არ შეგვიქნია !.. თუ ?..

II.

მართალია, ამ ფილმში ისე ოსტატურადაა არეული ერთმანეთში ქართული, რუსული და ფრანგული, რომ ენათა ასეთი ბაბილონური აღრევა უკანა პლანზე იწევს და ადგილს უთმობს კინოფილმის არსებას – “მოძრავ სურათებს”, რომელიც შეხმატკბილებულად განმსაზღვრავს ამ კინოფილმს შინაარსობრივად, ფორმალურად, ეთოლოგიურედ, რომლის დროს, გასაგებია, შინაარსს გააჩნია თავისი შინაარსობრივი ფორმა, ფორმას თავისი ფორმალური შინაარსი, რომლებიც თავს იყრიან ეთოსში სტილისტურადაც.

III.

“მე მოგითხრობთ ერთ ნამდვილ ამბავს, რომელიც მომიყვა ერთმა ქართველმა ქალმა” – ამბობს იულია ბერტუჩელი: ოთარი წავიდა საფრანგეთში და მუშაობს იქ მშენებლობაზე; სახლში კი დარჩა მოხუცი დედა ეკა, ფრანგული ენის მცოდნე(ესტერ გორინტინ), მისი და მარინა, ქვრივი(ნინო ხომასურიძე) და დიშვილი ადა, ფრანგული ენის თარჯიმანი(დინარა დრუკაროვა), რომლებიც ერთად ცხოვრობენ პატარა ბინაში. ოთართან მათი დამაკავშირებელია ტელეფონი. ერთ დღეს ტელეფონით აცნობებს საფრანგეთიდან ოთარის ამხანაგი, რომ ოთარი ჩამოვარდა მშენებლობიდან და გარდაიცვალა. ამ ტრაგიკულ ამბავს მარინა და ადა უმალავენ ოთარის დედას. ამ სამი სხვადასხვა თაობის ქალებს შორისაა(ბებია-დედა-ქალიშვილი) გაშლილი დრამატული ნასკვი, რომლის ფონზე იშლება არა მარტო ამ სამი პირის, არამედ საქართველოს დღევანდელი ურთიერთ გადახლართული მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი პანორამა, რაც ამ სამი ქალის ცხოვრების განზოგადოების საშუალებას იძლევა “ცივი ომის” შემდგომ პერიოდში საერთოდ. ბებია გაყიდის მის ძვირფას წიგნებს, რომ დააფინანსოს ეკას, მარინას და ადას წასვლა საფრანგეთში ოთარის სანახავათ. თვითმფრინავით ჩავლენ პარიზში, მივლენ ოთარის ყოფილ ბინაში, სადაც ოთარი, გასაგებია, არ არის. მაგრამ დედა ფიქრობს, რომ მისმა შვილმა, მისი სურვილი წასულიყო ამერიკაში, განახორციელა; და როცა მათ, ისევ თვითმფრინავით სურთ დაბრუნდენ საქართველოში, ადა რჩება საფრანგეთში. აი, ამ კინოფილმის შინაარსი სტენოგრაფიულად.

V.

და აქ მივედით ამ ფილმის შინაარს-ფორმა-ეთოსთან, რითაც – მადლობა ღმერთს! – კინოფილმი ისევ უბრუნდება მის არსს – “მოძრავ სურათებს”, რომლის დროს “დუმილსაც” დრამატული ფუნქცია გააჩნია, და “ხმაურსაც”, თუმცა ეს უკანასკნელი ზოგჯერ უფრო ნერვებზე, ვიდრე გრძნობაზე მოქმედებს, რაც აქ არ ვფიქრობთ გამოსახვის უცილობლო შემადგანელი ნაწილი იყოს. მაგრამ, ნუ ვჩქარობთ!.. ჯერ შევჩერდეთ აღნიშნული მოქმედების მთავარ ასპექტებზე:

IV.

პოლიტიკურად ეს კინოფილმი სურათოვნად, უკომენტაროდ, სხვათაშორის, გვაჩვენებს ჩვენს დღევანდელ პრეზიდენტს, და თვით სტალინზეც ლაპარაკობს, რომ მის დროს ელდენიც, გათბობაც თუ წყალიც გააჩნდა მოსახლეობას და, ამავე დროს, წესრიგიც სუფევდა!..თავისუფლება?..

ეკონომიკურად თუ რა მდგომარეობაა ამჟამად ჩვენში –ამის სურათოვანება გვაგონებს იტალიური "ნეოვერისიმოსის" ქართულ ვარიანტს, რომლის დროს სიღატაკესაც თავისი რომანტიკა გააჩნია, რასაც ჩვენ ცეკვა-თამაშითაც აღვიქვამთ, რომ ეკონომიკური სიდუხჭირე ასატანი გახდეს!..მაგრამ შრომა, ფ ი ზ ი კ უ რ ი შრომა, საფუძველი ყველა ეკონომიკური სიდუხჭირის გარდალახვისა, - ხომ არ მივივიწყეთ?..

კულტურულად, როგორც ყოველთვის, ამ ფილმში ამჯერათაც დასავლეთ ევროპისაკენ, კერძოთ, საფრანგეთისაკენ გვაქვს მიმართული გეზი, რაც ამ ქართულ-ბელგიური წარმოების კინოფილმის სიუჟეტს ქართულ განზომილებას მმატებს და ამით ამდიდრებს, რადგან, როგორც ჩვენი მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე ამბობს, "რამდანად ინდივიდუალურია კულტურა, იმდენად უნივერსალურია იგი". ვითომ ამგვარი შერწყმა კულტურის ინდივიდუალურობასა და უნივერსალურობას შორის ხორცშესხმულია ამ ფილმში?..

სოციალურად ამ კინიფილმში მაყურებელი, მომქმედ პირთა შორის, იმდენ სითბოს ხედავს და გრძნობს, რომ "ეგრედწოდებული ბოროტი", ბოროტება თითქოს სრულიად არც კი არსებობს, რომლის დროს ძნელია ცრემლისაგან შეიკავო თავი. აქ ეკა, მარინა და ადა ურთიერთობაში ისეთ ადამიანურ შინაგან სიფაქიზეს ამჟღავნებენ, რომ ადამიანი მართლაც გვესახება როგორც არა მარტო როგორც "საზოგადოებრივი არსება", არამედ ქმნილებათა გვიგვინი. მაშინ "კეთილი" და "ბოროტი" ერთი მედალის განუყოფელი "მარცხენა-მარჯვენა" მხარე არ არის..

V.

ამდენად, "როცა ოთარი წავიდა..." ქმნის ატმოსფეროს საქართველოს დღევანდელი სინამდვილისა არა იმდენად მოვლენათა "ობიექტივიზაციის", რამდენადაც ქმედებათა "სუბიექტივიზაციის" გზით, რის შედეგათ – "ჰოლივუდის შამხის"("Hollywood-Schinken") "სა-ერთა-შორისო დრამატურგიის" შესაბამისად შექმნილი ტელე- და კინოფილმები - უპირისპირდება კინოხელოვნებას, რომლის შედევრად თუარა, მნიშვნელოვან ნაწარმათ შეიძლება ჩაითვალოს ეს ფილმი, სხვა, უთუოთ, იშვიათ კინოფილმებს შორის.

VI.

და აქ "როცა ოთარი წავიდა-ს" გვერდით გვსურს ავღნიშნოთ მეორე(ანალოგიური დრამატურგიის?..) კინოფილმი "მშვიდობით ლენინ!"="Good bye Lenin!", რომლის მოკლე შინაარსი ასეთ სურათს იძლევა: გულის ინფაქტის გამო რვათვიანი კომას შემდეგ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე-ქალი, გამოიღვიძებს და არ იცის თუ რა მოხდა მისი გონებამიხდილობის დროს, როცა "ცივი ომი" დამთავრდა და "რკინის კედელი" გაიხსნა. ამ აქტიური კომუნისტისათვის – ეს არის ემიციონალური შოკი, რის გარდალახვას მისი ორი შვილი იმით ცდილობენ, რომ ოთახში უდგამენ ტელევიზორს, რომელშიც აჩვენებენ სახელდახელოდ შექმნილ გადაცემებს ისე, რომ თითქოს კომუნისტური რეჟიმი ისევ არსებობდეს. "როცა ოთარი წავიდა-ში" ამ ორი შვილის ფუნქციას ასრულებს მარინა და ადა, რომლებიც ცდილობენ დედას შეუქმნან შტაბეჭდილება, რომ ოთარი კიდევ ცოცხალია... და აშშ-ში წავიდა; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "მშვიდობით ლენინ", თავისი შინაარს-ფორმა-ეთოსით, იმდენად დამაჯერებელი არ არის როგორც "როცა ოთარი წავიდა".

როგორც სჩანს, იულია ბერტუჩელი "მოძრავი სურათების" ხელოვნებას უბრუნდება მომქმედ პირთა შინაგანი სამყაროს სათუთი ასახვის გზით, რაც მას

საშუალებას აძლევს საქართველოს დღევანდელი სინამდვილე აითვისოს ისე, რომ მომქმედ პირთა მოქმედება-არმოქმედებაში "ცივი ომის" შემდგომი პერიოდის ზოგიერთი მხარე დამაჯერებლად აისახოს; და ყველაფერი ეს ხდება არა სინამდვილის "ობიექტივიზაციის", ე.ი. ოთარ-იოსელიანური გაგებით, რომლის დროს მოვლენა ქმედების, მოქმედების "ობიექტია", არამედ იულია-ბერტუჩელური გაგებით, რაც მოვლენის ფილმური ასახვის ნაცად, "შიგნიდან-გარეთ" ასახვის გზას მიყვება, თუმცა იგი ოთარ იოსელიანის "შეგირდი" ყოფილა.

VII.

ამიტომაცაა, რომ ვესალმებით იულია ბერტუჩელის მოსვლას ქართულ კინოხელოვნებაში; თუმცა ამავე დროს – გერმანელი მწერლის გუნტერ გრასის მსგავსად – სინანულს გამოვთქვამთ, რომ ოთარ იოსელიანის ფილმური შემოქმედებითი სამყარო საფრანგეთი გახდა, რის შედეგად ამ საერთაშორისო მნიშვნელობის კინოხელოვანი აკლია საქართველოს "ქართულ-ფილმს"; როგორც სჩანს, კინოფილმის შინაარს-ფორმა-ეთოსი ერთი მთლიანობაა, და ამიტომ გვასწავლის ჩვენ გრიგოლ რობაქიძე:"რამდენათ ინდივიდუალურია კულტურა, იმდენად უნივერსალურია იგი".

VIII.

ვითომ "როცა ოთარი წავიდა..." გახდება ოთარ იოსელიანის შემოქმედების ისევ დანერგვის საბაბი "ქართულ ფილმში"?..

კარლო ინასარიძე

ვალ დ'ორჟ – საფრანგეთი, 22.9.2003

## მშობელი მიწის მიმართ

მიდამო მკვდარი, გარუჯული ლანდების კუთხე.
ძველი საჯვარე, სურნელება დამჭნარი დაფნის.
–სამარის სევდა, მოდუნება მლაშე და წუთხე.
ობოლ ხატის წინ აცრემლილი სანთელი თაფლის.

დათუთქულ ლოცვას ძლივს იკავებს ობობას ქსელი.
ღამურას შრიალს მოაქვს ჩუმად დუმილი მწირის.
ვხედავ კრეტსაბმელს: ლოკოკინა მიღოღავს სველი
და მეც ვით იგი გამომძვრალი ქურქიდან მცირე
მ ო ვ თ ქ ვ ა მ  დ ა  ვ ტ ი რ ი:
საჯვარის დუმილს ერთხელაც არის გასერავს დანა–
მიმასვენებენ მის კედლებში გასუდრულ ცხედარს.
დავენანები ყველას, უფრო ლაშარსა მხედარს
და დამადნება ტკბილი ხმებით მე „სუთა-თანა".

გადმოვარდება სარკმელიდან მზის სხივი მკვდარი–
გაციებულ შუბლს დაეცემა მწარედ და ცივად.
სადღაც შორს ქალი გაფითრდება, ისედაც მხდარი–
ობოლი ცრემლი გაურჩება წამწამზე მძივად.

შ ე ნ  ი ც ი  მ ხ ო ლ ო დ
მ შ ო ბ ე ლ ო  მ ი წ ა ვ: თ უ  რ ი ს თ ვ ი ს  ვ ე ნ თ ე.
უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი
მ ი ი ღ ე  ჩ ე მ გ ა ნ  ს ი ც ო ც ხ ლ ი ს  ღ ვ ე ნ თ ი:
ჩ უ მ ი  დ ა  უ თ ქ ვ ი–
დ ა  შ ე ს ვ ი  ს უ ნ თ ქ ვ ი თ.

გრიგოლ რობაქიძე

# მიმართვა ქართველ ხალხს

ქართველნო! გეხსომებათ ბაბილონური აღრევა ენათა ირგვლივ 1950 წელს მოსკოვში. დისკუსანტებს მოჰყავდათ ფორმულა ენისათვის, ენგელსის მიერ მონახული: „საშუალება ურთიერთშორის გაგებისა." თითქო პირუტყვთ არ შეეძლოთ გაგება ერთიმეორისა! ამ ფორმულას ურთავდენ მინამატს სტალინისა: „და ბრძოლისა." თითქო იმავე პირუტყვთ არ შეეძლოთ უსიტყვოდ წარმოება ბრძოლისა! ენა აქვს მხოლოდ იმ არსს, რომელიც აზროვნობს. პირუტყვთ არ აქვთ აზრი, არც სჭირდებათ: ცოდნა ყოფისა და ცოდნა თვითონ მათთვის ერთი და იგივეა. ელერსება, მაგალითად, ფაშატი დედა თავის კვიცს, მან იცის ალერსი აქტში ალერსისა. ჩვენ კი მეტყველთ, შესაძლოა გვქონდეს აზრი ალერსზე, თვითონ ალერსი კი არა. აქაა ზღვარი მეტყველთა და პირუტყვთა შორის. ასეთი გაგება ენისა ბოლშევიკების მიერ მოწმობს იმას, რომ უკანასკნელთ არ ესმით, თუ რა არის ხალხი, ანუ უკეთ: არა სწამთ იგი. ენა აზროვნობს: აზროვნობს ბევრად უფრო ღრმად ვიდრე ცალკეული პიროვნება, თუგინდ გენიალური. ათას მაგალითებიდან აქ მხოლოდ ერთი, იტყვის რომელიმე მემატიანე: „დავით აღმაშენებელმა განამტკიცა ხელმწიფება საქართველოსი"— ამავე დროს მიმართავს რომელიმე დიასახლისი თავის გოგონას: „შვილო, ფქვილი გამტკიცე", აქ პირველ შემთხვევაში „მტკიცება" იგულვებს „გამაგრებას", მეორე შემთხვევაში „გაწმენდას". გამოდის: რაც მტკიცე არის, ის წმინდაა, და რაც წმინდა—მტკიცე. ვინ გაიაზრა ეს? ყველა ჩვენგანს ენა უკვე ქმნილი ხვდება წინ. მოაზრე აქ ხალხია თვითონ: კრებული პიროვნება, თავისებური არსი; არც ერთს ხტილში თავის ისტორიული ვითარებისა ხალხი არაა მოცემული „მთლად", ხოლო ყოველში იგივე ერთეულია". სხვა იყო საქართველო მეათხუთმეტე საუკუნეში, სხვაა იგი მეოცეში. გარნა იგი იქაც—და აქაც საქართველოა, როგორც ერთი და იგივე არსი კრებული ბუნებისა. ბოლშევიკებისთვის კი ხალხი მხოლოდ ამა თუ იმ დროს სტატისტიკურად აღრიცხული „გროვაა" ცალკეულთა. ამავე დროს, ცალკეულს ამ გროვაში მხოლოდ „ნუმერული" ფასი აქვს. ბერია ერთხანად ძლევამოსილი, ქრება უეცრად. მეტი: სახსენებელიც ითხრება მისი. დღეს თუ ეს ემართებათ ბერიებს, რას უნდა ელოდნენ უბრალო მოქალაქენი? — ჩაუკვირდით თანამემამულენო ამ მოვლენას საარაკოს. ყოველი ხალხი რომელიმე განსაკუთრებული სახით აცნაურებს მსოფლიოს; სხვაა ჰომიროსის სამყარო, სხვაა რუსთაველისა, სხვაა გილგამეშისა, სხვაა ათარვაბედასი, ჰინდუსთა. ამიტომ ყოველი ნამდვილი კულტურა ინდივიდუალურია. რამდენად ინდივიდუალურია კულტურა, იმდენადვე უნივერსალურია იგი. შეეყრებიან, მაგალითად: ზემოხსენებული სამყარონი ერთიმეორეს, იხილავენ ერთიმეორეში მთელს სამყაროს. იხილავენ, ვინაიდგან თითოეული ~~მათგანი~~ მათგანი, თუმცა ერთი სახით, აცნაურებს მსოფლიოს, იმავე დროს ასარკულად ამცნევს უკანასკნელს, როგორც მთელს. საბჭოეთში კულტურას სტალინის ფორმულით მართავენ: „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური." არ ესმით ჰკუათმყოფელთ, რომ ყოველი შინაარსი თავისგანვე ქმნის თავის გარსს, გარე არსს, სახეობას, ფორმას. კულტურა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური, არც ინდივიდუალურია და არც უნივერსალური: მას არ აქვს შინაგანი პლასტიური სხეობა და ამრიგად სახე, სახიერება. იგი კულტურაჟ ანონიმისა. შეადარეთ, მაგალითად, რომელიმე ნაქმი რუსული ჩვენი დროისა რომელიმე ქართულ ნაქმს: გეგონება თითქოს თარგმნილნი იყვნენ ერთიმეორეთგან; დედანი, ორიგინალი? ვერ მონახავთ: მის ალაგას მიმალულა ანონიმი. ესაა კულტურა?! თანამემამულენო, ბოლშევიზმი ხრწნის შინაგან ხალხს და ამყარებს ფსევდოკულტურას. ქართველთა კულტურა, ასე ინდივიდუალური და ეგზომ უნივერსალური, ქართველი ერის წიაღიდან უნდა აგრძელებდეს თავის ვითარებას. წვდით ცოცხალ ფესვებს საქართველოისა: მის გენიალურ ენას, მის უნივერსალურ მითოსს, მის ჰეროულ თავგადასავალს, მის ხალას სტილს სიცოცხლისა, წვდით ამ ფესვებს და ფესვები არწივის ფრთებათ აგესხმით, და ამ გზით მოიპოვებთ თავისუფლებას. თავის—უფალი, გესმით რა გულისხმიერი სიტყვაა! მარჯი საქართველოს თავისი თავის უფალს!

გრიგოლ. რობაქიძე

# ქართველთა ცხოვრება უცხოეთში

## საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი პარიზსა და ლევილში

I.

ჩვენი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 2004 წლის 8-ა და 9-ა მარტს ეწვია პარიზსა და ლევილს, რის შესახებ ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" რედაქციამ მიიღი მრავალი ცნობა და ფოტოსურათები პარიზიდან და ლევილის ქართულ მამულიდან. ჩვენი თანამემამულეები ქრისტინე ფალავა-ბულეჲი, მირიან მელუა და ოთარ პატარიძე, მაგალითად, Internet-ით გვატყობინებენ:

"გიგზავნით რამდენიმე ცნობასა და ფოტოსურათს. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს პრეზიდენტმა – მიხეილ სააკაშვილმა – დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთში და ქართულ დიასპორაში პარიზსა და ლევილში", - ამბობს ოთარ პატარიძე(8-9.3.2004 წელი).

მირიან მელუა კი, ასევე Internet-ით, გვაცნობებს ჩვენი პრეზიდენტის ორდღიანი ვიზიტის დღის-წესრიგს პარიზსა და ლევილში, სადაც ნათქვამია:



ლევილის ქართული ძმათა სასაფლაო. ჩვენი პრეზიდენტი და პარიზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის მოძღვარი, დეკანოზი არჩილი(დავრიშაშვილი).

Sujet : **Paris: agenda président Saakachvili**
Date : 10.03.2004 11:30:55 Westeuropäische Normalzeit
De : pataridze@wanadoo.fr
A : lnasaridse@aol.com
0031.zip (848652 octets) Téléchargement (44000 bits/s) : < 5 minutes

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Président Saakachvili à Paris, mars 2004.**

*Quai d'Orsay 5 mars 2004, communiqué officiel :*

*« La France a salué les conditions dans lesquelles s'est déroulée la transition politique géorgienne. Elle entend, à l'occasion de cette visite, confirmer son soutien à l'action du président Saakachvili qui a marqué sa volonté de renforcer les institutions et l'état de droit dans son pays et de redresser la situation économique ».*

**Lundi 8.03.**

10 heures 15, Institut d'Etudes Politiques Paris, amphithéâtre Jacques Chapsal : conférence animée par Dominique Colas (professeur) et Thorniké Gordadzé (maître de conférences).

15 heures, Leuville-sur-Orge, « carré géorgien » cimetière communal avec autorités locales, Daniel Esprin, Maire.

15 heures 30, Leuville-sur-orge, résidence d'exil gouvernement 1ère République Géorgie avec présidente Foyer des Géorgiens, Nathela Jordania, et gérante Société Civile Immobilière, Christine Pagava-Boulez.

20 heures, Hôtel Meurice, avec Association Géorgienne en France, président Guia Sarveladzé.

**Mardi 9.03.**

13 heures, déjeuner au Sénat, Christian Poncelet, président

17 heures 30, Hôtel Meurice : Francis Mer, ministre de l'économie, des finances et de l'industrie.

18 heures 30, Elysée : Jacques Chirac, président, et Noëlle Lenoir, ministre déléguée aux affaires européennes.

19 heures 45 : Dominique de Villepin, ministre des affaires étrangères,

20 heures 30, Quai d'Orsay : dîner, Noëlle Lenoir.

Sont prévus également entretiens avec
Nicolas Sarkozy, ministre de l'intérieur,
Abou Diouf, secrétaire général de l'Organisation Internationale de la Francophonie,
Koïcho Matsuura, Directeur Général de l'UNESCO.

II.

ჩვენი პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილი, - გაყვა რა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ნაკვალევს, - პირველად ეწვია ლევილის ქართულ პანთეონს, სადაც განისვენებენ საქართველოს "პატარა ოქროს ხანის" შემქმნელი "ოქროს თაობის" გამოჩენილი მოღვაწეეები, მათ შორის, თვით საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე – ნოე ჟორდანია.
აქ, ჩვენმა პრეზიდენტმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა, როლის ტექსტი, სამწუხაროთ, არ გაგვაჩნია, და ქედი მოიხარა ლევილის ქართულ პანთეონში განსვენებულთა წინაშე, რომელთა საერთო ეროვნული მრწამსი სხარტად აღნუსხულია კოკი დადიანის აკლდამაზე:

"მითხარ შენდობა... და ჩემს მხარესა,
ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა,
სთქვი რომ წარწერა იხილე ლოდზე,
ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე".

III.

საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ლევილსა და პარიზში მამულიშვილური გრძნობებით შეხვდენ არა მარტო ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის პირველი, მეორე და მესამე თაობის წარმომადგენლები, არამედ ქართველთა არც ისე მცირე ნაწილი, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზების გამო, ცხოვრობენ უცხოეთში.

IV.

ლევილის ქართული მამულის ეზოსა და შატოს(სასახლე) დათვალიერებისას, ჩვენი პრეზიდენტი შეჩერდა შატოს მთავარ დარბაზში, სადაც გამოფენილია საქართველოს "დამოუკიდებლობის აქტის" ორიგინალი და დამოუკიდებლობის ეპოქის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეების ფოტოსურათები - საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას – მეთაურობით.

V.

აქ, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, რომელთა წინაშე საქართველოს პრეზიდენტს – მიხეილ სააკაშვილს – სიტყვით მიმართა, ლევილის ქართული მამულის ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ს სახელით, ლევილის ქართული მამულის "მ ე ს ა კ უ თ რ ე თ ა ს ო ს ი ე ტ ე ს" თავმჯდომარემ, ქალბატონმა ქრისტინე ფაღავა-ბულეზმა, რომელმაც თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო,

მაქვს პატივი მოგესალმოთ ლევილის ქართულ მამულის გამგეობის სახელით და დაგარწმუნოთ, რომ დღეს ლევილის შატოს დიდ დარბაზში დამსწრე საზოგადოებას იმედი აქვს რომ თქვენ შესძლებთ გამოიყვანოთ საქართველო დღევანდელი ძნელბედობის ხანიდან და აასრულოთ აქ ლევილის ძმათა სასაფლაოძე განსვენებული ჩვენი დიდი წინაპტრების სურვილი :

« სუვერენობა ერისა და ბატონობა დემოკრატიისა » .

ჩვენ შვილები და შვილიშვილები საქართველოდან ლტოლვილი და სუვერენულ საქართველოში დაბრუნებაზემეოცნებე ადამიანებისა , მოგმართავთ წინადადებით, რომ ავასრულოთ საქართველოსათვის თავგადადებული ჩვენი წინაპრების ანდერძის აზრი საფრანგეთის ლევილის ქართულ მამულში, დავაფუძნოთ

*« ქართულ-ფრანგული კულტურის ცენტრი »*

ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ისტორიის უფრო საფუძვლიან შესწავლას და კულტურული ურთიერთობის გაღმავებას საქართველოსა და საფრანგეთს შორის.

და ბოლოს, ბატონო პრეზიდენტო, უფლება არა მაქვს, რომ არ გაგიზიაროთ ჩვენი გულისტკივილი აქ დამსწრე თითოეული ჩვენგანის ალბად ჩვენი დიდი წინაპრებისას გულისტკივილი, რომ საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროშა, რომელიც იყო ერთი მთლიანი სუვერენული და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენის სიმბოლო აღარ არის საქართველოს ეროვნული დროშა.

ეს სამფეროვანი დროშა არის სიმბოლო 26 მაისის, არის სიმბოლო ბრძოლის გაგრძელებისა ოკუპაციის შემდეგ,

ნოე ჟორდანია წერს მის მოგონებებში :

*« გამოსავალი არ იყო, ან შერიგება მდგომარეობასთან და ცნობა მოსკოვის ოკუპაციის, ან საზღვარგარეთ გასვლა ნაციონალური დროშით და იქ ბრძოლის გაგრძელება »*

ამიტომაც, ბატონო პრეზიდენტო, როგორც ყველა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლე, ასევე ყველა ჩვენგანის -ლევილ ქართულ მამულის ჩრდილში გაზრდილებმა და ლევილის სასაფლაოზე განსვენებული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი ქართველის გულშია ეს დროშა ამოჭრილი !

ჩვენ დემოკრატიულად ვღებულობთ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას, მაგრამ გთხოვთ, რომ გააცნოთ საქართველოს პარლამენტს ჩვენი გულისტკივილი და სურვილი, რომ ეს ეროვნული სიმბოლო დატანილი იქნას ახალ საქართველოს სახელმწიფო გერბზე, რომელიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ასევე უნდა შეიცვალოს.

კეთილი და ბედნიერი იყოს თქვენი ჩამოსვლა საფრანგეთში და პატარა საქართველოში, ლევილი .

ლევილის ქართული მამულის გამგეობის ტავმჯდომარე :

ქრისტინე ფაგავა-ბულეზი




ლევილის ქართული მამული. ჩვენი პრეზიდენტი; მარცხნივ ქალბატონი ქრისტინე ფაღავა-ბულეზი.

VI.

ქალბატონ ქრისტინე ფაღავა-ბულეზის სიტყვის საპასუხოთ, საქართველოს პრეზიდენტმა, - შეეხო რა საქართველოს სახელმწიფო დროშის შეცვლას, - "დიპლომატიურად"განაცხადა, რომ მას, მის მაგიდასთან საქართველოს ახალ სახელმწიფო დროშასთან ერთად ყოველთვის ექნება "ძველი" დროშაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია თუ რა ითქვა, საერთოდ, ქალბატონ ქრისტინეს მიერ წამოჭრილი საკითხების, კერძოდ ე.წ-ლი "ქართულ-ფრანგული კულტურის ცენტრის" დაფუძნების შესახებ. ვითომ ჩვენმა პრეზიდენტმა "პირდაპირ" პასუხს გვერდი აუარა?..

VII.

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ყოველთვის ვამბობდით და ვწერდით, და "შვილთა ანდერძს" კომენტარებით ვაქვეყნებდით(იხ. "მებრძოლი საქართველო", 1.1.2003 წელი), და დღესაც ვამბობთ და ვწერთ, რომ ლევილის ქართული მამული, რაც შეიძლება მალე, დღესვე, გადაეცეს საქართველოს. ეს არის ლევილის ქართული მამულის შვიდი მესაკუთრის – ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ექვთიმე

თაყაიშვილის, ევგენი გეგეჭკორის, სამსონ ფირცხალავასა და კონსტატინე კანდელაკის მემკვიდრეთა ვალდებულება და მოვალეობა. ლევილის ქართული მამულის მესაკუთრეთა მემკვიდრეების ამგვარ ვალდებულებას განსაძლიერაეს, კიდევ ერთხელ ვამბობთ ხაზგასმით,



პარიზი. ჩვენი პრეზიდენტი და ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე საფრანგეთში ბატონი გია სარჯველაძე

აღნიშნული შვიდი პიროვნებისაგან ხელმოწერილი "ანდერძი", რომელიც დათარიღებულია 1928 წლის 30 აპრილით.

VIII.

ამდენად, ვფიქრობთ, გვჯერა, ღრმად გვწამს, რომ ლევილის ქართული მამულის "მესაკუთრეთა ასოციაცია", რომლის წევრები არიან ლევილის ქართული მამულის აღნიშნულ შვიდ მესაკუთრეთა მემკვიდრეები, – დაუყონებლივ გადადგამენ ნაბიჯებს ლევილის ქართული მამულის საქართველოსათვის გადაცემის მიზნით. ეს საკითხი, რომ სათანადო ი უ რ ი დ ი უ ლ შესწავლას მოითხოვს, ეს თავისთავად ნათელია.

IX.

მაშ, ლევილის ქართული მამულის "მესაკუთრეთა ასოციაციის" წევრ-მესაკუთრეებს მოვუწოდოთ მოქმედებისაკენ, რომ ლევილის ქართული მამული, რაც შეიძლება მალე გადაეცეს საქართველოს.

X.

რაც შეეხება ქალბატონ ქრისტინე ფალავა-ბულეზის წინადადებას, რომ ლევილის ქართული მამული გახდეს "ქართულ-ფრანგული კულტურის ცენტრი" – ეს, უდავოა, მისასალმებელია. მაგრამ ეს საკითი იქნება აქტუალური, როცა საქართველო გახდება ლევილის ქართული მამულის იურიდიული და ფაქტიური მესაკუთრე, მფლობელი – საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

XI.

და თუ ამას შეძლებს, განახორციელებს, რაც შეიძლება, ჩქარა "მესაკუთრეთა ასიციაცია" - ეს იქნებოდა ჩვენი მთელი ემიგრაციის, განსაკუთრებით ლევილის ქართული მამულის მესაკუთრეების მემკვიდრეთა დიდი, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული საჩუქარი ჩვენი პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის და ამით მთელი ქართველი ხალხის, მთელი საქართველოსადმი.

კარლო ინასარიძე
ლევილი, 2004 წლის 21 მარტი

## ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი – საფრანგეთის ელჩი საქართველოში

ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, ჩვენი პოლიტიკური ემიგრანტების ლევან და ზეინაბ ზურაბიშვილის ქალიშვილი, რომელიც დაიბადა და აღიზარდა პარიზში, - საფრანგეთის მთავრობამ, 2003 წლის 13 სექტემბრის ბრძანებით, დანიშნა საფრანგეთის ელჩად საქართველოში.
აი, რას გვწერს ამის შესახებ ჩვენი თანამშრომელი ბატონი მირიან მელუა:

---

# Madame Salomé Zourabichvili nommée Ambassadrice de France à Tbilissi.

*Le Journal Officiel publiait le 13 Septembre 2003 la nomination d'une nouvelle ambassadrice de France en Géorgie, en remplacement de son Excellence Mireille Musso appelée à d'autres fonctions.*

Salomé Zourabichvili née en mars 1952, est issue d'une famille géorgienne émigrée en France après 1921. Son père Levan fut Président de l'Association Géorgienne en France, son cousin Tariel occupe actuellement cette charge. Elle est diplômée de l'Institut d'Etudes Politiques de Paris et de l'Institut d'Etudes Politiques de Colombia, et s'orienta rapidement vers une carrière diplomatique :

- Troisième, puis deuxième secrétaire à la Représentation permanente de la France aux, Nations Unies, New York (1977-1980),
- Centre d'analyse et de prévision au ministère des Affaires Etrangères, Paris (1980-1984),
- Premier secrétaire à l'Ambassade de France, Washington (1984-1988),
- Deuxième conseillère à l'Ambassade de France, Ndjamena (1989-1992),
- Deuxième conseillère à la représentation permanente de la France au Conseil de l'Atlantique Nord, Bruxelles (septembre1992 à mars1993),
- Représentante permanente adjointe de la France à l'Union de l'Europe occidentale, Bruxelles (mars 1993 à septembre1996),
- Conseillère technique auprès de M. Hervé de Charrette, ministre des Affaires Etrangères, gouvernement Juppé, Paris (1996-1997),
- Inspectrice des Affaires Etrangères, Paris (septembre1997 à mars 1998),
- Sous-directrice des affaires stratégiques à la direction des affaires stratégiques, de sécurité et du désarmement de la direction générale des Affaires Politiques et de Sécurité, Paris (mars 1998 à décembre 2001),
- Directrice des affaires internationales et stratégiques auprès du secrétariat général de la Défense Nationale à Paris (décembre 2001).

Les interventions et conférences connues du domaine public de Mme Salomé Zourabichvili ont touché des domaines aussi différents que :
- « *L'état des relations franco-britanniques* ». le 28.06 2000 durant la semaine franco-britannique sur la défense et la sécurité,
- « *Un regard français sur la politique européenne de défense et de sécurité* » le 28.04 2001 à Vilnius (Lituanie),
- « *Le rôle de l'Union Européenne dans le nouveau cadre de sécurité européen* » le 29.11 2002 à l' Institut des Hautes Etudes de Défense Nationale, lors de la Session Internationale Européenne.

Mme Salomé Zourabichvili est Chevalier de la Légion d'Honneur.

**Mirian Méloua.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა – მიხეილ სააკაშვილმა – განაცხადა 2004 წლის 11 მარტს, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი დანიშნულია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად. აი, რას გვწერს ამის შესახებ პარიზიდან ჩვენი თანამემამულე ბატონი ოთარ პატარიძე:

Le président géorgien Mikheil Saakashvili a annoncé le 11 mars la nomination de l'Ambassadrice de France en Georgie Salomé Zourabichvili comme Ministre des Affaires Etrangères du pays.



"Elle est née en France dans une famille géorgienne, qui a émigré de Géorgie dans les années 20 de 20ème siècle. Salomè Zourabichvili parle le géorgien parfaitement et connaît notre histoire," a déclaré le Président Mikheil Saakashvili aux journalistes le 11 mars.

La déclaration présidentielle géorgienne fait suite à sa visite en France des 8 au 10 mars. Mikheil Saakashvili a débattu de cette question avec le Président Jacques Chirac et le Ministre des Affaires Etrangères Dominique de Villepin .

"J'ai reçu leur consentement pour nommer Salomé Zourabichvili comme Ministre des Affaires Etrangères de Géorgie," a dit Mikheil Saakashvili. "Elle est une diplomate expérimentée, qui a travaillé dans des missions diplomatiques françaises aux Etats-Unis et à l'OTAN," a-t-il ajouté.

Avant sa nomination comme Ambassadrice de France en Géorgie l'année dernière, Salomé Zourabichvili était depuis décembre 2001, Directrice pour les Affaires Stratégiques et Internationales au Secrétariat de la Défense Nationale à la Présidence française.

Précédemment, elle avait été Directrice adjointe des Affaires Stratégiques , responsables auprès de l'OTAN, à la Sécurité Européenne et des Opérations de Gestion de Crise. Elle faisait également partie de la délégation française à l'OTAN.

Les rumeurs quant à la nomination possible de Salomé Zourabichvili comme Ministre des Affaires Etrangères de Géorgie datent de fin de janvier, avant l'installation d'un nouveau cabinet. Cependant, Tedo Djparidze avait été finalement nommé à ce poste.

"J'ai le droit d'accorder la citoyenneté géorgienne à Salomé Zourabichvili, qui bénéficierait en conséquence de la double nationalité – géorgienne et française," a dit Mikheil Saakashvili

ეროვნული ბიბლიოთეკა

Comme prévu, le président Mikheil Saakashvili a accordé le 20 mars la citoyenneté géorgienne à Salome Zourabichvili, Ambassadrice de France en Géorgie. Selon le Président géorgien un amendement constitutionnel récemment adopté lui donne droit d'accorder la citoyenneté à un étranger, en conséquence, Salome Zourabichvili conservera également son passeport français .

"C'est la première fois que la Géorgie accorde la double nationalité à un étranger," a dit Mikheil Saakashvili aux journalistes.

"Je suis venue au Ministère des Affaires Etrangères géorgien comme une personne libre, sans aucune instruction du gouvernement français," a dit Salomè Zourabichhvili au personnel du Ministère et aux représentants des missions diplomatiques à Tbilissi invités au Ministère des Affaires Etrangères.

ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგიის წევრები, უცხოეთში მცხოვრები ყველა ქართველის სახელით, - გილოცავთ, ქალბატონო სალომე, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნას. ვამაყობთ იმით, რომ საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის პირველი, მეორე და მესამე თაობა უცხოეთში ისევე გამსჭვალულია ჩვენი სამშობლოს – საქართველოს – უანგარო სიყვარულით, როგორც თქვენ ბრძანდებით. მრავალჟამიერ!..

<u>პარიზი, 2004 წლის 27 მარტი.</u>

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა – სალომე ზურაბიშვილმა – მის 2004 წლის 16 აპრილის ინტერვიუში, უთუოთ, გამოამჟღავნა მისი დიპლომატიური ცოდნა-გამოცდილება – შეეხო რა საფრანგეთისა და საქართველოს პოლიტიკას ერაყის მიმართ. მან თქვა: "მე მწამს, მართალი არის, და მწამს ის მთავარი ღირებულებები, რომლებიც ნამდვილად აკავშირებს საფრანგეთს, საქართველოს, ევროპას... ეს მთავარი ღირებულებები არის საერთო და აქ მე ვერ ვხედავ ვერავითარ ძნელად შესათავსებელ სიტუაციას - იგივე სტაბილიზაცია, კონფლიქტების მოგვარება, რეგიონის ინტეგრაცია, მისი, რაც შეიძლება, დაახლოება ევროპასთან, საქართველოს შეყვანა ნატოში და სხვა ევროპულ სტრუქტურებში. ეს გამომდინარეობს ერთი მსოფლმხედველობიდან და არავითარ პრობლემას არ ქმნის: საფრანგეთის, აბა, რა ეროვნული ინტერესი არის აქ და საქართველოსი იქ, ერთმანეთს რომ შეეჯახოს.!

რაც შეეხება უფრო სპეციფიკურ ინტერესებს, რომლებიც ახასიათებს საქართველოს პოლიტიკას დღეს და არ არის და არც იყო საფრანგეთის პოლიტიკაში, მაგალითად, ერაყის პრობლემისადმი დამოკიდებულება, სადაც განსხვავებული პოზიციებია. საფრანგეთს ჰქონდა თავისი, ძალიან გარკვეული პოლიტიკა, საქართველოს - სულ სხვა პოლიტიკა. ეს არის არჩევანი იმ მომენტის, იმ ქვეყნის და იმ გეოპოლიტიკური სიტუაციის, რომელშიც იმყოფება ქვეყანა. მე ძალიან კარგად მესმის, რატომ აირჩია საქართველომ თავისი კურსი, ხოლო საფრანგეთმა თავის დროზე და თავის ადგილას - თავისი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი. ორივე კურსი არის გამართლებული ამ ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე. ყველაფერი გასაგები ხდება, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ინტერესებიდან გამოდიხარ."

http://www.opentext.org.ge/04/sakartvelos-respublika/087/087-1.htm 17.04.2004

# თამარ ჩოფიკაშვილი-ვესტი საპატიო დოქტორია

ჩვენს, მიუნხენში მცხოვრებ თანამემამულე – თამარ ჩოფიკაშვილ-ვესტს, ასტრონომიის მეცნიერებათა დოქტორის და საპლანეტათაშორისო საკვლევი ინსტიტუტის ESA-ს(მიუნხენი) მეცნიერის რიჩარდ ვესტის მეუღლეს, – მიენიჭა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. აი, ამ საპატიო დოქტორის დიპლომის ფოტოასლი:



## დოქტორის

დიპლომი

დრ № 0078

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის

უნივერსიტეტის

სამეცნიერო საბჭოს 2003 წლის 25 აპრილის

სხდომის (ოქმი № 6)

გადაწყვეტილებით თავისი სამშობლოს ენისა და

კულტურის წარმოჩენისათვის გაწეული ინტენსიური და

ხანგრძლივი მუშაობის აღსანიშნავად

ქალბატონ **თამარ ჩოფიკაშვილი-ვესტს**

მიენიჭა

**საპატიო დოქტორის**

წოდება

უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი: თ. ჭოხონელიძე

ქალბატონი თამარ ჩოფიკაშვილი-ვესტი, როგორც ქართულ ენისა და ლიტერატურის ლექტორი მიუნხენის უნივერსიტეტში, ინტენსიურად ხელს უწყობდა არა მარტო ქართული ენისა და ამით ქართული კულტურის პოპულარიზაციას დასავლეთ ევროპაში, არამედ აქტიურად მოღვაწეობდა და მოღვაწეობს ქართულ სათვისტომოში, გერმანიაში. აი, ამონაწერი მისი სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა მიუნხენის ქართული სათვისტომოს საერთო კრებაზე:

„მე ბედნიერი ვარ რომ დღეს, აქ, მიუნხენის ქართული სათვისტომოს სხდომას ესწრებიან საქართველოს პოლიტიკურ, კულტურულსა და სხვა სფეროში მოღვაწე პირები.

უპირველეს ყოვლისა მადლობა მინდა გადავუხადო ბერლინიდან ჩამოსულ გერმანიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებს — ელჩის მოადგილეს ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს და საქართველოს საელჩოს ატაშეს — ქალბატონ სოფო საყვარელიძეს.

მადლობა აგრეთვე "შორეულ" ინგოლშტატიდან ჩამოსულ სასახელო ქართული კამერული ორკესტრის წევრებს.

მადლობა ყველას, ვინც ამ სხდომას ესწრება.

ორიოდე სიტყვა მიუნხენის ქართული სათვისტომოს შესახებ.

მოგეხსენებათ, რომ ქართული სათვისტომო საქართველოს განუყოფელი და მშობლიური ნაწილია და გასაკვირი არ არის ის, რომ ის საქართველოს სიყვარულითა თუ პრობლემებით არსებობს და ცოცხლობს.

მე ვამაყობ, რომ სწორედ ამ სათვისტომოს წევრი ვარ, რომლის ხელმძღვანელები თუ რიგითი წევრები დიდი ქართველები იყვნენ და არიან კიდეც.

მე ბედი მქონდა ბატონ ქრისტეფორე კირკიტაძესთან — მიუნხენის სათვისტომოს პრეზიდენტთან — თანამშრომლობა და მეგობრობა თავისი ნამდვილი ქართული ხასიათითა და უნარით მან შეგვინარჩუნა კონტაქტი საქართველოსთან.

გერმანიაში საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ცხოვრებამ მას ქართული ხასიათი არა თუ არ შეუცვლია, არამედ, პირიქით, ქრისტეფორემ მისი გერმანელი მეუღლე — ქალბატონი ტერეზა და შვილები — სევერიანე და ბაჭუა — სრულიად გააქართველა.

მაგრამ დრო გადის და დრო იცვლება... და, სამწუხაროდ, ბატონი ქრისტეფორე საკუთარი განცხადებით გადადგა პრეზიდენტის პოსტიდან.

ვწუხვართ, რომ ეს ასე მოხდა. ახალს მე არაფერს არ გეტყვით, თუ ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ რომ ყველგან და ყოველთვის ყოველი გარდამავალი პერიოდი სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

მაგრამ ჩვენ აგრეთვე ბედნიერები ვართ იმით, რომ ჩვენს შორის არიანი ისეთი ადამიანები, როგორიც ბატონი კარლო ინასარიძეა, ბატონი ვახტანგ ჩხაიძე და სხვები, რომლებიც ჩვენ სიძნელეების გადალახვაში გვეხმარებიან.

თქვენთვის ყველასათვის ცნობილია რომ იგი შესანიშნავი მეუღლე, მამა და მრავალი შვილიშვილის ბაბუა ( პა) ბრძანდება. შესანიშნავი ექიმიც, არაჩვეულებრივად გულკეთილი ადამიანი — იგი მიუნხენში ჩამოსულ თუ საქართველოსი მცხოვრებ ავადმყოფებს დიდ დახმარებას უწევდა.

ახლა კი მინდა მივესალმო ჩვენს ახალგაზრდებს.

მე ღრმად დარწმუნებული ვარ რომ თქვენ თქვენი განათლებითა თუ თქვენი კარგი ადამიანობით არა მარტო დიდ წვლილს შეიტანთ საქართველოს მომავალ ცხოვრებაში, არამედ თქვენ განაგრძობთ მიუნხენის სათვისტომოს უფროსი თაობის ლამაზ ტრადიციებსაც.

ყველას გისურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ ცხოვრებას, წარმატებებს როგორც თქვენს საქმიანობაში, აგრეთვე თქვენს პირად ცხოვრებაშიც."

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა - ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მიანიჭა დანიის მოქალაქეს - დოქტორ რიხარდ ვესტს, მისი დიდი დამსახურებისათვის, ასტრონომიის სფეროში, საქართველოში.

ამდენად, გვახარებს, რომ ამჯერად ქალბატონი თამარ ჩოფიკაშვილ-ვესტის მოღვაწეობაც შესაფერისად დაფასდა, რითაც ეს შესანიშნავი ცოლ-ქმარი — თამარი და რიხარდი — აგრეთვე, შესანიშნავი, სამაგალითო დანიურ-ქართული ოჯახია, შვილებ-შვილიშვილებითურთ.

კ.ი., მიუნხენი, 7.4.2004 წელი

## ქართული სათვისტომოს არჩევნები საფრანგეთში

2003 წლის 13 დეკემბერს პარიზში ჩატარდა ქართული სათვისტომოს საერთო კრება, რომელიც მოიწვია ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ საფრანგეთში ბატონმა ტარიელ ზურაბიშვილმა. საერთო კრებამ გამგეობის წევრებად აირჩია 7 კაცი და ორი მოადგილე.

2004 წლის 24 იანვარს კი ჩატარდა ქართული სატვისტომოს გამგეობის სხდომა, რომელზედაც ქართული სათვისტომოს თავმჯდომარედ საფრანგეთში არჩეულ იქნა ბატონი გია სარჯველაძე; თავმჯდომარის მოადგოლედ – ბატონი – ირაკლი თოდუა; მოლარეთ არჩეულ იქნა ქალბატონი ელიკო წერეთელი, მდივნად კი – მიხეილ ვოდე(გიგიტიძე).

ქართული სათვისტომოს საერთო კრებამ ულრმესი მადლობა გადაუხადა ბატონ ტარიელ ზურაბიშვილს მისი მრავალწლოვანი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, როგორც ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს საფრანგეთში.

## ნ ი ნ ო ო ბ ა  პ ა რ ი ზ შ ი

2004 წლის 8 თებერვალს, პარიზში, შვედეთის ეკლესიის მლოცველთა დიდ დარბაზში, ჩატარდა ქართული წმინდა ნინოს ეკლესიის მრევლის ბავშვთა, მოზარდთა და მშობლების შეხვედრა, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. ამ შეხვედრას, ტრადიციის შესაბამისად, წინ უსწრებდა წირვა-ლოცვა "წმინდისა დედისა ჩვენისა და მოციქულთა სწორისა, ქალწულისა ნინოსი, ქართველთა განმანათლებელისა", რომელიც პარიზის ქართულ წმ. ნინოს ეკლესიაში ჩაატარა მამა არჩილმა, 2004 წლის 14 იანვარს, ძველი სტილით.

ამ მთამაგონებელი შეხვედრის დროს ბავშვები დაასაჩუქრეს.

აი, ამ შევედრის მოსაწვევი ბარათი:

**FÊTE PAROISSIALE SAINTE-NINO**

**Le Conseil Paroissial a le plaisir de vous inviter à la matinée qui aura lieu au profit de la**

**PAROISSE ORTHODOXE GÉORGIENNE SAINTE-NINO**

**le dimanche 8 février 2004 à partir de 14 h jusqu'à 19 h**

**salle de la Paroisse Suédoise**
**9, rue Médéric Paris 17 ème (métro Courcelles)**

**buffet (participation aux frais)**

**Les personnes qui se trouveraient empêchées, peuvent envoyer des dons pour l'Église par chèque à l'ordre de : Association Cultuelle Sainte-Nino au secrétariat 8, rue Bucourt 92210 Saint-Cloud. Ils seront accueillis avec reconnaissance.**

**Un goûter sera offert aux enfants de moins de 13 ans des membres de la Paroisse**

---

ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" 26.5.2004 წლის 34(52) ნომრის ხარჯები:
გასავალი: დაბეჭდვა, ასლები, ფოსტა და სხვა..........................................398 ევრო;
შემოსავალი: შემოწირულება კარლო ინასარიძისა...................................398 ევრო.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბზობა და აღდგომა მიუნხენში

მიუნხენის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის ქართული ეკლესიის მოძღვარმა მამა მ ა მ უ კ ა მ (თავხელიძე) - შესაფერისი წესითა და შთაგონებით აღნიშნა მიუნხენში - ბ ზ ო ბ ა, იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში(კვირა, 4 აპრილი, 2004 წელი), და ბრწყინვალე ა ღ დ გ ო მ ა იესო ქრისტესი(კვირა, 11.4.2004 წელი), რომელსაც ამშვენებდა ჩვენი ეკლესიის მგალობელთა გუნდი. ამ ბრწყინვალე წირვა-ლოცვას მრავალი მლოცველი დაესწრო.

დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველის – მიტროპოლიტ ა ბ რ ა ა მ ი ს (გარმელია) ლოცვა-კურთხევით, მამა მამუკამ ბზობისა და აღდგომის ბრწყინვალე წირვა შეასრულა წმინდა ანტონის კათოლიკურ ეკლესიაში, მიუნხენში(Katholische Pfargemeinde St. Anton, Kapuzinerstr. 38. 80469 München).

## ქრისტე აღსდგა!

## ნამდვილვე აღსდგა!

გილოცავთ, მრავალჟამიერ თქვენს ოჯახში, თქვენს სულებში, მთლიანად საქართველოში და სრულიად საქრისტიანოში მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე მაცხოვრის კურთხევა და მადლი ბინადრობდეს აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა, ცხოვრების მიმნიჭებელი."

თქვენი მღვდ. მამუკა ოჯახით.

Vorstand von Georg. Orth. Kirche in Deutschland.
Stadelheimerstr. 45, 81549 München
Tel./Fax: 089/35466839. eklesia@web.de

Familie Tavkhelidze.Stadelheimerstr.45, 81549 München

## სააღდგომო კვერცხი და კურდღელი

ტრადიცია, სააღდგომო კვერცხი შეღებო, მომდინარეობს შუა-საუკუნეებიდან. დასაწყისში კვერცხებს აჩუქებდენ ხოლმე მღვდლებს აღდგომას, რომლის დროს კვერცხები იყო შეღებილი უმთავრესად წითლად. დღეს კი სააღდგომო კვერცხებს ღებავენ მრავალფერად, ჭრელადაც კი. თუ როგორ მოხდა, რომ სააღდგომო კვერცხი დაკავშირებულ იქნა სააღდგომო კურდღელთან, ამის თქმულება შემორჩენილია გერმანიის სამხრეთის მთიან რეგიონებიდან, სადაც მშობლები კვერცხებს მინდორზე ბალახებში მალავდენ და ბავშვებს მიუთითებდენ კვერცხები მოეძებნათ, რომლებიც თითქოს "სააღდგომოდ კურდღლებმა" დადეს, რაც დღემდე შემორჩენილ ტრადიციად იქცა.

რატომ მაინცდამაინც "სააღდგომო კურდღელი" დებს კვერცხებს? – იმიტომ, რომ კურდღელი გადმოცემით, აღიარებული იყო როგორც ნაყოფიერების სიმბოლო.

"შ.ც." – აღდგომა, 2004 წლის 11 აპრილი

- 69 -

JK 833 / E
2004 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Conseil National Georgien

## ქართული ეროვნული საბჭო

### ამონაწერი

ქართული ეროვნული საბჭოს წესდებიდან (პარიზი, 1896 წელი, 27 აპრილი. პირველი შესწორება: ლევილი. 1995 წელი, 17 აგვისტო):

„მუხლი მესამე: ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით..."

„მუხლი ოცდამეორე: ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში თავისთავს გამოაცხადებს დაშლილად, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს".

„პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო"

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GEORGIE COMBATTANTE"

2004 წლის 26 მაისი - ნომერი 34(52) - MAI 26, 2004

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" — ილია

დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე

დაარსდა იანვარი 1952, პარიზი — Fondation: Janvier 1952 , Paris

რედაქციის მისამართი: Chateau de Leuville
10, rue Jules Ferry
91310 - Leuville sur Orge
France

მ-776